

# საჯარო მმართველობის რეფორმის

**2019**

წლების სამოქმედო გეგმის  
განხორციელების

**2020**

მონიტორინგის წლიური ანგარიში  
(იანვარი-დეკემბერი, 2020)



# სარჩევი

## 83.4 ▶ მოკლე შეჯამება

## 83.8 ▶ შესავალი

83.8 ▶ რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი

83.9 ▶ კომუნიკაცია

83.9 ▶ მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია

83.10 ▶ მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

83.12 ▶ საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგია

## 83.13 ▶ ზოგადი პროგრესი

83.14 ▶ ამოცანების შესრულების ზოგადი მიმოხილვა

83.27 ▶ გამონვევები და რეკომენდაციები

83.29 ▶ ფინანსური ხარჯები

## 83.30 ▶ I. პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

83.31 ▶ ამოცანა 1.1.

83.33 ▶ ამოცანა 1.2.

83.34 ▶ ამოცანა 1.3.

83.36 ▶ ამოცანა 1.4.

83.37 ▶ შემდგომი ნაბიჯები

83.37 ▶ რეკომენდაციები

83.37 ▶ ფინანსური ხარჯი, 2020

## 83.38 ▶ II. საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

83.38 ▶ ამოცანა 2.1.

83.40 ▶ ამოცანა 2.2.

83.41 ▶ შემდგომი ნაბიჯები

83.41 ▶ რეკომენდაციები

83.41 ▶ ფინანსური ხარჯი, 2020

## 83.42 ▶ III. ანგარიშვალდებულება

83.42 ▶ ამოცანა 3.1.

83.43 ▶ ამოცანა 3.2.

83.44 ▶ ამოცანა 3.3.

83.45 ▶ ამოცანა 3.4.

83.46 ▶ ამოცანა 3.5.

83.47 ▶ შემდგომი ნაბიჯები

83.47 ▶ რეკომენდაციები

83.48 ▶ ფინანსური ხარჯი, 2020

**83.49 ▶ IV. სახელმწიფო სერვისების მიწოდება**

- 83.49 ▶ ამოცანა 4.1.
- 83.49 ▶ ამოცანა 4.2.
- 83.50 ▶ ამოცანა 4.3.
- 83.50 ▶ ამოცანა 4.4.
- 83.53 ▶ ამოცანა 4.5.
- 83.54 ▶ ამოცანა 4.6.
- 83.55 ▶ ამოცანა 4.7.
- 83.55 ▶ შემდგომი ნაბიჯები
- 83.55 ▶ რეკომენდაციები
- 83.56 ▶ ფინანსური ხარჯი, 2020

**83.57 ▶ V. საჯარო ფინანსების მართვა**

- 83.58 ▶ ამოცანა 5.1.
- 83.59 ▶ ამოცანა 5.2.
- 83.61 ▶ ამოცანა 5.3.
- 83.62 ▶ შემდგომი ნაბიჯები
- 83.62 ▶ რეკომენდაციები
- 83.62 ▶ ფინანსური ხარჯი, 2020

**83.63 ▶ VI. ადგილობრივი თვითმმართველობა**

- 83.63 ▶ ამოცანა 6.1.
- 83.65 ▶ ამოცანა 6.2.
- 83.65 ▶ შემდგომი ნაბიჯები
- 83.66 ▶ რეკომენდაციები
- 83.66 ▶ ფინანსური ხარჯი, 2020

**83.67 ▶ რისკები და გამონვევები**

- 83.67 ▶ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რისკები და მათ შესამცირებლად გადადგმული ნაბიჯები
- 83.70 ▶ გამონვევები სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში

**83.74 ▶ დაგროვილი გამოცდილება და რეკომენდაციები**

**83.75 ▶ დანართი 1**

# მოკლე შეჯამება

2020 წელი



## 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი მიღწევები

### პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

- ▶ ამოქმედდა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ახალი სისტემა (გვ. 30)
- ▶ პირველად შემუშავდა და დამტკიცდა მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა (გვ. 30)
- ▶ პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსში გადამზადებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა გაიზარდა 227-მდე (გვ. 30)
- ▶ საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადი გადამზადდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მოდულში (გვ. 30)

### საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

- ▶ განხორციელდა სექტორული კვლევა „საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პრაქტიკის მიმოხილვის შესახებ“ (გვ. 38)
- ▶ განხორციელდა კვლევა „პოლიტიკური ზენოლისგან თავისუფალი საჯარო სამსახური“ (გვ. 40)
- ▶ მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულმა 224-მა საჯარო მოხელემ გაიარა პროფესიული განვითარების კურსი „მოხელის მენეჯერული უნარები“ (გვ. 39)
- ▶ ელექტრონულ პორტალზე [ethics.gov.ge](http://ethics.gov.ge) საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი (გვ. 39)

### ანგარიშვალდებულება

- ▶ შემუშავდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი (გვ. 43)
- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა საპილოტე რეჟიმში დაინერგა (გვ. 45)
- ▶ შეიქმნა ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდი (გვ. 42)

### ადგილობრივი თვითმმართველობა

- ▶ დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025 (გვ. 64)
- ▶ ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცათ რიგი უფლებამოსილებები განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით (გვ. 64)
- ▶ შემუშავდა მუნიციპალიტეტებში დასანერგი ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი (გვ. 65)
- ▶ ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის შემუშავდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა (გვ. 65)

**სახელმწიფო სერვისების მიწოდება**

- შემუშავდა სერვისების დიზაინის, სერვისების მიწოდების, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის, შეფასების ერთიანი ჩარჩოსა და სერვისების თვითღირებულების გაანგარიშების **სახელმძღვანელოები** (გვ. 51)
- იუსტიციის სახლსა და შსს-ს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრში **დაინერგა ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - საერთო შეფასების ჩარჩო (CAF)** (გვ. 49)
- My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების რაოდენობა **700-მდე გაიზარდა** (გვ. 49)
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირდა **შსს-სა და შემოსავლების სამსახურის სერვისები** (გვ. 49)

**საჯარო ფინანსების მართვა**

- BDD-ში პირველად აისახა ინფორმაცია 5 ახალი **პოლიტიკის მიმართულების ბიუჯეტზე გავლენის შესახებ** (გვ. 58)
- შემუშავდა **სახელმწიფო სანარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის პროექტი** (გვ. 60)
- ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტმა მოიცვა **სახელმწიფო სანარმოთა 92%** (გვ. 59)
- შემუშავდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში **საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალი (eBTPS)** (გვ. 61)
- ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით **საქართველო მე-5 ადგილზეა და 6 ქულით გააუმჯობესა შედეგი მოქალაქეების საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობის კუთხით** (გვ. 61)

**23 ამოცანა**

(2020 წელი)


- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა




**ამოცანების შესრულება რეფორმის მიმართულებების მიხედვით**

	სრულად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია	1 ▶ 25%	1 ▶ 25%	2 ▶ 50%
საჯარო სამსახური & ადამიანური რესურსების მართვა	1 ▶ 50%	1 ▶ 50%	-
ანგარიშვალდებულება	1 ▶ 20%	-	4 ▶ 80%
სახელმწიფო სერვისების მიწოდება	1 ▶ 14,4%	1 ▶ 14,4%	5 ▶ 71,2%
საჯარო ფინანსების მართვა	1 ▶ 33,3%	2 ▶ 66,7%	-
ადგილობრივი თვითმმართველობა	2 ▶ 100%	-	-

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი (2020)**



**აქტივობის შედეგის ინდიკატორი (2020)**



## ამოცანის შედეგის ინდიკატორთა რაოდენობა პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით



## ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულება პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით

პასუხისმგებელი უწყება	სრულად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	5 ▶ 62,5%	-	3 ▶ 37,5%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	-	-	4 ▶ 100%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2 ▶ 100%	-	-
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2 ▶ 50%	1 ▶ 25%	1 ▶ 25%
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	4 ▶ 57,1%	1 ▶ 14,3%	2 ▶ 28,6%
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	-	-	5 ▶ 100%
სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო	2 ▶ 50%	-	2 ▶ 50%
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	-	-	1 ▶ 100%








### დახარჯული ფინანსური რესურსი





## ძირითადი გამოწვევები

-  ახალი კორონავირუსის პანდემიის გავლენა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე
-  განხორციელების ვადების დაცვა
-  ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობა
-  მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარსადგენი დოკუმენტების შემუშავების დროში გაჭიანურება
-  სახელმწიფო უწყებების პასიურობა

# შესავალი

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოში 2015 წელს დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმა (რეფორმა), რომლის კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა. საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით.<sup>1</sup>

ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის (OECD/SIGMA) ექსპერტების მხარდაჭერით, შემუშავდა **რეფორმის გზამკვლევი 2020**, რომელიც სტრატეგიული ქოლგა

- ▶ პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია
- ▶ საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა
- ▶ ანგარიშვალდებულება

რეფორმის რიგით მესამე, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნოს (სამდივნო) მიერ OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობით მომზადდა.

სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის შედეგის გაზომვის მიზნით შემუშავდა შედეგის ინდიკატორები კონკრეტული რაოდენობრივი ან ხარისხობრივი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების მითითებით. შესაბამისად, გაანალიზდა არსებული მდგომარეობა და შედეგი, რომელიც სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის განხორციელებას უნდა მოყვებოდა. სამოქმედო გეგმა **23 ამოცანას, 35 ამოცანის შედეგის ინდიკატორს, 78 აქტივობასა და 119 აქტივობის შედეგის ინდიკატორს** ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში პირველად იქნა გამოყენებული საჯარო კონსულტაციების ელექტრონული მეთოდი.

## რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი

საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას 2015 წელს დაევალა. 2016 წელს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით შეიქმნა საბჭო, რომლის ფუნქციაა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი.

დოკუმენტი და საჯარო მმართველობის გაუმჯობესების მიმართულებით მთავრობის ძირითად ამოცანებს განსაზღვრავს.<sup>2</sup> გზამკვლევის განხორციელების მიზნით მომზადდა სამი სამოქმედო გეგმა. ამჟამად მიმდინარეობს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება.<sup>3</sup>

რეფორმის უწყვეტობის და მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა აქტიური ჩართულობის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, 2016 წელს შეიქმნა **საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო** (საბჭო), რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ხელმძღვანელობს.<sup>4</sup> რეფორმა ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპებს<sup>5</sup> ეყრდნობა და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, 5 ძირითად მიმართულებასთან ერთად დამატებით კიდევ ერთ მიმართულებას ითვალისწინებს, ესენია:

- ▶ სახელმწიფო სერვისების მიწოდება
- ▶ საჯარო ფინანსების მართვა
- ▶ ადგილობრივი თვითმმართველობა

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიურ ანგარიშს წარმოადგენს და მისი მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული **ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების** განხორციელების პროგრესის ჩვენება **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**, მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება.

ანგარიში შემუშავდა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნოს (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველო) მიერ პროცესში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

<sup>1</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, [მუხლი 4](#).

<sup>2</sup> საჯარო მმართველობის რეფორმის [გზამკვლევი 2020](#).

<sup>3</sup> საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივნისის [დადგენილება](#) N2274 „საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

<sup>4</sup> საქართველოს პრემიერ - მინისტრის 2016 წლის 3 მაისის [ბრძანება](#) „საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილების ცვლილება იხილეთ ქვე-თავში „რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი“).

<sup>5</sup> ევროკავშირის საჯარო მმართველობის [პრინციპები](#).

<sup>6</sup> საქართველოს პრემიერ - მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის N17 [ბრძანება](#) „საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი და დებულების დამტკიცების შესახებ“.



საბჭოს სამდივნოს ფუნქცია დაეკისრა მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის **საჯარო მმართველობის სამმართველოს**, რომელიც 2019 წელს ჩამოყალიბდა. სამდივნო უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ანალიტიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერასა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. წინამდებარე ანგარიში 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში შემუშავებული რიგით მეოთხე დოკუმენტია.

მონიტორინგის ანგარიშები განსახილველად და დასამტკიცებლად საბჭოს წარედგინება. სამოქმედო გეგმის 2019 წლის პროგრეს ანგარიში საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. ახალი კოორნაციონის პანდემიის შედეგად შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით კი, სამოქმედო გეგმის განხორციელების **2019 წლის მონიტორინგის წლიური ანგარიში** და **2020 წლის პროგრეს ანგარიში** საბჭომ წერილობითი პროცედურით დაამტკიცა. მონიტორინგის ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.<sup>7</sup>

## კომუნიკაცია

2020 წელს სამდივნოს აქტიური ჩართულობით და გაერო-ს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთის მთავრობის პროექტის - „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ - მხარდაჭერით, შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის კომუნიკაციის სტრატეგია და ბრენდბუქი**. აღნიშნული მიზნად ისახავს ქვეყანაში საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესის გაძლიერებასა და რეფორმის ფარგლებში მიღწეული წარმატებული, მიმდინარე და სამომავლო აქტივობების შესახებ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას.

სამდივნოსა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ორგანიზებით, კომუნიკაციის სტრატეგია **PAR კომუნიკაციის ქსელის** (PAR Communication Network) წევრებს წარედგინათ. PAR კომუნიკაციის ქსელი PAR ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა და აერთიანებს რეფორმაში ჩართული უწყებების წარმომადგენლებს როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, ასევე კომუნიკაციების/საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტებიდან. დამატებით, 2020 წლის ნოემბერში ქსელის კომუნიკაციების მიმართულების წარმომადგენლებისთვის გამართულ შეხვედრაზე PAR-ის სამდივნომ მონაწილეებს PAR-ის მნიშვნელობა და მისი შინაარსობრივი ნაწილი გააცნო. ასევე, განხილულ იქნა PAR-ის თითოეული მიმართულება და რეფორმის მნიშვნელოვანი მიღწევები.

კომუნიკაციის სტრატეგია უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას.

კომუნიკაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიები საბჭოს 2021 წელს წარედგინება.

2020 წლის ოქტომბერში საჯარო მმართველობის რეფორმის

## მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის მეთოდოლოგია ეყრდნობა ერთი მხრივ, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს,<sup>8</sup> ხოლო მეორე მხრივ, OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის

რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშებისა და შეფასების ინსტრუმენტს.<sup>9</sup>

**აქტივობათა შედეგის ინდიკატორები შემდეგი კრიტერიუმებით შეფასდა:**

### მონიტორინგის კრიტერიუმები

<b>რეიტინგი</b>	<b>სრულად შესრულდა</b>	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ყველა ეტაპი სრულად შესრულდა (100%)
	<b>ნაწილობრივ შესრულდა</b>	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ეტაპების სულ მცირე ნახევარი შესრულდა (სულ მცირე 50%)
	<b>არ შესრულდა</b>	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი არც ერთი განხორციელების ეტაპი არ შესრულდა (0%)

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობა, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019.

<sup>8</sup> საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის N629 დადგენილებით დამტკიცებული “პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის” მიხედვით, სახელმძღვანელოს წესები ვრცელდება პოლიტიკის იმ დოკუმენტებზე, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან დამტკიცდება მთავრობის მიერ. მიუხედავად ამისა, მოცემული ანგარიში მომზადებულია სახელმძღვანელოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით.

<sup>9</sup> OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშებისა და შეფასების ინსტრუმენტი.

სტატუსი

- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია
- განხორციელების პროცესი დასრულებულია

**მონიტორინგის კრიტერიუმები ამოცანისა და აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულებას ასახავს. კერძოდ, რეიტინგი შედეგის ინდიკატორის შინაარსობრივ**

გამომწვევების რეალურ რეჟიმში გამოსავლენად, მნიშვნელოვანია, დავინახოთ არა მხოლოდ შესრულებული საქმის მოცულობა, არამედ პროცედურული მიმდინარეობაც. მაგალითად, შესაძლოა მონიტორინგის ეტაპისთვის აქტივობა უმეტესწილად შესრულდა, თუმცა, პრიორიტეტების ცვლილების ან/და სხვა მიზეზით, მისი დასრულება აღარ იგეგმება. ასეთ შემთხვევაში, შეფასების განხორციელების პროცესში, რეფორმის საბჭოს სამდივნოს აქვს შესაძლებლობა, გამოავლინოს შეჩერებული ან/და გაუქმებული აქტივობები, გამომწვევი მიზეზები და შესაბამის

▶ **უნდა დასრულებულიყო**, თუმცა, 2020 წლის პროგრეს ანგარიშის შეფასების თანახმად, ნაწილობრივ ან არ შესრულდა;

**შესრულებას** აფასებს (რა მოცულობით შესრულდა დაგეგმილი აქტივობა), ხოლო **სტატუსი** განხორციელების **პროცესის** შესახებ გვაძლევს ინფორმაციას.

პასუხისმგებელ უწყებებს მიაწოდოს რეკომენდაციები.

მონიტორინგის ანგარიში მოიცავს 2020 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის მეთოდოლოგიის თანახმად, სამდივნომ შეაფასა სამოქმედო გეგმის იმ აქტივობის შედეგის ინდიკატორების პროგრესი, რომელთა შესრულების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის IV კვარტლის ბოლო. აგრეთვე, ანგარიში მოიცავს აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც 2019 წელს:

▶ 2019 წლის მონიტორინგის ანგარიშის შეფასების მიხედვით **სრულად შესრულდა, თუმცა** პასუხისმგებელმა უწყებამ განხორციელება 2020 წელსაც გააგრძელა.

სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესი რამდენიმე ეტაპად დაიყო:

**სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი რამდენიმე ეტაპად დაიყო:**

**I ეტაპი**

**II ეტაპი**

**III ეტაპი**

სტატუს ანგარიში, რომელშიც ასახულია სამოქმედო გეგმის შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, ეგზავნებათ პასუხისმგებელ საჯარო უწყებებს განხორციელების შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, დადასტურების წყაროების წარმოსადგენად

სამდივნო ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და კომენტარებისთვის უგზავნის ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს 1 კვირის ვადით

სამდივნო ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს PAR-ის საბჭოსთვის წარსადგენად



**მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა**

სამოქალაქო სექტორის ჩართულობის დონე გაუმჯობესდა როგორც რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე განხორციელების მონიტორინგის ანგარიშების მომზადების ეტაპზე.

2020 წლის 7 თებერვალს გამართულ რეფორმის საბჭოს სხდომაზე სამოქმედო გეგმის **პროგრეს ანგარიშის** შედეგების პრეზენტაციას ადგილობრივი სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ხაზგასასმელია, რომ შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით წარიმართა. საბჭოს სხდომაზე გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების კითხვებს უპასუხეს. სამოქალაქო საზოგადოებამ სხდომაზე წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და თანამდევი სამოქმედო გეგმის შემუშავების

პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების დროს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას მონიტორინგის ცალკე ეტაპი დაეთმო. სამდივნომ პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი სტატუს ანგარიშები შეფასებისთვის ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუზიარა.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია **სამდივნოს შეფასება, რომელიც სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებისა და პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი დადასტურების წყაროების ანალიზს ეფუძნება**. აღნიშნულის გათვალისწინებით, პასუხისმგებელი უწყებების მიერ მითითებული **რეიტინგი და სტატუსი** შემდეგი აქტივობისა და ამოცანის შედეგის ინდიკატორებისთვის შეიცვალა:

ამოცანის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყების შეფასება		სამდინოს საბოლოო შეფასება	
	რეიტინგი	სტატუსი	რეიტინგი	სტატუსი
2.1.2 საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომელთა თანამშრომლებს გავლილი აქვთ სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამა	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.2.2 საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
3.2.1 Data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.3.1 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, "რეაგირების გარეშე" სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.1.1 სახელმწიფო სერვისების შექმნის და მიწოდების პოლიტიკის დოკუმენტის (PSDP) დამტკიცების შემდეგ ცენტრალურ დონეზე შექმნილი/ადაპტირებული სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.2.1 PSDP-ის დამტკიცების შემდეგ შექმნილი/ადაპტირებული ცენტრალური სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს ერთიანი სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.1 სახელმწიფო სერვისების რაოდენობა, რომელთა ხარისხი შეფასებულია სერვისის ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
4.3.2 3 სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელი უწყების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულია
4.4.1 ახლადშექმნილი/ადაპტირებული საჯარო სერვისების რაოდენობა, რომელთა ფასწარმოქმნა განხორციელდა ფასწარმოქმნის ახალ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
5.1.2 მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების სიზუსტე	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყების შეფასება		სამდინოს საბოლოო შეფასება	
	რეიტინგი	სტატუსი	რეიტინგი	სტატუსი
1.3.1.1. საბჭოს ელ. პორტალის შემუშავების მიზნით საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.2. საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია

1.3.1.3. შემუშავებულია და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებულია ელექტრონული სისტემის კონცეფცია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
1.3.1.4. შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
2.1.3.2. სამინისტროებში საჯარო მოხელეებს გავლილი აქვთ ელექტრონული კურსი ეთიკის საკითხებში	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
2.2.2.2. ბიუროს ვებ-გვერდი რეგულარულად განახლებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.2.2.3. ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდების ფუნქციონალიები გადახედულია; შემუშავებულია რეკომენდაციები	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
3.1.2.2. სსიპ-ების შესახებ კანონის პროექტის სულ მცირე 3 საჯარო განხილვა გამართულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
4.2.1.1. სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილია მთავრობისთვის	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.7.2.1. მინიმუმ 3 უწყებაში დანერგილია ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა.	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი შეჩერებულია
4.7.4.1. შემუშავებულია კიბერპიგიენის სასწავლო დისციპლინა სკოლებისათვის.	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

## საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგია

2020 წლის ბოლოს დასრულდა საჯარო მმართველობის რეფორმის 2015-2020 წლების სტრატეგიის (გზამკვლევი 2020) განხორციელება. 2020 წლის IV კვარტალში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, გაერო-ს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით, დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროცესი სრულად შეესაბამება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს, OECD/SIGMA-ს ინსტრუქციებს და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ▶ სიტუაციის ანალიზის და პრობლემების იდენტიფიცირება
- ▶ სტრატეგიული ნაწილის შემუშავება
- ▶ სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ საჯარო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიის, საერთაშორისო ორგანიზაციების/განვითარების პარტნიორების წარმომადგენლები. სიტუაციის ანალიზისა და

პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან 30-მდე შეხვედრა ჩატარდა, მათ შორის, ჩაღრმავებული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და სამუშაო შეხვედრები. სტრატეგიის თითოეული ნაწილის სამუშაო ვერსია დამტკიცების მიზნით საბჭოს წარდგინება. აღსანიშნავია, რომ გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, ახალი სტრატეგია პირველად გაითვალისწინებს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კომპონენტს.

ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ის განხორციელების გარე შეფასების ანგარიში (Review)**, რომელიც UNDP-ის მხარდაჭერით განხორციელდა. დოკუმენტი მიმოიხილავს გზამკვლევის განხორციელების შედეგებსა და საჯარო ადმინისტრაციის იმ საჭიროებებს, რომლებზეც რეფორმის ახალი ტალღის ფარგლებში უნდა გაგრძელდეს მუშაობა. რეფორმის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, სტრატეგიის დოკუმენტსა და შესაბამის სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დასრულება 2021 წლის მეორე კვარტალში იგეგმება.

# ზოგადი პროგრესი

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში შეფასდა 23 ამოცანის 35 ამოცანის შედეგის ინდიკატორი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ექვს სფეროში: პოლიტიკის დაგეგმვა

და კოორდინაცია, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება, სახელმწიფო სერვისების მიწოდება, საჯარო ფინანსების მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა.



## 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ამოცანის შედეგის ინდიკატორთა რაოდენობა

**პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია**

10

**საჯარო სამსახური და HRM**

6

**ანგარიშვალდებულება**

5

**სახელმწიფო სერვისების მიწოდება**

8

**საჯარო ფინანსების მართვა**

4

**ადგილობრივი თვითმმართველობა**

2


სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიურ ანგარიშში (2019) აღინიშნა შესაძლო უარყოფითი გავლენა, რაც ახალი კორონავირუსის პანდემიისა და ვირუსის გავრცელების შეკავებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს შესაძლოა ჰქონოდათ სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადებზე.<sup>10</sup> საგანგებო მდგომარეობის მართვისა და კოორდინაციის ფარგლებში, აგრეთვე, პანდემიის მასშტაბისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საჯარო ადმინისტრაციის ადამიანური და ფინანსური რესურსის დიდი ნაწილის მობილიზება კრიზისის შეწყვეტის დაკავშირებულ სამუშაოზე. გარდა ამისა, გლობალურად, პანდემიამ შეცვალა საჯარო ადმინისტრაციის სამუშაო რეჟიმი და გამოიწვია კოორდინაციის არსებული სისტემების

გადაფასება.

2020 წლის შუალედური მონიტორინგის მიგნებებმა ცხადყო, რომ აღნიშნული მოვლენები უარყოფითად აისახა საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ვადებზეც.<sup>11</sup> 2020 წლის წლიური მონიტორინგის ფარგლებში ნათელი გახდა, რომ ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები ძირითად შემთხვევაში სწორედ პანდემიის შედეგად გადაიდო, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სამოქმედო გეგმის განხორციელების საბოლოო შედეგებზე.

## 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა სამდივნოს საბოლოო შეფასებით

რეიტინგი



- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

<sup>10</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019, გვ. 52. ხელმისაწვდომია აქ.

<sup>11</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 2020. ხელმისაწვდომია აქ.





## ამოცანების შესრულების ზოგადი მიმოხილვა

### პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა 4 ამოცანის 10 ამოცანის შედეგის ინდიკატორს ითვალისწინებდა. რეფორმის

საბჭოს სამდივნოს შეფასებით, სამოქმედო გეგმის დასასრულს ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი შემდეგნაირია:



#### ამოცანა 1.1:

**პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:** მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელოს სტანდარტებს

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
N/A	51%	100% (სრულად შესრულდა)

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2:** პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების ტრენინგ კურსის ფარგლებში გადამზადებული საჯარო მოხელეების წილი, რომლებმაც მიიღო წარჩინების სერთიფიკატი

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
N/A	51%	61,7% (სრულად შესრულდა)

### მნიშვნელოვანი მიღწევები:

ამოქმედდა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ახალი სისტემა. შედეგზე ორიენტირებული ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ჩამოყალიბების და მთავრობის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა და ძალაში შევიდა შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები. გადამზადდა 300-მდე საჯარო მოხელე.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად ამოცანა 1.1 სრულად შესრულდა. გაუმჯობესდა პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის

მექანიზმები და გაიზარდა საჯარო მოხელეთა შესაძლებლობები (ვრცლად იხილეთ გვ.: 31).

## ამოცანა 1.2:

## პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:** მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
N/A	51%	100% (სრულად შესრულდა)

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2:** მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების შუალედური ან საბოლოო შეფასების ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
N/A	51%	არ შესრულდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3:** მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც გამოქვეყნებულია პასუხისმგებელი უწყებების ვებ-გვერდებზე

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
N/A	90%	100% (სრულად შესრულდა)


**გამოწვევები:**

- ▶ ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა 2020 წელს საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარსადგენ პოლიტიკის დოკუმენტთა შემუშავების დღის წესრიგი. პანდემიის გავლენით, რამდენიმე დოკუმენტის შემუშავება 2021 წლისთვის გადავადდა.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 1.2 ნაწილობრივ შესრულდა**. აღნიშნული ამოცანის პროგრესის შეფასებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მთავრობის მიერ 2020 წელს დასამტკიცებელ პოლიტიკის დოკუმენტთა რაოდენობა. ამასთან, მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტებიდან №629 დადგენილება გავრცელდა მხოლოდ 3-ზე. აღნიშნული 3 დოკუმენტიდან კი, მხოლოდ 1-ს მოეთხოვებოდა წლიური მონიტორინგის ანგარიშის წარდგენა.

შესაბამისად, მიუხედავად იმ პოლიტიკის დოკუმენტების მინიმალური რაოდენობისა, რომელთაც ამოცანის შედეგის ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება მოეთხოვებოდათ, შესაძლებელია ვთქვათ, რომ 2020 წლის ბოლოსთვის **ნაწილობრივ სახეზეა მონიტორინგის, ანგარიშების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება**. გარდა ამოცანის შედეგის ინდიკატორით გათვალისწინებული პოლიტიკის დოკუმენტ(ებ)ისა, №629-ე დადგენილების სტანდარტებით შემუშავდა ისეთი მონიტორინგის ანგარიშები, რომლებზეც დადგენილების საგამონაკლისო მუხლი ვრცელდებოდა. მაგალითად, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2019 წლის წლიური ანგარიში<sup>12</sup> (ვრცლად იხილეთ გვ.: 33).

## ამოცანა 1.3:

## ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:** პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ვადები

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
4 თვე / 2 თვე	3 თვე / 1 თვე	არ შესრულდა

<sup>12</sup> საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2019 წლის წლიური ანგარიში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ხელმისაწვდომია აქ.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.2:** კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლების წილი, რომლებმაც „წარჩინებით გაიარა ტრენინგი“

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0%	70%	არ შესრულდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.3:** საბჭოს წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილი ჩართულობა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
30-მდე კომენტარი	დაკომენტარებულია არანაკლებ 50-მდე აქტივობა	არ შესრულდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.4:** იმ სტრატეგიული დოკუმენტებისა და მონიტორინგის ანგარიშების წილი, რომლებიც უწყებების მიერ ხარვეზების გარეშეა შევსებული

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0%	შევსებული დოკუმენტების პირველადი ვერსიების 70%	არ შესრულდა

**გამოწვევები:**

- ▶ დონორული დახმარების დროულად მოძიება;
- ▶ **დუბლირება** პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშების და შეფასების მთავრობის ერთიან ელექტრონულ სისტემასთან.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 1.3 არ შესრულდა**. ანტიკორუფციული პოლიტიკის ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების (და შესაბამისად - ამოცანის) **განხორციელება შეჩერებულია** (ვრცლად იხილეთ გვ.: 35).

**ამოცანა 1.4:**

**მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:** რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment - RIA) საფუძველზე შემუშავებული მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტების წილი

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	5%	არ შესრულდა

**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

- ▶ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, **დაინერგა საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასება (RIA), დამტკიცდა „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია“ და გაძლიერდა საჯარო მოხელეთა შესაძლებლობები.**

**გამოწვევები:**

- ▶ ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა 2020 წელს წარსადგენ ცვლილებათა (მათ შორის საკანონმდებლო პაკეტთა) შემუშავების დღის წესრიგი.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 1.4 არ შესრულდა**. საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების განხორციელებისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიუხედავად, ახალი




კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ შეაფერხა ზემოაღნიშნული ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა. 2020 წელს საქართველოს მთავრობის მიერ არ

შემუშავებულა და ინიცირებული არ ყოფილა საკანონმდებლო პაკეტი, რომელშიც ცვლილების შეტანა RIA-ს თანდართვას ითვალისწინებდა (ვრცლად იხილეთ გვ.: 36).

## საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა 2 ამოცანის 6 ამოცანის შედეგის ინდიკატორს ითვალისწინებდა. რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით,

სამოქმედო გეგმის დასასრულს ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი შემდეგნაირია:



### ამოცანა 2.1:

დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:** საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომლებმაც საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინეს მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	90%	100% (სრულად შესრულდა)

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.2:** საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომელთა თანამშრომლებს გავლილი აქვთ სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	60%	70% (სრულად შესრულდა)

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.3:** სამინისტროებში მენეჯერების წილი, რომელთა თანამდებობაზე მიღება მოხდა საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გათვალისწინებული კონკურსის ახალი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
20	100%	100% (სრულად შესრულდა)

## მნიშვნელოვანი მიღწევები:

შექმნა პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემა, რამაც ხელი შეუწყო საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერებას;

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანა 2.1-ის ყველა შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულებულია, შესაბამისად, ამოცანა 2.1 სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უნდა გაგრძელდეს

დაიწყო საჯარო სამსახურში პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის არსებული მეთოდების ანალიზი და განხორციელდა კვლევა „პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის საჯარო სამსახურში“.

დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლისა და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცება და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა. (ვრცლად იხილეთ გვ.: 40).

**ამოცანა 2.2:**

**საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის აღსრულების ხელშეწყობისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:** საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადინების პროცენტული რაოდენობა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
9%	5%	6% (ნაწილობრივ შესრულდა)

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2:** საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
94%	100%	94% (არ შესრულდა)

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.3:** საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა წილი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საჯარო სამსახურის კანონთან დაკავშირებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
50%	60%	80% (სრულად შესრულდა)

**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციონალური გაძლიერების მიზნით, განხორციელდა უწყების ინსტიტუციური და ფუნქციური ანალიზი

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანა 2.2 ნაწილობრივ შესრულებულია. იმისათვის, რომ ბიურომ სათანადოდ უხელმძღვანელოს და ზედამხედველობა გაუწიოს საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების პროცესს და საჯარო



გაძლიერდა ბიუროს თანამშრომელთა შესაძლებლობები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურის რეფორმის ეფექტურ განხორციელებას

დანეშეულებები უზრუნველყოს სხვადასხვა მიმართულებით რეკომენდაციებით, მნიშვნელოვანია უწყებამ თანმიმდევრულად გააგრძელოს ინსტიტუციური გაძლიერების პროცესი (ვრცლად იხილეთ გვ.: 43).

**ანგარიშვალდებულება**

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ანგარიშვალდებულების მიმართულებით 5 ამოცანის 5 ამოცანის შედეგის ინდიკატორს ითვალისწინებდა. რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით,

სამოქმედო გეგმის დასასრულს ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი შემდეგნაირია:



- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

- სრულად შესრულდა
- ნაწილობრივ შესრულდა
- არ შესრულდა

**ამოცანა 3.1:**

**ეკონომიკის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადართობის შედეგად, რომლებიც ექვევნიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:** საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების წილი, რომლებმაც შეასრულეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შედეგები:
N/A	10%	არ შესრულდა

**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

სსიპ-ების ინსტიტუციური მოწყობის რეფორმირების მიზნით აქტიურ ფაზაშია შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის მომზადების პროცესი

**გამონვევები:**

- ამოცანის განხორციელების პროცესში გამოწვევას წარმოადგენდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვა, რადგან, საკითხის კომპლექსურობის გამო სსიპ-ების კანონში შესატანი ცვლილებების მომზადებას დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 3.1 არ შესრულდა**. საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს სსიპ-ების მეორადი ინსტიტუციური ანალიზის განხორციელების შემდეგ შეიმუშავებს, რომლის შინაარსიც დაეფუძნება სსიპ-ების ახალი კატეგორიების კანონისმიერ განმარტებას (ვრცლად იხილეთ გვ.: 42).

**ამოცანა 3.2:**

**ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:** Data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შედეგები:
3	30	4 (არ შესრულდა)

**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

- სამოქმედო გეგმის განხორციელების განმავლობაში data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა
- მომზადდა data.gov.ge-ს განახლების კონცეფცია

**გამონვევები:**

- ამოცანის განხორციელების პროცესში გამოწვევას წარმოადგენდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვა, რადგან პანდემიამ და პასუხისმგებელ უწყებაში განხორციელებულმა რეორგანიზაციამ პროცესი დააყოვნა;
- პორტალზე ღია მონაცემების გამოქვეყნების არასავალდებულო ხასიათი.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 3.2 არ შესრულდა**. ციფრული მმართველობის სააგენტო აგრძელებს მუშაობას პორტალზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების გაზრდის მიმართულებით (ვრცლად იხილეთ გვ.: 44).

## ამოცანა 3.3:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, “რეაგირების გარეშე” სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
12	8	არ შესრულდა

### მნიშვნელოვანი მიღწევები:

სამოქმედო გეგმის განხორციელების განმავლობაში შემუშავდა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა

### გამოწვევები:

- ელექტრონული სისტემის დანერგვა შეაფერხა კორონავირუსის პანდემიამ, რადგან გართულდა უწყებებთან კომუნიკაცია და სისტემის ამოქმედებისთვის საჭირო ღონისძიებების კოორდინაცია.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 3.3 არ შესრულდა**. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოცანის ინდიკატორს ელექტრონული სისტემის

სრულად ამოქმედების შემდეგ გაზომავს (ვრცლად იხილეთ გვ.: 45).

## ამოცანა 3.4:

საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1: ცენტრალურ დონეზე, სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმას და მონაწილეობას იღებენ ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
N/A	51%	74% (სრულად შესრულდა)

### მნიშვნელოვანი მიღწევები:

შემუშავდა ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგია და ვებგვერდი, რაც ღია მმართველობის საკითხებზე საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

### გამოწვევები:

- კორონავირუსის პანდემიამ შეაფერხა ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება. შესაბამისად, სამდივნოს გადაწყვეტილებით, ამოცანით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგის გაზომვის მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა წილის დასადგენად, რომლებიც აცხადებენ, რომ **იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს პროცესს და ღია მმართველობა საქართველოს 2021-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში ისურვებდნენ მონაწილეობის მიღებას**.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 3.4 სრულად შესრულდა**. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ღია მმართველობა

საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გააგრძელებს საკომუნიკაციო ღონისძიებების განხორციელებას (ვრცლად იხილეთ გვ.: 45).

**ამოცანა 3.5:**

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.1:** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულებების (სამინისტროების ცენტრალური აპარატები და სსიპ-ები) მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
15%	10%	არ შესრულდა

**გამოწვევები:**

კორონავირუსის პანდემიამ შეაფერხა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის ინიცირებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა.


2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად ამოცანა 3.5 არ შესრულდა. სამდივნომ ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების

საერთო მეთოდოლოგიით გაზომვის მიმართულებით საჭირო ღონისძიებები განახორციელა (ვრცლად იხილეთ გვ.: 47).

**სახელმწიფო სერვისების მიწოდება**

სახელმწიფო სერვისების მიმართულებით **2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა 7 ამოცანის 8 ამოცანის შედეგის ინდიკატორს ითვალისწინებდა.** რეფორმის

საბჭოს სამდივნოს შეფასებით, სამოქმედო გეგმის დასასრულს ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი შემდეგნაირია:



**ამოცანა 4.1:**

**მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:** სახელმწიფო სერვისების შექმნის და მიწოდების პოლიტიკის დოკუმენტის (PSDP) დამტკიცების შემდეგ ცენტრალურ დონეზე შექმნილი/ადაპტირებული სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	15	არ შესრულდა

**ამოცანა 4.2:**

**სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:** PSDP-ის დამტკიცების შემდეგ შექმნილი/ადაპტირებული ცენტრალური სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს ერთიანი სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	15	არ შესრულდა

**ამოცანა 4.3:**

**სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1:** სახელმწიფო სერვისების რაოდენობა, რომელთა ხარისხი შეფასებულია სერვისის ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	5	არ შესრულდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.2:** 3 სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელი უწყების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	70%	არ შესრულდა

**ამოცანა 4.4:**

**სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.4.1:** ახლადშექმნილი/ადაპტირებული საჯარო სერვისების რაოდენობა, რომელთა ფასწარმოქმნა განხორციელდა ფასწარმოქმნის ახალ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	15	არ შესრულდა

**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით, შემუშავდა ერთიანი სტრატეგიის საბოლოო ვერსია და სტრატეგიის ხუთი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით შექმნილ ტრენინგ მოდულებში გადამზადების შედეგად, გაიზარდა სერვისის მიმწოდებელი უწყებების თანამშრომელთა შესაძლებლობები

**გამოწვევები:**

ამოცანების განხორციელების პროცესში გამოწვევას წარმოადგენს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვა. **სერვისების ერთიანი სტრატეგიისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების დამტკიცების**

**პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა.** შედეგად, ამოცანის შედეგის ინდიკატორები სამოქმედო გეგმის ვადებში ვერ შესრულდა.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანები: **4.1, 4.2, 4.3 და 4.4 არ შესრულდა.** თუმცა, ხაზგასასმელია, რომ

გეგმის მოქმედების ვადებში, უწყებამ აქტიურად იმუშავა და აღნიშნული ამოცანების ქვეშ რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა წარმატებით შეასრულა (ვრცლად იხილეთ გვ.: 52).

## ამოცანა 4.5:

## სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.5.1: My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდილი რაოდენობა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
427	470	699 (სრულად შესრულდა)


**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

მოქალაქის პორტალ My.gov.ge-ზე 700-მდე გაიზარდა სახელმწიფო ელექტრონული სერვისების რაოდენობა, რამაც პანდემიით გამოწვეული ზოგადი შეფერხებების პირობებში, მნიშვნელოვნად გაამარტივა მოქალაქეთა წვდომა სახელმწიფო სერვისებზე

My.gov.ge ადაპტირდა უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლისთვის, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი პორტალის გაძლიერებას, მის პოპულარიზაციასა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანა 4.5 სრულად შესრულდა. სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ My.gov.ge-ს გაძლიერებისა

მიზნით აქტიურად იმუშავა და ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა (ვრცლად იხილეთ გვ.: 54).

## ამოცანა 4.6:

## ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს დანერგვა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.6.1: მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული სახელმწიფო სერვისების რაოდენობა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
140	196	192 (ნაწილობრივ შესრულდა)


**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში 200-ზე მეტი ორგანიზაცია ჩაერთო, ხოლო ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა 192-მდე გაიზარდა


**გამოწვევები:**

ამოცანის განხორციელების პროცესში უწყებისთვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენდა სახელმწიფო უწყებების მხრიდან პასიურობა და ფინანსური რესურსის ნაკლებობა.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანა 4.6 ნაწილობრივ შესრულდა. არსებული გამოწვევების მიუხედავად, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ მნიშვნელოვნად გაზარდა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული

სერვისების რაოდენობა, თუმცა ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს დანერგვის მიმართულებით, სასურველია უწყებამ მუშაობა სამომავლოდაც აქტიურად განაგრძოს (ვრცლად იხილეთ გვ.: 55).

## ამოცანა 4.7:

## კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.7.1: კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების შეფასების საერთო შენონილი ქულის ზრდა 20%-ით

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
24	29	არ შესრულდა

## მნიშვნელოვანი მიღწევები:

ქვეყნის მასშტაბით კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, **შემუშავდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის განსაზღვრის მეთოდოლოგია**, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკებზე

კიბერუსაფრთხოებაზე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ელექტრონულ სატრენინგო პლატფორმაზე **განახლდა კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალა**

## გამონვევები:

ამოცანის განხორციელების პროცესში უწყებისთვის ძირითად გამონვევას **სახელმწიფო უწყებების**

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, **ამოცანა 4.7 არ შესრულდა**. სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების შეფასების საერთო შენონილი ქულის გაზომვა



**ინერტულობა და მათი მხრიდან პასიურობა** წარმოადგენდა.

ვერ შეძლო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, უწყებამ, აღნიშნული ამოცანის ქვეშ, არსებული გამონვევების მიუხედავად, გეგმის მოქმედების ვადებში, მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება შეძლო (ვრცლად იხილეთ გვ.: 55).

## საჯარო ფინანსების მართვა

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა საჯარო ფინანსების მიმართულებით **3 ამოცანის 4 ამოცანის შედეგის ინდიკატორს ითვალისწინებდა**. რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით,

სამოქმედო გეგმის დასასრულს ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი შემდეგნაირია:



### ამოცანა 5.1:

**ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1:** ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) ხარისხი

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
BDD ნათლად არ ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ	BDD ნათლად ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ არანაკლებ 2 სამინისტროს მაგალითზე	BDD ნათლად ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ 3 სამინისტროს მაგალითზე (სრულად შესრულდა)

## მნიშვნელოვანი მიღწევები:

BDD ნათლად ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ შემდეგი სამინისტროების მაგალითზე: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.



**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.2:** მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების სიზუსტე

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შედეგები:
სახელმწიფო ხარჯების და ანგარიშვალდებულების შეფასება - PEFA (PI-3.1 - შეფასება - A)	სახელმწიფო ხარჯების და ანგარიშვალდებულების შეფასება - PEFA (PI-3.1 - შეფასება - A)	არ შესრულდა

**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ანალიზისა და პროგნოზირებისთვის შემუშავებული საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელის დანერგვის მიმართულებით

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა საქართველოს ფისკალური მოდელის დეტალური აღწერის დოკუმენტი

**გამოწვევები:**

საანგარიშო პერიოდში არ არის ხელმისაწვდომი განახლებული სახელმწიფო ხარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასება (PEFA), რაც შეუძლებელს ხდის 5.2.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვას.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 5.1 ნაწილობრივ შესრულდა** (ვრცლად იხილეთ გვ.: 58).

**ამოცანა 5.2:****მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1:** სახელმწიფო საწარმოთა წილი, რომელსაც ფარავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შედეგები:
85%	95%	92% (ნაწილობრივ შესრულდა)

**მნიშვნელოვანი მიღწევები:**

ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი სახელმწიფო საწარმოთა 92% (ბრუნვის მიხედვით) ფარავს.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 5.2 ნაწილობრივ შესრულდა**. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საწარმოების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით

მუშაობას აგრძელებს, რაც ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობას კიდევ უფრო გაზრდის (ვრცლად იხილეთ გვ.: 58).

**ამოცანა 5.3:****ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.1:** ღია ბიუჯეტის ინდექსის შეფასება მოქალაქეთა ჩართულობის და გამჭვირვალობის შესახებ

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შედეგები:
22 ქულა (2017 წ)	ქულის გაუმჯობესება (სულ მცირე, შენარჩუნება)	28 ქულა (სრულად შესრულდა)

### მნიშვნელოვანი მიღწევები:

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey 2019) შეფასებით, მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელში საქართველო 28 ქულით შეფასდა



ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის მიზნით, USAID GGI-ის მხარდაჭერით შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შექმნა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალი (eBTPS – Budget Transparency and Participation System)

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 5.3 სრულად შესრულდა** (ვრცლად იხილეთ გვ.: 61).

### ადგილობრივი თვითმმართველობა

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით **2 ამოცანის 2 ამოცანის შედეგის ინდიკატორს ითვალისწინებდა.**

რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით, სამოქმედო გეგმის დასასრულს ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი შემდეგნაირია:



#### ამოცანა 6.1:

თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, მათი უფლებამოსილებების გაფართოება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1:** ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემად იდენტიფიცირებული უფლებამოსილებების რაოდენობა

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
0	2	8 (სრულად შესრულდა)

### მნიშვნელოვანი მიღწევები:

სამოქმედო გეგმის განხორციელების განმავლობაში დამტკიცდა „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია“.

ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლებამოსილებები გადაეცათ განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 6.1 სრულად შესრულდა** (ვრცლად იხილეთ გვ.: 63).

#### ამოცანა 6.2:

ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.1:** მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების განვითარების სამოქმედო გეგმა 2019-2020

საბაზისო (2018)	სამიზნე (2020):	2020 წლის საბოლოო შეფასება:
არ არსებობს ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის კონკრეტული სამოქმედო გეგმა	შემუშავებულია ელ. სერვისების განვითარების 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმა	შემუშავებულია რეფორმის „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება“ სამოქმედო გეგმა 2019-2021 (სრულად შესრულდა)

## მნიშვნელოვანი მიღწევები:

შემუშავდა მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების განვითარების სამოქმედო გეგმა 2019-2021

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად **ამოცანა 6.2 სრულად შესრულდა** (ვრცლად იხილეთ გვ.: 65).

## გამონვევები და რეკომენდაციები

საანგარიშო პერიოდში ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების პროცესში გამოვლინდა შემდეგი გამონვევები:

### ▶ ახალი კორონავირუსის პანდემიის გავლენა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე

პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ვადებზე პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის,

ანგარიშვალდებულების, საჯარო ფინანსების მართვისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით.

### ▶ განხორციელების ვადების დაცვა

სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე აქტივობებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასების შედეგად განხორციელების ვადების დაცვა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან

გამონვევად პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ანგარიშვალდებულებისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების კუთხით.

### ▶ სახელმწიფო უწყებების პასიურობა

ანგარიშვალდებულებისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით, სახელმწიფო უწყებების პასიურობა და ინერტულობა ამოცანის შედეგის

ინდიკატორების შესრულების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა.

*წინამდებარე ცხილის სახით მოცემული ინფორმაცია თუ ხა ეტაპზეა სამოქმედო გეგმის 2020 წლის პიოგხეს ანგაჩიშის*

*ფაჩგლებში სამდევნოს მიეჩ გაცემული ჩეკომენდაციების შესხულების პიოგესი:*

რეკომენდაცია, პროგრეს ანგარიში 2020	რეკომენდაციის გათვალისწინების პროგრესი
პასუხისმგებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ შეჩერებული აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების გაგრძელება.	საანგარიშო პერიოდში, კორონავირუსის პანდემიის შედეგად, ზოგიერთი შეჩერებული აქტივობების განხორციელება ვერ განახლდა.
დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები.	საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში განალიზდება ის ამოცანები და აქტივობები, რომლებიც 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით ვერ შესრულდა. ისინი რეფორმის პრიორიტეტების შესაბამისად ახალ სამოქმედო გეგმაში აისახება.
დროულად ეცნობოს სამდევნოს ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად შექმნილი შეფერხებების შესახებ, რამაც შესაძლოა 2020 წლის ბოლოს ხელი შეუშალოს გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.	საანგარიშო პერიოდში პასუხისმგებელი უწყებები აქტიურად თანამშრომლობდნენ სამდევნოსთან, მათ შორის გზამკვლევი 2020-ის გარე შეფასების მომზადების პროცესში, რათა მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ სამდევნოსთვის დროულად მიეწოდებინათ ინფორმაცია.
პასუხისმგებელმა უწყებებმა სამდევნოს დროულად წარმოდგინონ შესაბამისი დადასტურების წყაროები.	2020 წლის წლიური მონიტორინგის ფარგლებში პასუხისმგებელმა უწყებებმა დადასტურების წყაროები დროულად წარმოადგინეს.

ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების ანალიზის შედეგად, სამდევნომ რეფორმის თითოეული მიმართულებით შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

## პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

▶ რაც შეიძლება მოკლე ვადაში დასრულდეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავება;

▶ გაგრძელდეს და მეტად მასშტაბური ხასიათი შეიძინოს საჯარო მოხელეთა გადამზადებამ საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მიმართულებით.



## საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

- ▶ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს როგორც ვებგვერდ mkhileba.gov.ge-ს ფუნქციონალის გადახედვა და, საჭიროებისამებრ, მისი განახლება, ასევე ვებგვერდ csb.gov.ge-ზე განთავსებული ინფორმაციის განახლება.



## ანგარიშვალდებულება

- ▶ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ განახორციელოს საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციური ანალიზი და შეიმუშაოს რეკომენდაციები მათ მოწყობასთან დაკავშირებით;
- ▶ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების განხორციელების პროცესში სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართვა (მათ შორის, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების), ვინაიდან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებას სწორედ გარე აქტორების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს;
- ▶ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ღია მმართველობის ახალი სამოქმედო გეგმის მომზადება და საჯარო კონსულტაციების გამართვა;
- ▶ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ დაგეგმოს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით სამუშაო პროცესი.



## სახელმწიფო სერვისების მიწოდება

- ▶ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოკლე ვადებში უზრუნველყოს სერვისების მიწოდების ერთიანი სტრატეგიის მთავრობისთვის წარდგენა;
- ▶ უზრუნველყოფილ იქნეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მოკლე ვადებში დამტკიცება, რომელიც საკანონმდებლო დონეზე სახელმწიფო სერვისებისა და სახელმწიფო სერვისის მიწოდებელი უწყების მნიშვნელობას განმარტავს;
- ▶ რეფორმის საბჭოს ფარგლებში არსებულ სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფთან ერთად, სამუშაო ფორმატში იდენტიფიცირდეს სახელმწიფო სერვისების მიწოდებელი უწყებების სრული ჩამონათვალი;
- ▶ გაგრძელდეს My.gov.ge-ზე უკუკავშირის მექანიზმების ინტეგრირების პროცესი;
- ▶ განახლდეს რეესტრთა რეესტრის პორტალი და მასზე ინფორმაციის განთავსების მიმართ აღსრულების მექანიზმების შესახებ მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილება;
- ▶ მოძიებულ იქნეს ფინანსები სატესტო ქსელური სენსორების დამატებით 2 უწყებაში განთავსებისთვის;
- ▶ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რათა სკოლებისთვის შემუშავებული კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინა ინტეგრირდეს საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამაში.
- ▶ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ განახორციელოს უწყებათა შეფასება, რათა დადგინდეს რა დონეზე იმყოფებიან ისინი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით.



## საჯარო ფინანსების მართვა

- ▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო საწარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის დამტკიცება და სახელმწიფო საწარმოთათვის კვარტალური და წლიური ანგარიშგების მოთხოვნების შემუშავება;
- ▶ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს და შეიმუშაოს შესაბამისი ნაბიჯები ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის რეკომენდაციების შესრულების მიზნით.



## ადგილობრივი თვითმმართველობა

- ▶ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს საჯარო მმართველობის რეფორმის 5 ძირითადი მიმართულების ადგილობრივ დონეზე გავრცელების შესაძლებლობა;
- ▶ მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე უზრუნველყოფილ იქნეს მოქალაქეების მონაწილეობა.
- ▶ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით გაგრძელდეს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დამატებით გადასაცემი უფლებამოსილებების ანალიზი;




## ფინანსური ხარჯები

2020 წელს ამოცანისა და აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო დონორული დახმარება **2 205 841 ლარის** ოდენობით, რომელიც სრულად არ იქნა ათვისებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რიგი ღონისძიებების შესასრულებლად დონორის მხარდაჭერა დაანგარიშდა კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე. მაგალითად, ანგარიშვალდებულების მიმართულებით სამოქმედო გეგმის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ არის მითითებული

ფინანსური ხარჯი, ვინაიდან, როგორც სამოქმედო გეგმაშია განმარტებული, ამ უკანასკნელის მოცულობა უშუალოდ აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე უნდა განისაზღვროს. საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში დახარჯული დონორული დახმარება **1 587 900,79 ლარს** შეადგენს.

სამოქმედო გეგმის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული **11 400 ლარიდან** დაიხარჯა **5 700 ლარი**.



# პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია



დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდა გულისხმობს ცენტრალურ დონეზე თანმიმდევრული, გამჭვირვალე, ინკლუზიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების სისტემის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზნად პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის განვითარება, შედეგზე ორიენტირებული ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ჩამოყალიბება

და მთავრობის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება განისაზღვრა.

OECD/SIGMA-ს მიერ 2017 წელს ჩატარებული საბაზისო კვლევის<sup>13</sup> რეკომენდაციების საპასუხოდ, რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის რეფორმის მეორე ტალღამ მიზნად დაისახა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება, სახელმძღვანელო წესების დადგენა და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება. ამასთან, დაიგეგმა საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვა.



## მნიშვნელოვანი მიღწევები:

- ამოქმედდა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ახალი სისტემა
- შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი
- პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსში გადამზადებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა გაიზარდა 227-მდე

- მომზადდა საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია
- პირველად შემუშავდა და დამტკიცდა მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა
- საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადი გადამზადდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მოდულში

<sup>13</sup> საბაზისო შეფასება: საჯარო მმართველობის პრინციპები, პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია, საქართველო, 2018 წ. მაისი, ხელმისაწვდომია აქ.

## ამოცანა 1.1:

**პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:** მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელოს სტანდარტებს

საბაზისო, 2018 - N/A

სამიზნე, 2020 - 51%

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 100% (სრულად შესრულდა)**

**პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის** ძალაში შესვლიდან (2020 წლის 1-ლი იანვარი), საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად სულ 8 პოლიტიკის დოკუმენტი წარედგინა<sup>14</sup>, რომელთაგან რვავე დამტკიცდა.

აღსანიშნავია, რომ წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტებიდან №629 დადგენილება გავრცელდა მხოლოდ 3 მათგანზე<sup>15</sup>, რადგან დადგენილება არ ვრცელდება მის ამოქმედებამდე მომზადებულ დოკუმენტებზე - წარდგენილი 8 დოკუმენტიდან 5-ს კი სწორედ ეს საგამონაკლისო მუხლი შეეხო.

აღნიშნულ 3 დოკუმენტზე პროექტის ხარისხის სახელმძღვანელოს სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, სამივე პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა მთავრობის მიერ (100%).

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2:** პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების ტრენინგ კურსის ფარგლებში გადამზადებული საჯარო მოხელეების წილი, რომლებმაც მიიღო წარჩინების სერტიფიკატი

საბაზისო, 2018 - N/A

სამიზნე, 2020 - 51%

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 61,7% (სრულად შესრულდა)**

**2019-2020 წლებში** საჯარო პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსის ფარგლებში გადამზადებული 227 საჯარო მოხელიდან წარჩინების სერტიფიკატი მიიღო 140-მა (61,75%).

ამასთან, 2018-2020 წლებში სულ გადამზადდა 288 საჯარო მოხელე, რომელთაგან 199-მა (69,1%) მიიღო წარჩინების სერტიფიკატი.



## 2020 წლის პროგრესი

შედეგზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, 2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი (წესი)<sup>16</sup>. წესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელო - მეთოდოლოგიური პაკეტი<sup>17</sup>, რომელიც ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების, საჯარო მოხელეებისა და OECD/SIGMA-ს ექსპერტების პრაქტიკული რეკომენდაციების

გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.

წესმა დაადგინა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, დამტკიცების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და პირველად, სამართლებრივად განსაზღვრა მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის შესაბამისობის დადგენის პროცედურა. საანგარიშო პერიოდში ამოქმედდა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ახალი სისტემა.

**ხარისხის შესაბამისობის დადგენის პროცედურის ამოქმედება** პირდაპირ უკავშირდება სამოქმედო გეგმით

<sup>14</sup> 1 - ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია; 2 - ქ. რუსთავის 2020-2022 წლების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა; 3 - საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია; 4 - საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა; 5 - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა; 6 - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ევროპული) ოჯახებისთვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა; 7 - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა; 8 - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

<sup>15</sup> ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია; ქ. რუსთავის 2020-2022 წლების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა; საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია.

<sup>16</sup> პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ.  
<sup>17</sup> პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელო და დანართები მომზადებულია გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) და ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ჩამოყალიბებულ ამოცანას პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიმართულებით სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, წესის შესაბამისად, სავალდებულო გახდა მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტის **პროექტის ხარისხის სახელმძღვანელოს სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა**.

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი) **მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარსადგენი 15 პოლიტიკის დოკუმენტის ხარისხის შემოწმება უზრუნველყო**, რომლის ფარგლებში **კონსულტაციების 19 რაუნდი** (ოფიციალური და საკონსულტაციო) გამართა. საბოლოოდ, პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველოსთვის წარდგენილი 15 დოკუმენტიდან **მთავრობას დასამტკიცებლად 8 პოლიტიკის დოკუმენტი წარედგინა, რომელთაგან რვავე დამტკიცდა**.<sup>18</sup>

რაც შეეხება **1.1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორს**, 2020 წელს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი 8 პოლიტიკის დოკუმენტიდან, 2019 წლის 20 დეკემბერის **№629 დადგენილება ვრცელდება მხოლოდ 3 მათგანზე**. აღნიშნული დადგენილების შესაბამე მუხლის შესაბამისად, წესი არ ვრცელდება დადგენილების ამოქმედებამდე (2020 წლის პირველი იანვარი) დამტკიცებულ პოლიტიკის დოკუმენტებზე. სწორედ აღნიშნული საგამონაკლისო მუხლი შეეხო მთავრობისთვის წარდგენილი 8 პოლიტიკის დოკუმენტიდან 5-ს. მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი 3-ივე დოკუმენტის პროექტის ხარისხის სახელმძღვანელოს სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი დასკვნის გაცემის შემდეგ, **3-ვე პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა**.

შესაბამისად, სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორი **სრულად და გადაჭარბებით** (განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელს (51%) თითქმის ორჯერ აღემატება და 100%-ს შეადგენს) **შესრულდა**.

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის რეფორმის მეორე ტალღის ერთ-ერთი მიზანია **საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება** და მათი განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესაბამისად გადამზადება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით და გაერო-ს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით 2018 წელს დაიწყო **საჯარო მოხელეების პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების (პოლიტიკის ანალიზის) ტრენინგ კურსი გადამზადება**. 12 მოდულისგან შემდგარი ტრენინგ კურსი, მთავრობის №629-ე დადგენილებით გათვალისწინებულ სამართლებრივ და მეთოდოლოგიურ საკითხებს დეტალურად,

პრაქტიკულ მაგალითებზე, ჯგუფურ და ინდივიდუალურ დავალებებზე დაყრდნობით განიხილავს.

**2019-2020 წლებში** პოლიტიკის ანალიზის ტრენინგ კურსის ფარგლებში 45 სახელმწიფო უწყებიდან **227 საჯარო მოხელე გადამზადდა**, რომელთაგან **140-მა მოხელემ მიიღო წარჩინების სერტიფიკატი**, რაც 1.1.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელს (51%) აღემატება და **61.7%-ს შეადგენს**.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ **2018-2020 წლებში სულ 288 საჯარო მოხელე გადამზადდა**, საიდანაც **69.1%-მა (199) მიიღო უმაღლესი ხარისხის (წარჩინების) სერტიფიკატი**.

წელი/ნაკადი:		გადამზადებული საჯარო მოხელეების რაოდენობა	გადამზადებული საჯარო მოხელეების რაოდენობა, ვინც მიიღო წარჩინების სერტიფიკატი
2018 წელი	პირველი ნაკადი	61	59
	მეორე ნაკადი	82	72
2019 წელი	მესამე ნაკადი	48	41
	მეოთხე ნაკადი	45	16
2020 წელი	მეხუთე ნაკადი	52	11
<b>სულ 2019-2020 წლებში:</b>		<b>227</b>	<b>140 (61.7%)</b>
<b>სულ 2018-2020 წლებში:</b>		<b>288</b>	<b>199 (69.1%)</b>

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანის შედეგის ინდიკატორი **სრულად შესრულდა** და 45 სახელმწიფო

უწყების პოლიტიკის დაგეგმვის სტრუქტურულ ერთეულში საჯარო მოხელეთა შესაძლებლობები გაძლიერდა.

გარდა ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან პირდაპირ დაკავშირებული პროგრესისა, 2020 წელს ამოცანა 1.1-ის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

OECD/SIGMA-ს მიერ 2018 წელს ჩატარებული საბაზისო კვლევის ანგარიშის მიხედვით, საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების

გამართვის კომპონენტში საქართველო 0 ქულით შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეფორმის მეორე ტალღის ფარგლებში, დაიგეგმა საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და მის საფუძველზე „საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის“ შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში, USAID/GGI-ის მხარდაჭერით მომზადდა **საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია**,

<sup>18</sup> დამატებით ერთმა პოლიტიკის დოკუმენტმა („საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია“) ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა 2019 წელს გაიარა და **საქართველოს მთავრობის 2019 წლის დეკემბერშივე წარედგინა დასამტკიცებლად**, თუმცა დამტკიცდა 2020 წლის იანვარში (რის გამოც აღნიშნული დოკუმენტი 2019 წელს წარდგენილ დოკუმენტთა სტატისტიკაშია).



რომელიც საერთაშორისო გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის საფუძველზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთიან სტანდარტს ადგენს და ასევე აღწერს საჯარო კონსულტაციის პროცესს, ეტაპებსა და მეთოდებს. დოკუმენტი მოიცავს კონსულტაციების დაგეგმვის, აუდიტორიის განსაზღვრის, მეთოდების შერჩევის, კონსულტაციის წარმოებისა და კონსულტაციაზე უკუკავშირის უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ანგარიშგებისა და შეფასების ეტაპებს. გარდა ამისა, ინსტრუქცია აღწერს როგორც ელექტრონული, ასევე ფიზიკური კონსულტაციების ტიპებსა და ინსტრუმენტებს.

გლობალური პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამომდინარე, დოკუმენტი დადგენილ ვადებში ვერ წარედგინა რეფორმის საბჭოს ფარგლებში შექმნილ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის წევრებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. თუმცა, დაგეგმილია მისი დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა და უკუკავშირის მიღების შემდეგ, მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქცია მეთერთმეტე დანართად დაემატება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების **სახელმძღვანელოს** და პოლიტიკის ციკლის სხვა ეტაპების მსგავსად, საჯარო მოხელეებს პრაქტიკული რეკომენდაციებითა და ინსტრუქციებით დაეხმარება.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის №2275 განკარგულებით **დამტკიცდა “საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების 2020 წლის გეგმა.”**

მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით №629 დადგენილებამ განსაზღვრა პოლიტიკის დოკუმენტების მთავრობისათვის **ინიცირების წესი**. პოლიტიკის დოკუმენტების ინიცირება ხორციელდება ახალი ინსტრუმენტით - მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების სამოქმედო გეგმით. გეგმის მიზანია, ერთი მხრივ კოორდინაციის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო მეორე მხრივ, დუბლირების გამორიცხვა, ადამიანური და დროითი რესურსის დაზოგვა.

რეფორმის სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებდა სამინისტროებში პოლიტიკის შემუშავების და კოორდინაციის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOPs) შემუშავებასა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებას.

ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობს ექსპერტის შერჩევა სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შესამუშავებლად. საანგარიშო პერიოდში მომზადდა ექსპერტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ToR) და დაიწყო ექსპერტის შერჩევის პროცედურები. ამასთან, აუცილებელია საზგასმით აღინიშნოს, რომ 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებების (№629 დადგენილება) გათვალისწინებით უწყებებს დასჭირდათ გარკვეული პერიოდი. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვაა, რომ ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ გასულიყო გარკვეული დრო და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დაწყებულიყო SOP-ებზე მუშაობა.

**ამოცანა 1.2:**  
**პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:** მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს

საბაზისო, 2018 - N/A	სამიზნე, 2020 - 51%
<b>2020 წლის საბოლოო შეფასება - 100% (სრულად შესრულდა)</b>	
<p>საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის წლიური ანგარიში უნდა წარმოდგენილიყო <b>2020 წელს დამტკიცებულ 1 პოლიტიკის დოკუმენტზე</b> („ქ. რუსთავის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა“). ანგარიში შემუშავდა საქართველოს მთავრობის №629 დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში და ამასთან, <b>აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო სტანდარტებს.</b></p>	

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2:** მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების შუალედური ან საბოლოო შეფასების ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს

საბაზისო, 2018 - N/A	სამიზნე, 2020 - 51%
<b>2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა</b>	
<p>საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებები ამოქმედდა 2020 წლის 1-ლი იანვრიდან. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორით გათვალისწინებული <b>პროგრესის შეფასება 2020 წლის ბოლოსთვის არ არის შესაძლებელი</b>, რადგან 2020 წელს დამტკიცებული არც ერთი პოლიტიკის დოკუმენტი<sup>9</sup> არ საჭიროებს დადგენილი წესის მიხედვით შუალედური ან საბოლოო შეფასების ჩატარებას.</p>	

<sup>9</sup> ელექტრონული ბაზრის მოდელის კონცეფცია; ქ. რუსთავის 2020-2022 წლების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა; საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3:** მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც გამოქვეყნებულია პასუხისმგებელი უწყებების ვებ-გვერდებზე

საბაზისო, 2018 - N/A

სამიზნე, 2020 - 90%

2020 წლის საბოლოო შეფასება - 100% (სრულად შესრულდა)

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის წლიური ანგარიში უნდა წარმოდგენილიყო **2020 წელს დამტკიცებულ 1 პოლიტიკის დოკუმენტზე** („ქ. რუსთავის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა“). **ანგარიში გამოქვეყნებულია პასუხისმგებელი უწყების - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე.**<sup>20</sup>

## 2020 წლის პროგრესი

პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის ერთ-ერთ მიზანს **შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დანერგვა** წარმოადგენს. წესის მიერ ხარისხის შესაბამისობის დადგენის პროცედურის განსაზღვრა პირდაპირ უკავშირდება სამოქმედო გეგმით ჩამოყალიბებულ ამოცანას პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელომ დაადგინა ანგარიშების შემუშავების უნიფიცირებული მიდგომა. სახელმძღვანელოს დანართები განმარტავს მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების შემუშავების ძირითად პრინციპებს. ამასთან, დოკუმენტი პრაქტიკოს საჯარო მოხელეებს მინიმალური ხარისხის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად დეტალურ ინსტრუქციებს სთავაზობს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მთავრობამ 2020 წელს **8 პოლიტიკის დოკუმენტი დაამტკიცა**, რომელთაგან 2019 წლის 20 დეკემბერის №629 დადგენილება **მხოლოდ 3 დოკუმენტზე** - ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის

კონცეფცია, ქ. რუსთავის 2020-2022 წლების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია - ვრცელდებოდა (ვრცლად იხილეთ ამოცანა 1.1, გვ.: 41). მოცემული სამი დოკუმენტიდან, 2020 წლის მონიტორინგის წლიური ანგარიშის მომზადება მხოლოდ ერთ პოლიტიკის დოკუმენტზე - „ქ. რუსთავის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა“ იყო სავალდებულო. ანგარიში შემუშავდა საქართველოს მთავრობის №629 დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში და **აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო სტანდარტებს**. ამასთან, ანგარიში გამოქვეყნებულია პასუხისმგებელი უწყების - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1 და 1.2.3 სრულად შესრულდა**, ხოლო **ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2** (ვინაიდან დამტკიცებული დოკუმენტები არ ითვალისწინებდა ინდიკატორით განსაზღვრული ანგარიშების მომზადებას) - **არ შესრულდა**.

გარდა ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან პირდაპირ დაკავშირებული პროგრესისა, 2020 წელს **ამოცანა 1.2-ის** ფარგლებში, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განვითარების მიზნით, აქტიურად გაგრძელდა მუშაობა **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე**.

2020 წელს **დასრულდა** ელექტრონული სისტემის **ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტზე** მუშაობა, რომლის საფუძველზეც ამ ეტაპზე დეველოპერების მიერ **სისტემის ანალიზი მიმდინარეობს**. გლობალური პანდემიით შექმნილი გამოწვევების ფონზე, სისტემის შემქმნელი უწყების მიერ დეველოპერების რესურსები დისტანციური სახელმწიფო სერვისების განვითარებაზე იქნა მიმართული, რამაც შეანელა სისტემის შემუშავების პროცესი. აღსანიშნავია, რომ

სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული აქტივობის შედეგის ინდიკატორი 2019 წლის III კვარტალში უნდა შესრულებულიყო.

სამთავრობო დონეზე **პოლიტიკის დაგეგმვის ციკლის ყველა ეტაპის ერთიან ელექტრონულ სივრცეში მოქცევა** გაამარტივებს ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, ანგარიშებისა და შეფასების მთლიან პროცესს. ამასთან, უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის პოლიტიკის ციკლს. სისტემის შემუშავება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან<sup>21</sup> ერთად, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით დაინიშნა. პროცესი დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით გრძელდება.

### ამოცანა 1.3:

**ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:** პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ვადები

საბაზისო, 2018 - 4 თვე / 2 თვე

სამიზნე, 2020 - 3 თვე / 1 თვე

2020 წლის საბოლოო შეფასება - **არ შესრულდა**

<sup>20</sup> ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის (2020-2022) 2020 წლის მონიტორინგის ანგარიში.

<sup>21</sup> 2020 წლის 26 ივნისიდან „სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო“.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.2:** კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლების წილი, რომლებმაც „წარჩინებით გაიარა ტრენინგი“

საბაზისო, 2018 - 0%

სამიზნე, 2020 - 70%

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.3:** საბჭოს წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილი ჩართულობა

საბაზისო, 2018 - 30-მდე კომენტარი

სამიზნე, 2020 - საბჭოს წევრი სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაკომენტარებულია გეგმით გათვალისწინებული არანაკლებ 50-მდე აქტივობა

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.4:** იმ სტრატეგიული დოკუმენტებისა და მონიტორინგის ანგარიშების წილი, რომლებიც უწყებების მიერ ხარვეზების გარეშეა შევსებული

საბაზისო, 2018 - 0%

სამიზნე, 2020 - შევსებული დოკუმენტების პირველადი ვერსიების 70%

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

**1.3.1, 1.3.2, 1.3.3, 1.3.4 ამოცანის შედეგის ინდიკატორების** შესრულება დამოკიდებული იყო ამოცანით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე, რომელთა განხორციელების პროცესი საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის, **შეჩერებულია**. პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის (PDCems) ამოქმედების შემდეგ მოდიფიცირდება ან უცვლელად გაგრძელდება ანტიკორუფციული დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების სისტემის მომზადება.

## 2020 წლის პროგრესი

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ეტაპების ელექტრონულ რეჟიმში გადატანის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ანტიკორუფციული მიმართულებით პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად.

2020 წლის დასასრულისთვის განხორციელებულია სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში არსებული ელექტრონული პორტალების შესახებ პრაქტიკის კვლევა. მომზადებულია კვლევის სამუშაო ვერსია. აღსანიშნავია, რომ გეგმის თანახმად, მოცემულ საკითხზე სამუშაო ჯგუფის შექმნა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევა ელ. სისტემის კონცეფციისა და ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტის შემუშავების წინაპირობას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა.

პასუხისმგებელი უწყების განმარტებით, ამოცანით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულება ურთიერთ-

კავშირშია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშების და შეფასების მთავრობის ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნის პროცესთან. კერძოდ, ვინაიდან მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის (PDCems) შემუშავების პროცესი, რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანია, პირველ ეტაპზე ამოქმედდეს PDCems. აღნიშნულის ამოქმედების შემდეგ მოდიფიცირდება ან უცვლელად გაგრძელდება ანტიკორუფციული დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების სისტემის მომზადება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო ეტაპობრივად და საჭიროების მიხედვით დაგეგმავს ვალდებულების განხორციელების შემდგომ ნაბიჯებს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანით განსაზღვრული შედეგის ინდიკატორები **არ შესრულდა**. საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის, ამოცანის (შესაბამისი აქტივობების) **განხორციელება შეჩერებულია**.

**ამოცანა 1.4:**

**მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:** რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment - RIA) საფუძველზე შემუშავებული მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტების წილი

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 5%

**2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა**

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში **RIA-ს შესახებ შეტანილი ცვლილება 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა**, თუმცა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ **არ შემუშავებულა და ინიცირებული არ ყოფილა საკანონმდებლო პაკეტი**, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მთავრობის №35 დადგენილების შესაბამისად **რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ანგარიშის თანდართვას ითვალისწინებდა**.



**2020 წლის პროგრესი**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2019 წლის 29 მაისს განხორციელებული ცვლილების თანახმად<sup>22</sup>, **ორგანულ კანონს დაემატა 17<sup>1</sup> მუხლი**, რომლის შესაბამისად კონკრეტულ სფეროებზე მიმართულ ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ანგარიში. აღნიშნული ცვლილება 2020 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში.

RIA-ს მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვარის №35 დადგენილებით<sup>23</sup> კი **დამტკიცდა „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია“** და განისაზღვრა იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებშიც ცვლილების შეტანის შემთხვევაში სავალდებულოა რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

▶ რომელთა პროექტების მიმართ **დადგენილების ამოქმედებამდე განხორციელებული იყო რეგულირების ზეგავლენის შეფასება;**

2020 წელს RIA-ს თანხლებით საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტს წარედგინა სამი კანონპროექტი (პაკეტი) „**ხეაბიღიგაციისა და კიედიგოხთა კოდექციუხი დაკმაყოფილების შესახებ**“, „**საქაჩთველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**“, „**შეწახმეთა შესახებ**“, - თუმცა თანდართული **რეგულირების ზეგავლენის შეფასებები არ იყო მომზადებული** მთავრობის მიერ 2020 წლის 17 იანვარის №35 დადგენილებით **დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად**, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათზე არ ვრცელდება აღნიშნული დადგენილება. ზემოაღნიშნული სამივე კანონპროექტის (პაკეტის) მიმართ **დადგენილების ამოქმედებამდე განხორციელებული იყო რეგულირების ზეგავლენის შეფასება** (№35 დადგენილება, მუხლი 2, პუნქტი „ა“). აღსანიშნავია, რომ RIA-ს პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, 2020 წელს დაიწყო სამართალშემოქმედებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეთა გადამზადება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება.

USAID-ის პროექტის „**დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში**“ (GGI) მიერ, იუსტიციის

**2020 წელს საქართველოს მთავრობის მიერ არ შემუშავებულა და ინიცირებული არ ყოფილა საკანონმდებლო პაკეტი**, რომელშიც ცვლილების შეტანა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მთავრობის №35 დადგენილების შესაბამისად **რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ანგარიშის თანდართვას ითვალისწინებდა**.

მთავრობის მიერ №35 დადგენილებით **დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომზადებული RIA-ს ანგარიშის თანდართვა სავალდებულო არ არის** იმ საკანონმდებლო აქტებზე:

▶ რომლებიც **დადგენილების ამოქმედებამდე განხილული ან შეთანხმებული იყო საქართველოს მთავრობის სხდომაზე** (№35 დადგენილება, მუხლი 2).

სამინისტროს ტრენინგ ცენტრის ტექნიკური მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის “საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” მონაწილეობით, 2020 წლის 4 მაისიდან 19 ივნისამდე პერიოდში ჩატარდა რეგულირების ზეგავლენის სისტემის დანერგვის დისტანციური ტრენინგი, რომელშიც **იუსტიციის, ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებისა და მთავრობის ადმინისტრაციის 12-მა წარმომადგენელმა** მიიღო მონაწილეობა. ახალი კორონავირუსის პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2020 წლის პირველ კვარტალში შეფერხდა ტრენინგების დაგეგმვა და გამართვა. თუმცა, მიუხედავად გამოწვევებისა, GGI-ის პროგრამის მხარდაჭერით, მოკლე ვადაში დაიგეგმა და დისტანციურ რეჟიმში გადამზადდა საჯარო მოხელეთა პირველი ნაკადი.

2020 წლის 26 ოქტომბრიდან 11 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში **USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროექტის მხარდაჭერით, 11 სახელმწიფო დაწესებულებიდან<sup>24</sup> 19-მა საჯარო მოხელემ** გაიარა აღნიშნული ტრენინგი.

<sup>22</sup> საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 171, საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია აქ.  
<sup>23</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №35, 2020 წლის 17 იანვარი, რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია აქ.  
<sup>24</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, სსიპ შემოსავლების სამსახური, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

2020 წლის მანძილზე სულ გადამზადდა **31 საჯარო მოხელე**.

აღნიშნული მიმართულებით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერებას მუდმივი ხასიათი ექნება და შესაბამისი ტრენინგები რამდენიმე ეტაპად ჩატარდება. გარდა ამისა, RIA-ს სტანდარტებთან დაკავშირებით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის საერთო მიდგომებზე შეჯერების მიზნით, დაგეგმილია

სამუშაო შეხვედრები პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა მონაწილეობით.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანის შედეგის ინდიკატორი **არ შესრულდა**, მიუხედავად იმისა, რომ ამოცანით აღებული ვალდებულებების განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

## შემდგომი ნაბიჯები

- პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის მთავრობისათვის წარდგენა და დამტკიცება;
- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების ერთიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედება;
- სამინისტროებში პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOPs) დოკუმენტების შემუშავება;
- საჯარო მოხელეთა გადამზადების მორიგი ციკლის განხორციელება საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მოდულში.

## რეკომენდაციები

- რაც შეიძლება მოკლე ვადაში დასრულდეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავება;
- გაგრძელდეს და მეტად მასშტაბური ხასიათი შეიძინოს საჯარო მოხელეთა გადამზადებამ საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მიმართულებით.

## ფინანსური ხარჯი, 2020

სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით, 2020 წელს განსახორციელებელ აქტივობათა შესასრულებლად **განსაზღვრული იყო 151 520 ლარის დონორული დახმარება**. აქტივობების ნაწილი საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა გათვალისწინებულზე მეტი - **200 045** ლარი. აღნიშნული სხვაობა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა.

აღსანიშნავია, რომ განსაზღვრულზე (8 720 ლარი) მეტი თანხა (44 112 ლარი) დაიხარჯა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების (პოლიტიკის ანალიზის) ტრენინგ კურსში საჯარო მოხელეთა გადამზადებისათვის.

გარდა ამისა, საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მოდულში მოხელეთა

გადამზადებისთვის გათვალისწინებულზე (25 500 ლარი) თითქმის სამჯერ მეტი (72 490 ლარი) გახდა საჭირო.




# საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა



საჯარო მმართველობის რეფორმის საჯარო სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების მიზანია **ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სამსახურის**

**ჩამოყალიბება**, რომელიც დამსახურების პრინციპზეა დაფუძნებული და უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა და დაფასებას.



## მნიშვნელოვანი მიღწევები:

- განხორციელდა სექტორული კვლევა „საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პრაქტიკის მიმოხილვის შესახებ“, რომლის ფარგლებში გამოიკვეთა ხარვეზები და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები
- მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულმა 224-მა საჯარო მოხელემ გაიარა პროფესიული განვითარების კურსი „მოხელის მენეჯერული უნარები“
- ელექტრონულ პორტალზე [ethics.gov.ge](http://ethics.gov.ge) საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ეთიკის ელექტრონული სასწავლო კურსი

- განხორციელდა კვლევა „პოლიტიკური ზენოლისგან თავისუფალი საჯარო სამსახური“, რომლის შედეგად მომზადდა ანგარიში და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები
- ლიეტუველი ექსპერტების მიერ საჯარო სამსახურის ბიუროსთვის **შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია და შესაბამისი სახელმძღვანელო**
- მომზადდა „პროფესიული საჯარო მოხელის მოტივობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობის N315 დადგენილებით დამტკიცდა

### ამოცანა 2.1:

**დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა**

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:** საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომლებმაც საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინეს მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 90%

**2020 წლის საბოლოო შედეგები - 100% (სრულად შესრულდა)**

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების 100%-მა, საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინა პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმები. შესაბამისად, ბიურომ გააუმჯობესა სამიზნე მაჩვენებელი და სრულად შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.2:** საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომელთა თანამშრომლებს გავლილი აქვთ სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამა

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 60%

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 70% (სრულად შესრულდა)**

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების 70%-მა უზრუნველყო თანამშრომელთა გადამზადება სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამებში. შესაბამისად, ბიურომ გააუმჯობესა სამიზნე მაჩვენებელი და სრულად შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.3:** სამინისტროებში მენეჯერების წილი, რომელთა თანამდებობაზე მიღება მოხდა საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გათვალისწინებული კონკურსის ახალი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად

საბაზისო, 2018 - 20%

სამიზნე, 2020 - 100%

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 100% (სრულად შესრულდა)**

2020 წლის განმავლობაში სამინისტროებში სულ 75 მენეჯერულ პოზიციაზე გამოცხადდა ვაკანსია. ყველა პოზიციაზე, სადაც წარმატებით დასრულდა კონკურსი, მენეჯერები საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გათვალისწინებული კონკურსის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეირჩნენ. შესაბამისად, ბიურომ მიაღწია სამიზნე მაჩვენებელს და სრულად შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის შინაარსი, რომელიც საფუძვლად დაედო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შემუშავებას, დაფუძნებულია პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის დანერგვაზე და გულისხმობს, ისეთი რეგულაციების შემოღებას, რომლის მიზანია პოლიტიკური გავლენისაგან საჯარო სამსახურის გათავისუფლება და სამართლიანი კარიერული ზრდის სისტემის ფორმირება. ამასთან, საჯარო სექტორის ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა მაღალ

**კვალიფიკაცია და მათ პროფესიულ განვითარებაზე.**

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანის მიღწევა სწორედ საჯარო მოხელისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას, სასწავლო პროგრამებში მისი სავალდებულო მონაწილეობის დარეგულირებასა და ამ პროცესში საჯარო დაწესებულების ჩართულობას გულისხმობს.

## 2020 წლის პროგრესი

პროფესიული განვითარების სისტემის შექმნისა და მისი ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 14 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა საჯარო დაწესებულების მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმისა და ანგარიშის ფორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, ერთიანი სტანდარტის შესაბამისად, მოამზადონ პროფესიული განვითარების წლიური გეგმები და ანგარიშები.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო დაწესებულებებმა დაამტკიცეს და ბიუროს წარუდგინეს პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმები, რომელთა საფუძველზე, საჯარო მოხელეებისთვის დაიგეგმა საბაზისო და დამატებითი სასწავლო პროგრამები.<sup>25</sup>

საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი მონაცემების შესაბამისად, პროფესიული განვითარების გეგმების საფუძველზე საბაზისო და დამატებითი პროგრამა 1778 მოხელისთვის დაიგეგმა. აქედან, 227 მოხელისათვის - საბაზისო პროგრამა, ხოლო 1551 მოხელისათვის დამატებითი სასწავლო პროგრამა განისაზღვრა.

ამასთან, 2020 წლის განმავლობაში პირობები განვითარების კუხი - მოხელის მენეჯერული უნაჩები - საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციაზე

**დასაქმებულმა 224-მა საჯარო მოხელემ გაიარა.** პროფესიული განვითარების გეგმების ანალიზისა და ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ, USAID/GGI-ის მხარდაჭერით, განახორციელა სექტორული კვლევა<sup>26</sup> საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პრაქტიკის მიმოხილვის შესახებ.

კვლევის ფარგლებში გამოიკვთა ხარვეზები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე, გაანალიზდა პროფესიული განვითარების ციკლის თითოეული ნაბიჯი, როგორცაა საქართველოს მთავრობის N242 დადგენილებით განსაზღვრული პროფესიული განვითარების საჭიროების იდენტიფიკაციის პროცესები, სასწავლო აქტივობების დაგეგმვა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები.

საჯარო მოსამსახურეებში ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის ნახალისების, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტებისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, USAID/GGI-ის მხარდაჭერით, ელექტრონულ პლატფორმაზე [ethics.gov.ge](http://ethics.gov.ge) შემუშავდა სპეციალური სასწავლო კურსი.

<sup>25</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიული განვითარების პროგრამების ორი სახე: საბაზისო და დამატებითი. საბაზისო პროგრამა სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ღია ან დახურული კონკურსის საფუძველზე პირველად ინიშნება მოხელის თანამდებობაზე დანიშნვიდან ერთი წლის განმავლობაში. დამატებით პროგრამებს საჯარო მოხელე გადის საჯარო დაწესებულების მიერ საჭიროების გამოვლენიდან ორი წლის განმავლობაში.

<sup>26</sup> კვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია აქ.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე, მიმდინარეობს პლატფორმის სატესტო რეჟიმში ფუნქციონირების შემოწმება, რაც პანდემიით შექმნილი სიტუაციისა და სამუშაოს დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის გამო, დროში გახანგრძლივდა. საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის

ბიურომ სამინისტროებისგან გამოითხოვა მოხელეთა საკონტაქტო მონაცემები და ასახა კურსის ელექტრონულ ბაზაში. **2021 წლიდან კურსი ხელმისაწვდომი გახდება საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისთვისაც.**<sup>27</sup>

რეფორმის ფარგლებში, საჯარო მოხელეთა პროფესიულ განვითარებასთან ერთად, ეფექტური და სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია **სამინისტროებში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის მეთოდების ანალიზი.**

სწორედ ამ მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ, USAID/GGI-ის მხარდაჭერით, 2020 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო **სამინისტროებში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის არსებული მეთოდების ანალიზი და განახორციელა კვლევა „პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი საჯარო სამსახური“.** კვლევის ფარგლებში, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბიუროს თანამშრომლები, მონვეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, გამოცდილი ექსპერტების ჩართულობით, საჯარო სამსახურში მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად, იმ თანამედროვე ინსტრუმენტების შესწავლა, რომელიც მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება და შესაძლებელია ქართულ რეალობაშიც წარმატებით დაინერგოს. აღსანიშნავია, რომ კვლევაში

თვისებრივი მონაცემების ანალიზის შედეგებთან ერთად, **მოცემულია რეკომენდაციებიც,** რომლებიც ექსპერტების მიერ ბიუროსთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა.

სამუშაოს დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის გამო, კვლევისთვის საჭირო ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების ორგანიზების პროცესი გახანგრძლივდა და დაგეგმილ ვადას გასცდა. კვლევის საბოლოო შედეგები კი ბიუროს 2020 წლის 29 დეკემბერს წარედგინა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში **ველარ მოხერხდა ანალიზის შედეგების საჯარო განხილვების ფორმატში ორგანიზება,** რომლის ჩატარებაც, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დისტანციურ რეჟიმში მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, **სამივე ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულდა.** აღნიშნული მიუთითებს, რომ ბიურომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და ამოცანა 2.1-ის განხორციელების პერიოდში **ყველა შედეგის ინდიკატორი სრულად შეასრულა.**

**ამოცანა 2.2:**

**საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის აღსრულების ხელშეწყობისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით**

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:** საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადინების პროცენტული რაოდენობა

საბაზისო, 2018 - 9%	სამიზნე, 2020 - 5%
<b>2020 წლის საბოლოო შეფასება - 6% (ნაწილობრივ შესრულდა)</b>	
საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადინების პროცენტული რაოდენობა 2020 წლის მონაცემებით არის <b>6%</b> . აღნიშნული მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმის დასასრულს, ბიურო მეტწილად მიუახლოვდა სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად ვერ შესრულდა.	

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2:** საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა

საბაზისო, 2018 - 94%	სამიზნე, 2020 - 100%
<b>2020 წლის საბოლოო შეფასება - 94% (არ შესრულდა)</b>	
საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებული 36 პოზიცია, რომელთაგან 2 ვაკანტურია. შესაბამისად, ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა საანგარიშო პერიოდისთვის 94%-ს შეადგენს. შესაბამისად, ბიურომ საბაზისო მაჩვენებელი ვერ გააუმჯობესა და ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად ვერ შესრულდა.	

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.3:** საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა წილი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საჯარო სამსახურის კანონთან დაკავშირებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში

საბაზისო, 2018 - 50%	სამიზნე, 2020 - 60%
<b>2020 წლის საბოლოო შეფასება - 80% &lt; (სრულად შესრულდა)</b>	
შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ბიუროს ყველა დეპარტამენტის თანამშრომელმა (80%-ზე მეტმა) გაიარა ერთი ან მეტი ტრენინგი სხვადასხვა საკითხებზე. გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა მიუთითებს, რომ ბიურომ გააუმჯობესა სამიზნე მაჩვენებელი და სრულად შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.	

<sup>27</sup> სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის წლიური ანგარიში, გვ. 18. ანგარიში ხელმისაწვდომია აქ.



## 2020 წლის პროგრესი

საჯარო სამსახურის ბიურო, როგორც საჯარო სამსახურის რეფორმის წამყვანი უწყება, მიზნად ისახავს სიტუაციის ანალიზზე, კვლევებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაიხვეწოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, გაუმჯობესდეს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვა და დაინერგოს ელექტრონული მმართველობის პროექტები.

შესაბამისად, საჭიროა თავად საჯარო სამსახურის ბიუროს

- ▶ კიბერუსაფრთხოება;
- ▶ სექსუალური შევიწროების პრევენცია სამუშაო ადგილზე;
- ▶ საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებთან ჰარმონიზაცია;
- ▶ სტრატეგიული დაგეგმვა და მენეჯმენტი;

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციის ეფექტიანი ინსტრუმენტების გამოყენებისა და ინფორმაციის სათანადოდ მიწოდების მიზნით, ლიეტუველმა ექსპერტებმა შეიმუშავეს ბიუროს კომუნიკაციის სტრატეგია და სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის ინსტრუმენტებს, მედიასთან ურთიერთობის ინსტრუქციებს და შიდა კომუნიკაციის სახელმძღვანელო პრინციპებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2019 წლის ბოლოს ბიუროს გვერდის [www.csb.gov.ge](http://www.csb.gov.ge) დიზაინი შეიცვალა და მასზე განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ბევრად უფრო გამარტივდა. საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე ანგარიშების, კვლევების და სიახლეების განთავსება უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება.

შესაძლებლობების ზრდა, რათა ბიურომ სათანადოდ უხელმძღვანელოს და ზედამხედველობა გაუწიოს რეფორმის განხორციელების პროცესს და საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოს სხვადასხვა მიმართულებით რეკომენდაციებით.

საანგარიშო პერიოდში, შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესაბამისად, **ბიუროს ყველა დეპარტამენტის თანამშრომელმა გაიარა ერთი ან მეტი ტრენინგი შემდეგ საკითხებზე:**

- ▶ ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია;
- ▶ წარმატებული ადამიანების მართვა;
- ▶ პროექტის მენეჯმენტი.

ლიეტუველმა ექსპერტებმა ასევე შეაფასეს საჯარო სამსახურის ბიუროს შემდეგი ოფიციალური ვებგვერდები: [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge); [www.ehrms.ge](http://www.ehrms.ge) და [www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge) და მათი გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავეს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდია ასევე [www.mkhileba.gov.ge](http://www.mkhileba.gov.ge), რომლის ფუნქციონალიც საანგარიშო პერიოდში არ გადახედია.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, 3 ამოცანის შედეგის ინდიკატორიდან ორი ნაწილობრივ, ხოლო ერთი სრულად შესრულდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა ამ მიმართულებით უწყებამ აქტიური მუშაობა კვლავ უნდა განაგრძოს.

## შემდგომი ნაბიჯები


- კვლევის „პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალი საჯარო სამსახური“ საჯარო განხილვა

## რეკომენდაციები

- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს როგორც ვებგვერდ [mkhileba.gov.ge](http://mkhileba.gov.ge)-ს ფუნქციონალის გადახედვა და, საჭიროებისამებრ, მისი განახლება, ასევე ვებგვერდ [csb.gov.ge](http://csb.gov.ge)-ზე განთავსებული ინფორმაციის განახლება.


## ფინანსური ხარჯი, 2020

სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2020 წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობებისთვის (მათ შორის 2019 წელს შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობებისთვის) გათვალისწინებული იყო მხოლოდ **დონორული დახმარება 368 610 ლარის** ოდენობით, საიდანაც ათვისებულ იქნა **364 810 ლარი**. საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ვინაიდან **გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი** გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.







# ანგარიშვალდებულება



ანგარიშვალდებულებული მმართველობა საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. აღნიშნული მიმართულებით რეფორმის მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების კეთილსინდისიერებისა და მთავრობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა.

OECD/SIGMA-ს მიერ დადგენილი საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, ანგარიშვალდებულების მიმართულებით სამოქმედო გეგმის ამოცანაა ქვეყანაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) ინსტიტუციური მოწყობის გადანაცვება, ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა, ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპებზე მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.



## მნიშვნელოვანი მიღწევები:

- შემუშავდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი
- შეიქმნა ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდი, რომელიც აგრეთვე მოიცავს OGP საქართველოს სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ონლაინ პლატფორმას.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა საპილოტე რეჟიმში დაინერგა

### ამოცანა 3.1:

**ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადანაცვების შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში**

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:** საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების წილი, რომლებმაც შეასრულეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 10%

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს სსიპ-ების მეორადი ინსტიტუციური ანალიზის განხორციელების შემდეგ შეიმუშავებს, რომლის შინაარსიც დაეფუძნება სსიპ-ების ახალი კატეგორიების კანონისმიერ განმარტებას.

საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დანერგვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ 2016-2017 წლებში **ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზი** განახორციელა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები. ამ პროცესის მნიშვნელოვანი გაგრძელების - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სსიპ-ებზე გავრცელებისათვის საფუძვლის მომზადების

**მიზნით** კი, ბიურომ 2018 წელს დაიწყო სსიპ-ების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზი.

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში სსიპ-ების ინსტიტუციური მოწყობის გადასაწყვეტად განისაზღვრა როგორც მათი **ფუნქციებისა და უფლებამოსილებების სიღრმისეული ანალიზის დასრულება, ასევე, კანონპროექტის შემუშავება**, რომელიც ადგენს სსიპ-ების საქმიანობას, კატეგორიებსა და დასაქმებულ პირთა სტატუსს.

## 2020 წლის პროგრესი

საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწის პარალელურად, სსიპ-ების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზზე დაყრდნობით, საჯარო

- ▶ ითვალისწინებს სსიპ-ების კატეგორიებად დაყოფას,
- ▶ განსაზღვრავს მათი შექმნის საფუძვლებს და
- ▶ მათთან მიმართებით ადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელების, საჯარო

სამსახურის ბიურომ შეიმუშავა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც:

საჯარო სამსახურის ბიურომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს მთავრობას განსახილველად 2020 წლის 1 ოქტომბერს წარუდგინა.

სამართლის იურიდიული პირების დაქვემდებარებისა და მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების საკითხს.

შემუშავების პროცესში გაიმართა 3 შიდა განხილვა, რომელსაც სულ 40-მდე მონაწილე დაესწრო. განხილვებში აქტიურად იყვნენ ჩართულები OECD/SIGMA-ს ექსპერტები, მინისტრის მოადგილეები და ცენტრალური საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციების სიჭარბის პირობებში, კანონპროექტი კომპლექსური და მრავალმხრივი პროცესის შედეგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების **ზოგად ფუნქციურ ანალიზზე** დაყრდნობით მომზადდა. გარდა ამისა, კანონპროექტის

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კანონპროექტით განისაზღვრა კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, მათ შორის:

- ▶ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების ვალდებულება,
- ▶ სსიპ-ებისთვის კატეგორიების მიკუთვნება,
- ▶ სსიპ-ებში დასაქმებული პირების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა.

შესაბამისად, კანონპროექტის გარდამავალი პერიოდი ითვალისწინებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებას **2021 წლის 31 დეკემბრიდან**.<sup>28</sup>

ინსტიტუციური ანალიზის პროცესს. საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე დაგეგმილია საჯარო სამართლის იურიდიული პირების **მეორადი ინსტიტუციური ანალიზის** განხორციელება შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის შინაარსიც დაეფუძნება საჯარო სამართლის იურიდიული პირების ახალი კატეგორიების კანონისმიერ განმარტებას. მეორადი ინსტიტუციური ანალიზის შედეგად საჯარო სამსახურის ბიურო, ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესაბამისად, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს ამოცანის შედეგის ინდიკატორი ვერ შესრულდა. უწყებამ ამოცანით აღებული ვალდებულებების განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, თუმცა, სსიპ-ების ფუნქციურ და ინსტიტუციურ ანალიზს დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა. საჯარო სამსახურის ბიურო აგრძელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციური და

### ამოცანა 3.2:

**ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით**

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:** Data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა

საბაზისო, 2018 - 3

სამიზნე, 2020 - 30

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 4 (არ შესრულდა)**

data.gov.ge-ზე ხელმისაწვდომია **30 საჯარო დაწესებულებების 719 მონაცემთა ცხრილი XML და CSV ფორმატში**, რაც მნიშვნელოვანი პროგრესია პორტალზე ღია მონაცემების რაოდენობის ზრდის მიმართულებით. მათ შორის data.gov.ge-ზე გამოქვეყნებულია **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის 4 ღია მონაცემი. მიუხედავად ამისა**, საანგარიშო პერიოდში არ გამოქვეყნებულა ამოცანით გათვალისწინებული სამი საჯარო უწყების 26 ღია მონაცემი.

<sup>28</sup> სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის წლიური ანგარიში, გვ. 15. ხელმისაწვდომია აქ.

ღია მონაცემებს განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ღია მმართველობისა და ანგარიშვალდებულების, ისე ელექტრონული მთავრობის თანამედროვე მოდელებში.<sup>29</sup> საქართველოში შექმნილია ღია მონაცემების პორტალი - data.gov.ge, სადაც ღია მონაცემები დამუშავებად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატში ქვეყნდება. ეს ბიზნესს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს

საშუალებას აძლევს შეუფერხებლად ისარგებლონ საჭირო მონაცემებით, მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაციები, ელექტრონული სერვისები და შედეგად, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი. სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილია რიგი ღონისძიებები ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით.

## 2020 წლის პროგრესი

საანგარიშო პერიოდში სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და სსიპ - „სმართ ლოჯიკის“ (SMART LOGIC) რეორგანიზაციისა და შერწყმის შედეგად შეიქმნა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო.<sup>30</sup>

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შეფერხებებისა და რეორგანიზაციის პროცესის გამო სამოქმედო გეგმით დაგეგმილი სამუშაოები შეყოვნდა, თუმცა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, აგრძელებს საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. კერძოდ, სააგენტომ მოამზადა **ღია მონაცემების პორტალის ახალი ფუნქციონალის აღწერის დოკუმენტი**, რომელიც 2020 წლის 21 იანვარს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) დახმარებით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ბიზნესისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს.

UNDP-ის მხარდაჭერით, პორტალის განახლების მიზნით ტენდერი 2020 წლის IV კვარტალში ორჯერ გამოცხადდა, თუმცა ორივე შემთხვევაში ჩაიშალა. პირველ შემთხვევაში, სატენდერო განაცხადზე არცერთი შეთავაზება არ დაფიქსირებულა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, კანდიდატები სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ღია მონაცემების პორტალი ვერ განახლდა, თუმცა უწყება აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. Data.gov.ge-ს განახლების პროცესი ტენდერში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენისთანავე დაიწყება.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს ამოცანის შედეგის ინდიკატორი ვერ შესრულდა. აღნიშნული ითვალისწინებდა სამი უწყების (სსიპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობის 3-დან 30-მდე გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით, data.gov.ge-ზე ღია მონაცემების რაოდენობა გაზრდილია და პორტალზე ხელმისაწვდომია **30 საჯარო დაწესებულებების 719 მონაცემთა ცხრილი XML და CSV ფორმატში** (მათ შორის არის წინამდებარე ამოცანის შედეგის ინდიკატორით გათვალისწინებული **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის 4 ღია მონაცემი**), **საერთო ჯამში 3.2.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი არ შესრულდა, ვინაიდან კონკრეტული უწყებების მიერ გამოქვეყნებული მონაცემები მხოლოდ 1-ით გაიზარდა.**

პორტალზე გამოქვეყნებული მონაცემების რაოდენობის ზრდას აფერხებს ერთი მხრივ, ღია მონაცემთა განთავსების ნებაყოფლობითი ხასიათი, მეორე მხრივ, data.gov.ge-ის განახლების აუცილებლობა, რომელიც ამ ეტაპზე ტექნიკურად და სისტემურად მოძველებულია. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შეფერხება აგრეთვე გამოიწვია ახალი კორონავირუსის პანდემიამ, რის შედეგადაც აღნიშნული უწყებების მნიერი ადამიანური რესურსი დამატებით დაიტვირთა.

### ამოცანა 3.3:

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, „რეაგირების გარეშე“ სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო, 2018 - 12%

სამიზნე, 2020 - 8%

#### 2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, „რეაგირების გარეშე“ სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებლის გაზომვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ **ელექტრონული სისტემის ამოქმედების შემდგომ, რაც საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა.**

საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით ღირებულებისა და სარგებელის შექმნა საზოგადოების, პარლამენტისა და მთავრობისთვის საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (საა) უმთავრესი მისიაა. საა-ს აუდიტორული საქმიანობის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს რეკომენდაციები და მათი შესრულების

შედეგად მიღწეული პროგრესი. სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების შესაბამისად, რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გაძლიერებას**, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხი.

<sup>29</sup> Open Knowledge Foundation-ის განმარტებით, ღია არის მონაცემები, რომელთა გამოყენება, ხელახალი შექმნა და გავრცელება შეუძლია ყველას.  
<sup>30</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ, 12 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია აქ.



## 2020 წლის პროგრესი

2019 წლის ბოლოს **სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა**.<sup>31</sup> საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა **სისტემის საპილოტე რეჟიმში დანერგვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩართულობით**. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების სამოქმედო გეგმები ARIS აუდიტის მენეჯმენტის სისტემის საშუალებით მომზადდა. შესაბამისად, 2021 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნული რეკომენდაციების მონიტორინგს ელექტრონულად განახორციელებს.

სისტემის ტესტირებაში დამატებით სხვა სამინისტროების მონაწილეობაც იყო განსაზღვრული, თუმცა, დისტანციური მუშაობის რეჟიმმა საჯარო უწყებებთან კომუნიკაცია გაართულა და პროცესი შეფერხდა. აგრეთვე, 2020 წლიდან იგეგმებოდა 2020 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული ყველა აუდიტის ობიექტის სისტემაში ჩართვა, თუმცა, პანდემიამ სისტემის დანერგვის პროცესიც მნიშვნელოვნად შეაფერხა.

ბიუჯეტის მონიტორინგის პლატფორმაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა ვებგვერდის

ფუნქციონალური განახლების შემდგომ დაინერგება, რომელიც ამ ეტაპზე მიმდინარეობს. ელექტრონული სისტემის შემუშავება უზრუნველყოფს მონიტორინგის მაღალ ხარისხს, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას და შეამცირებს “რეაგირების გარეშე” სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტულ მაჩვენებელს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს ამოცანის შედეგის ინდიკატორი ვერ შესრულდა, რადგან არ დანერგოდა საო-ს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. 2021 წლის 1 ივნისამდე უწყება პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლიურ ანგარიშს, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია “რეაგირების გარეშე” სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებლის შესახებ, თუმცა, საგულისხმოა, რომ 3.3.1 ამოცანის მიზნებისთვის, ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის გაზომვა **ელექტრონული სისტემის სარგებლიანობის შეფასებას ემსახურება**. გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული სისტემა საანგარიშო პერიოდში არ ამოქმედებულა, ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვიდან მიღებული შედეგი ამოცანის შესრულებას ვერ შეაფასებს.

### ამოცანა 3.4:

**საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ.**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1:** ცენტრალურ დონეზე, სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმას და მონაწილეობას იღებენ ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 51

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 74% (სრულად შესრულდა)**

2021 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ **ღია მმართველობის შესახებ საჯარო მოხელეთა ცნობიერების კვლევა განახორციელა**, რომელშიც სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა **74%-სთვის** ცნობილია ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს წევრობის შესახებ და გამოთქვამს სურვილს, მონაწილეობა მიიღოს ღია მმართველობა საქართველოს 2021-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში.



## 2020 წლის პროგრესი

ქვეყანაში ღია მმართველობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების შესახებ თანმიმდევრული და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისა და ღია მმართველობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, USAID/GGI-ის მხარდაჭერით, 2020 წლის აგვისტოში ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ (საჯარო მმართველობის სამმართველო, საქართველოს მთავრობის

ადმინისტრაცია) მოამზადა **ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია და ღია მმართველობა საქართველოს კორპორატიული სტილის სახელმძღვანელო (OGP Georgia Brandbook)**. კომუნიკაციის სტრატეგია 3 სამიზნე აუდიტორიას მიემართება:

- ▶ ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დასაქმებული საჯარო მოხელეები,
- ▶ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები,
- ▶ მოქალაქეები.

<sup>31</sup> საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.

გარდა ამისა, შეიქმნა მომხმარებელზე ორიენტირებული ღია მმართველობა საქართველოს პირველი ვებგვერდი - [www.ogp.gov.ge](http://www.ogp.gov.ge), სადაც თავმოყრილია ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს განვითარების დღემდე მიმდინარე რეფორმების შესახებ. ვებგვერდი მოიცავს მონიტორინგის პლატფორმას, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს ონლაინ რეჟიმში მიაღწეონ თვალი ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმების განხორციელებას.

გამომდინარე იქედან, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიამ ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება შეაფერხა, ამოცანის შედეგის ინდიკატორის მოცემული ფორმულირებით გაზომვა არ არის შესაძლებელი. ამის ნაცვლად, საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება, გაზომოს მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს პროცესს და ღია

**კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა:**

- ▶ **80% აცხადებს, რომ სმენია** ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ,
- ▶ **77% იცნობს და იღებს ინფორმაციას OGP-ში საქართველოს წევრობის შესახებ,**
- ▶ **97% გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს OGP საქართველოს 2021-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში.**

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში სამიზნე ჯგუფის 70% მონაწილეობდა, მოცემული შედეგების განზოგადების საფუძველზე ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე **მარჯვენელი (51%) სრულად შესრულებულად** უნდა ჩაითვალოს. კერძოდ, OGP-ში საქართველოს წევრობაზე ინფორმირებულია გამოკითხულთა **74% და ისინი** ამავედროულად გამოთქვამენ სურვილს, OGP საქართველოს 2021-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში

**მმართველობა საქართველოს 2021-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში ისურვებდნენ მონაწილეობის მიღებას.**

ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვის მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა თვითადმინისტრირებული ონლაინ (ანონიმური) კითხვარის გამოყენებით. მიზნობრივი (შეფასებითი) შერჩევის გამოყენებით, კითხვარი ცენტრალურ დონეზე, 11 სამინისტროს პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების 50 თანამშრომელს გაეგზავნა. კითხვარი 35-მა რესპონდენტმა (70%) შეავსო.

საგულისხმოა, რომ OGP საქართველოს წინა სამოქმედო გეგმების შემუშავებაში გამოკითხულთა მხოლოდ 23% (8 რესპონდენტი) მონაწილეობდა. ამის გათვალისწინებით, OGP საქართველოს პროცესზე პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების მნიშვნელოვან ნაწილს აქვს ინფორმაცია და მონაწილეობის სურვილი.

მიიღონ მონაწილეობა.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, OGP-ის მმართველმა კომიტეტმა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმების წარდგენის ვადის გადანევის გადაწყვეტილება მიიღო - საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის წარდგენის საშუალება **2021 წლის ბოლომდე** აქვს.

**ამოცანა 3.5:**

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დანებსებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.1:** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საჯარო დანებსებულებების (სამინისტროების ცენტრალური აპარატები და სსიპ-ები) მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო, 2018 - 15%

სამიზნე, 2020 - 10%

**2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა**

ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გასაზომად საჭიროა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მთავარი აქტივობის განხორციელება, რაც ინფორმაციის თავისუფლების კანონის მიღებას გულისხმობს. გამომდინარე იქედან, რომ საანგარიშო პერიოდში ამოცანით გათვალისწინებული აქტივობები არ განხორციელებულა, ამოცანის შედეგის ინდიკატორი არ შესრულდა.

ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ფარგლებში, მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა. სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებები მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

არსებული კანონმდებლობა და უზრუნველყოს აღნიშნულის თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში. ამ მიმართულებით უმთავრესი აქტივობა **ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის** მიღებას წარმოადგენს.

**2020 წლის პროგრესი**

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, 2019 წლის 4 ოქტომბერს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისა

და მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას მთავრობის №484 დადგენილებით გადაეცა.<sup>22</sup>

<sup>22</sup> საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის №484 დადგენილება.

მთავრობის ადმინისტრაციამ დაიწყო და აქტიურად განაგრძობს კანონპროექტის გაცნობასა და დამუშავებას. ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილმა სიტუაციამ აღნიშნული პროცესი შეაფერხა, თუმცა უწყება მუშაობს შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის მიმართულებით.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანის შედეგის ინდიკატორი არ შესრულდა. აქვე, აღსანიშნავია, რომ მონაცემების განახლების მიზნით, საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნომ შეიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგია და გამოითხოვა ინფორმაცია სამინისტროების ცენტრალური აპარატებისა და მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ 2018 და 2020 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოსულ

განცხადებებთან დაკავშირებით. შედეგად, შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობიდან ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებელი ერთი და იმავე მეთოდოლოგიით გაიზომა.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგი - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის 5%-იანი შემცირება არ აღინიშნება. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი 2018 წელს 4.8%-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს - 4.74%-ს.

	2018	2020
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შემოსული განცხადებების ჯამური რაოდენობა	64815	48747
შემოსული მოთხოვნებიდან სრულად დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა	91.1%	90.16%
შემოსული მოთხოვნებიდან ნაწილობრივ დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა	1.1%	1.67%
შემოსული მოთხოვნებიდან სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების რაოდენობა	4.8%	4.74%
შემოსული მოთხოვნებიდან იმ განაცხადების რაოდენობა, რომელზეც სხვა მიზეზით უწყებას პასუხი არ გაუცია (დარჩა განუხილველი, გადაიგზავნა სხვა უწყებაში რეაგირებისთვის და სხვა.)	2.2%	2.87%



### შემდგომი ნაბიჯები

- სსიპ-ების ახალი კატეგორიების კანონისმიერ განმარტებაზე დაყრდნობით საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციურ ანალიზის განხორციელება და მათ მოწყობასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შემუშავება;
- ღია მონაცემების პორტალის - data.gov.ge განახლება და პორტალზე ახალი ღია მონაცემების დამატება;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის სრულად ამოქმედება და სახელმწიფო უწყებების ჩართვის მიზნით აქტიური საკომუნიკაციო ღონისძიებების განხორციელება;
- ღია მმართველობა საქართველოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სამუშაო პროცესის ორგანიზება და საჭიროების შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის კოორდინაცია.



### რეკომენდაციები

- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ განახორციელოს საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციური ანალიზი და შეიმუშაოს რეკომენდაციები მათ მოწყობასთან დაკავშირებით;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ღია მმართველობის ახალი სამოქმედო გეგმის მომზადება და საჯარო კონსულტაციების გამართვა;
- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების განხორციელების პროცესში სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართვა (მათ შორის, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების), ვინაიდან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებას სწორედ გარე აქტორების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ დაგეგმოს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით სამუშაო პროცესი.



## ფინანსური ხარჯი, 2020

ანგარიშვალდებულების ქვეთავში დაგეგმილი ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების<sup>33</sup> შესრულების მიზნით სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო **167 500 ლარი**. აქედან, **სახელმწიფო ბიუჯეტიდან** გამოყოფილი იყო **11 400 ლარი**, საიდანაც **5 700 ლარი** (3.1.3.3. აქტივობის შედეგის ინდიკატორი) არ დაიხარჯა.

ანგარიშვალდებულების ქვეთავში განეული სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი **დონორული დახმარების** მეშვეობით განხორციელდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მიზნით სულ დაიხარჯა **230 334.79 ლარი**, რომელიც მოიცავს როგორც 2019 წელს დაგეგმილი დაუსრულებელი აქტივობ(ებ) ის განხორციელების ხარჯებს, ასევე, ელექტრონული პლატფორმების/ვებგვერდების შექმნისა და განახლების პროცესში საჭირო დამატებით ფინანსებს.



<sup>33</sup> როგორც 2020 წელს დაგეგმილი აქტივობები, ასევე, 2019 წლის მონიტორინგის ანგარიშისა და 2020 წლის პროგრეს ანგარიშის მიერ ნაწილობრივ და/ან არ შესრულებულად შეფასებული აქტივობები.





# IV სახელმწიფო სერვისების მინოდება



საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების მინოდების მიმართულებით, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია **სახელმწიფო სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესება**. აღნიშნულის

პრაქტიკაში განსახორციელებლად, ფუნდამენტურია სახელმწიფო სერვისების **შექმნის, მინოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის** შემუშავება, დამტკიცება და პრაქტიკაში დანერგვა.



## მნიშვნელოვანი მიღწევები:

- ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში **შემუშავდა 5 სახელმძღვანელო** (სერვისების დიზაინის, სერვისების მინოდების, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის, შეფასების ერთიანი ჩარჩოსა და სერვისების თვითღირებულების გაანგარიშების სახელმძღვანელოები);
- **იუსტიციის სახლის შემდგომ შსს-ს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრში დაინერგა** ევროკავშირში შექმნილი და აპრობირებული ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - **საერთო შეფასების ჩარჩო (CAF)**;
- საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადდა კიბერპიჯიენის სასწავლო მასალა, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა;

- სერვისების მიმართულებით **შეიქმნა სხვადასხვა ტრენინგ-მოდული**, რომლის შესაბამისად გადამზადდნენ სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომლები;
- My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების რაოდენობა **700-მდე გაიზარდა**;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირდა **შსს-სა და შემოსავლების სამსახურის სერვისები**.

სახელმწიფო სერვისების ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნის გარშემო რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო

გეგმის ფარგლებში **4 ურთიერთდაკავშირებული ამოცანა ჩამოყალიბდა**:

### ამოცანა 4.1:

**მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება**

### ამოცანა 4.2:

**სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მინოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით**

## ამოცანა 4.3:

სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

## ამოცანა 4.4:

სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:** სახელმწიფო სერვისების შექმნის და მიწოდების პოლიტიკის დოკუმენტის (PSDP) დამტკიცების შემდეგ, ცენტრალურ დონეზე შექმნილი/ადაპტირებული სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 15

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1:** PSDP-ის დამტკიცების შემდეგ შექმნილი/ადაპტირებული ცენტრალური სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს ერთიანი სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 15

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისად, ამოცანის 4.1.1 და 4.2.1 შედეგის ინდიკატორების გაზომვა შეუძლებელია. საყურადღებოა, რომ ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი სამოქმედო გეგმის თანახმად 2019 წლის III კვარტალში უნდა დამტკიცებულიყო. წლიური მონიტორინგის ეტაპზე მიმდინარეობს სტრატეგიის საკვანძო საკითხების მოგვარებაზე მუშაობა, რის შემდეგაც დოკუმენტი მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1:** სახელმწიფო სერვისების რაოდენობა, რომელთა ხარისხი შეფასებულია სერვისის ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 5

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდისათვის შექმნილია სახელმწიფო სერვისების ინდექსის მეთოდოლოგია, თუმცა არ შემუშავებულა სერვისების ინდექსის ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ სახელმწიფო სერვისების რაოდენობის იდენტიფიცირება, რომლებიც ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასდა. შესაბამისად, 4.3.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელია.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.2:** 3 სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელი უწყების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 70%

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა ახალ სტანდარტზე დაყრდნობით და არ შეფასებულა უწყებების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე. შესაბამისად, 4.3.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელია.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.4.1:** ახლადშექმნილი/ადაპტირებული საჯარო სერვისების რაოდენობა, რომელთა ფასწარმოქმნა განხორციელდა ფასწარმოქმნის ახალ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 15

2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა

მონიტორინგის ეტაპზე შექმნილია სახელმწიფო სერვისების ხარჯთაღრიცხვის სტანდარტი სახელმძღვანელოს სახით, რომელიც საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა. აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვის შედეგად, შესაძლებელი გახდება იმ ახლადშექმნილი თუ ადაპტირებული სერვისების რაოდენობის იდენტიფიცირება, რომელთა ფასწარმოქმნაც ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განხორციელდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე 4.4.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელია.

2017-2018 წლების განმავლობაში სახელმწიფო სერვისების მიწოდების კომპონენტის ფარგლებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა **ერთიანი პოლიტიკის შექმნისთვის სწორი საფუძვლის მომზადებაზე**. პროცესი შემდგომ პერიოდშიც თანმიმდევრულად გაგრძელდა.

**სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება**, რაც გულისხმობს სახელმწიფო სერვისების

- ▶ სერვისის დიზაინის გზამკვლევი და ინსტრუქცია
- ▶ სერვისის მიწოდების სახელმძღვანელო და პროცედურები
- ▶ ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია

## 2020 წლის პროგრესი

წლიური მონიტორინგის ეტაპზე სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, UN-DP-ის მხარდაჭერით, **შესაბამის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებთან ერთად, შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელიც საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულია.**

ახლადშემუშავებულ ერთიან სტრატეგიაში შემოთავაზებულია საერთო მიდგომები სახელმწიფო სერვისების

- ▶ **არ არსებობს სახელმწიფო სერვისებისა და სახელმწიფო სერვისის მიწოდებელი უწყების განმარტება საკანონმდებლო დონეზე;**
- ▶ ვინაიდან არ არსებობს სახელმწიფო სერვისის საკანონმდებლო განმარტება, **ვერ ხერხდება სახელმწიფო სერვისების მიწოდებელი უწყებების სრული**

საანგარიშო პერიოდში საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს ფარგლებში შექმნილი სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებების აქტიური ჩართულობითა და საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით, **შემუშავდა სახელმწიფო სერვისების დიზაინის სახელმძღვანელო და ინსტრუქცია**. სერვისების დიზაინის დოკუმენტში წარმოდგენილი ინსტრუმენტები და მეთოდები აყალიბებს ერთიან, სტანდარტიზებულ მიდგომას, რომელიც სახელმწიფო სერვისების მიწოდებელმა ყველა უწყებამ თანმიმდევრულად უნდა გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო შემუშავება მნიშვნელოვნად ჩამორჩა მისი განხორციელებისათვის თავდაპირველად განსაზღვრულ ვადას (2019 წლის IV კვარტალი). პანდემიის გავრცელებამ ჯერ შეაფერხა, შემდგომ კი გააუქმა საერთაშორისო ექსპერტის ორი ვიზიტი საქართველოში, რამაც აქტივობის განხორციელების ვადების ცვლილება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სერვისების დიზაინის სახელმძღვანელო და დიზაინის ინსტრუმენტების გამოყენების ინსტრუქცია შინაარსობრივად სრულად შემუშავებული და დასრულებულია, **საანგარიშო პერიოდში მისი საჯარო პრეზენტაცია არ გამართულია.**

უწყების თანახმად, **ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებული ყველა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს** (სერვისების დიზაინის, სერვისების მიწოდების, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის, შეფასების ერთიანი ჩარჩოსა და სერვისების ხარჯთაღრიცხვის სახელმძღვანელოები) **საჯარო პრეზენტაცია ერთად** მას შემდეგ გაიმართება, რაც დასრულდება მათ დიზაინზე მუშაობა და სახელმძღვანელოები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ექსპერტის

შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების **ერთიანი სტრატეგიის შექმნას**, მნიშვნელოვანი წინაპირობაა სერვისების ქვე-თავის პირველი 4 ამოცანის **მსხვილი აქტივობების შესრულების პროცესში.**

**ერთიან პოლიტიკის დოკუმენტს კონცეპტუალურად ეყრდნობა და მასში იდენტიფიცირებულ გამოწვევებს ეხმარება შემდეგი ძირითადი დოკუმენტები:**

- ▶ სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფცია
- ▶ მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასების მეთოდოლოგია
- ▶ ერთიანი შეფასების ჩარჩოს მეთოდოლოგია (CAF)

მიმწოდებელთათვის, რათა მოქალაქეების ჩართულობითა და მათ საჭიროებებზე დაყრდნობით შეიქმნას სერვისები, დაიხვეწოს მათი მიწოდების პრაქტიკა და საბოლოო ჯამში, სერვისები გახდეს უფრო ეფექტიანი და მაქსიმალურად მორგებული მომხმარებელთა საჭიროებებზე.

უწყების ინფორმაციით, სერვისების ერთიანი სტრატეგიის დამტკიცებას **ორი ურთიერთდამოკიდებული ფაქტორი აფერხებს:**

**იდენტიფიცირება**, რათა, ერთი მხრივ, განისაზღვროს კონკრეტულად რომელი უწყებები ექცევა სტრატეგიის რეგულირების ქვეშ, ხოლო მეორე მხრივ, სამოქმედო გეგმაში უფრო გაზომვადი, რეალისტური და შედეგზე ორიენტირებული ამოცანებისა და აქტივობის შედეგის ინდიკატორები გაიწეროს.

ჩართულობით, ინგლისურ ენაზე **მომზადდა სახელმწიფო სერვისების დიზაინის ტრენინგ-მოდული** და შესაბამისი სატრენინგო მასალები. ამასთან, ონლაინ ფორმატში **ჩატარდა სერვისების დიზაინის ტრენინგთა ტრენინგი, სადაც 8 მონაწილე გადამზადდა**. მას შემდეგ, რაც ტრენინგ-მოდული ქართულად ითარგმნება და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენინგ-კატალოგში განთავსდება, ის დაინტერესებული პირებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ **უწყებისთვის ამ ეტაპზე შეუძლებელია აქტივობის სრულად შესრულება**, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, “ყველა სერვისის მიწოდებელი უწყების” იდენტიფიცირება ჯერ კიდევ გამომწვევას წარმოადგენს, რის აღმოფხვრაზეც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

მომხმარებელზე ორიენტირებული, სწრაფი, ხარისხიანი და სანდო სახელმწიფო სერვისების შექმნის მიზნით, რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სახელმწიფო სერვისებთან დაკავშირებული საქართველოს **სამართლებრივი ჩარჩოს განახლება და მისი დახვეწა.**

წლიური მონიტორინგის ეტაპზე **სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავების პროცესი დასრულებულია და მომზადებულია დოკუმენტის საბოლოო ვერსია**. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავების პროცესში მიმდინარეობდა შეხვედრები სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფის წევრებთან და დოკუმენტის საბოლოო ვერსიაც მათ უკუკავშირზე დაყრდნობით მომზადდა.

ხაზგასასმელია, რომ გეგმის მიხედვით, ცვლილებათა პაკეტის წარდგენა გათვალისწინებული იყო 2019 წლის IV კვარტლისთვის, თუმცა დოკუმენტის მთავრობის მიერ დამტკიცების პროცესი შეაფერხა ჯერ პანდემიის

გავრცელებამ, ხოლო შემდგომ, **დოკუმენტის წარდგენაზე პასუხისმგებელი უწყების ცვლილებამ**. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნაცვლად, დოკუმენტის მთავრობაზე წარდგენის პასუხისმგებლობა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ აიღო, რისთვისაც დამატებითი დროითი რესურსების მობილიზება გახდა საჭირო.

საანგარიშო პერიოდში **შემუშავდა სახელმწიფო სერვისების მიწოდების სახელმძღვანელო შესაბამისი დანართებით**. სახელმძღვანელოს მეშვეობით, საჯარო სექტორში სერვისის მიწოდებასა და/ან გაუმჯობესებაში ჩართული საჯარო მოხელეები გაეცნობიან მომსახურების განვითარების ძირითად პრინციპებს, ახალი სერვისის დანერგვის

## სახელმწიფო სერვისების ხარისხი

**სერვისის ხარისხის ეროვნული ინდექსი** (ე.წ. სახელმწიფო სერვისის ინდექსი) მიმდინარე რეფორმის განმავლობაში შემუშავებული „სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის“ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ნაწილია, რომელიც ერთიანი სტანდარტების დანერგვის გზით სერვისების ხარისხის უზრუნველყოფასა და მუდმივ შემოწმებას გულისხმობს.

სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება ასევე მოიაზრებს **სერვისების ინდექსის პორტალისა და მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის სტანდარტის შემუშავებას**, ამასთანავე, ითვალისწინებს **თვითშეფასების შეკანონების დანერგვით (საერთო შეფასების ჩარჩო - CAF)** სერვისების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე **შემუშავებულია სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტი**. მასში ასახულია დაინტერესებული მხარეებისა და სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებების უკუკავშირი. ამასთანავე, პარალელურად, მომზადდა საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევის შემაჯამებელი ანგარიში, რაც საფუძვლად დაედო სერვისების ინდექსის ქართული მოდელის შემუშავებას. საანგარიშო პერიოდში **არ შექმნილა სერვისების ინდექსის პორტალი**. უწყების ინფორმაციით, ამ მიმართულებით გამოწვევას და ჯერ კიდევ მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო სერვისების ინდექსთან დაკავშირებული აქტივობების, მათ შორის პორტალის შექმნისა და მის განხორციელებაზე **პასუხისმგებელი უწყების შესაძლო ცვლილება**.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე **შემუშავებულია მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის სტანდარტის სახელმძღვანელო**, რომელშიც ასახულია სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფის წევრთა უკუკავშირი. დოკუმენტის შემუშავების პროცესში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა სერვისების ერთიანი სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებთან, რათა მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიები და სახელმძღვანელოები ლოგიკურ ბმაში ყოფილიყო კმაყოფილების კვლევის სტანდარტის სახელმძღვანელოსთან. სახელმძღვანელოს შემუშავება სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წლის IV კვარტალში იყო გათვალისწინებული, თუმცა შესრულება მნიშვნელოვნად შეაფერხა პანდემიის გავრცელებამ.

საანგარიშო პერიოდში **შემუშავდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ტრენინგ-მოდული**, რომელიც გადაეცა იუსტიციის სასწავლო ცენტრს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მომხმარებელთა

პროცესს, საქართველოში არსებულ საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე **შემუშავებულია სერვისების მიწოდების ტრენინგ-მოდული და შესაბამისი სატრენინგო მასალები, რომელიც გადაეცა იუსტიციის სასწავლო ცენტრს და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია**. სერვისების მიწოდების მიმართულებით ჩატარდა როგორც ტრენინგ-მოდული, ასევე გადამზადდნენ სახელმწიფო სერვისების მიწოდებელი უწყებების წარმომადგენლები (სულ გადამზადდა 12 უწყების 37 თანამშრომელი).

კმაყოფილების კვლევის მიმართულებით ჩატარდა როგორც ტრენინგ-მოდული, ასევე გადამზადდნენ სახელმწიფო სერვისების მიწოდებელი უწყებების წარმომადგენლები (სულ გადამზადდა 14 უწყების 45 თანამშრომელი). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ტრენინგები დაგვიანებით, 2020 წლის IV კვარტალში ჩატარდა, საანგარიშო პერიოდში **უწყებამ ვერ შეძლო სერვისების მიწოდებელ სახელმწიფო უწყებებში მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის განხორციელება**.

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის სახელმწიფო სერვისების ქვეთავის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ **საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა**. სსიპ იუსტიციის სახლთან ერთად, **შსს-ს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრი რიგით მეორე უწყება გახდა, რომელშიც CAF მეთოდოლოგია წარმატებით დაინერგა**.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე **CAF-ის შესახებ ტრენინგ-მოდული და შესაბამისი მასალების შემუშავება სრულად დასრულებულია**. ტრენინგ-პაკეტი დაინერგა იუსტიციის სასწავლო ცენტრის კურიკულუმში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში გაიმართა CAF-ის შესახებ ტრენინგ-მოდული. ასევე ტრენინგების ფარგლებში გადამზადდნენ სახელმწიფო სერვისების მიწოდებელი უწყებების თანამშრომლები (სულ გადამზადდა 12 უწყების 63 თანამშრომელი).

სახელმწიფო სერვისების მიმართულებით ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია **სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება**.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ადგილობრივი სიტუაციის ანალიზისა და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების კვლევა, რაც საფუძვლად დაედო სახელმწიფო **სერვისების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავებას**.<sup>34</sup> სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი რეფორმის სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები, რომელთა უკუკავშირზე დაყრდნობითაც მომზადდა მეთოდოლოგიური დოკუმენტი.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე **შემუშავებულია სახელმწიფო სერვისების განფასების ტრენინგ-მოდული**, რომელიც გადაეცა იუსტიციის სასწავლო ცენტრს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. საანგარიშო

<sup>34</sup> წლიური მონიტორინგის ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია ფინანსთა სამინისტროსთან, რათა შემუშავებული მოდელი მაქსიმალურად თანხვედრაში მოდიოდეს არსებულ გამოწვევებთან და საკანონმდებლო ჩარჩოსთან.

პერიოდში სახელმწიფო სერვისების ხარჯთაღრიცხვის მიმართულებით ჩატარდა როგორც ტრენერთა ტრენინგი, ასევე გადამზადდნენ სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი უწყებების თანამშრომლები (სულ გადამზადდა 13 უწყების 30 თანამშრომელი).

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ხუთი ამოცანის შედეგის ინდიკატორიდან საანგარიშო პერიოდში ვერცერთი შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ უწყების მიერ

არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და ქვეყანაში პირველად შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა **სერვისების დიზაინის, სერვისების მინოდების, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის, შეფასების ერთიანი ჩარჩოსა და სერვისების ხარჯთაღრიცხვის სახელმძღვანელოები**. ერთიანი სტრატეგიის დამტკიცების გაჭიანურებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების პროცესი და სხვა კავშირში მყოფი მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება.

**ამოცანა 4.5:**

**სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით**

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.5.1:** My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდილი რაოდენობა

**საბაზისო, 2018 - 427**

**სამიზნე, 2020 - 470**

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 699 (სრულად შესრულდა)**

საანგარიშო პერიოდში უწყებამ **სამიზნე მაჩვენებელი გააუმჯობესა (გადააჭარბა 48.7%-ით)** და სრულად შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოში დაიხვეწოს **ელექტრონული სერვისების მინოდების** სისტემა იმგვარად, რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოქალაქისთვის.

სწორედ ამ მიზნით, 2012 წელს შეიქმნა **სახელმწიფო სერვისების ერთიანი პორტალი (MY.GOV.GE)**, როგორც საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა. **2020 წლის ბოლოს my.gov.ge-ზე 700-მდე სერვისი იყო ხელმისაწვდომი.**

სამოქმედო გეგმის ამოცანაა მომხმარებლისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ონლაინ სერვისები და კიდევ უფრო მეტმა მოქალაქემ შეიტყოს ასეთი შესაძლებლობის შესახებ.

- ▶ საქართველოში ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- ▶ მოქალაქისა და ბიზნესისათვის ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა;

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამოცანის საბოლოო შედეგის აქტივობებით, როგორცაა:

✦ **პორტალზე უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა;**

აღსანიშნავია, რომ უკუკავშირის მექანიზმი სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წლის IV კვარტალში უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა პანდემიის გავრცელების გამო, სააგენტოს რესურსები სხვადასხვა მიმართულებით გადანაწილდა. აღნიშნულმა

წლიური ანგარიშის შემუშავების ეტაპისთვის:

- ▶ **პორტალზე ინტეგრირებულია 699 სერვისი**, მათ შორის **2020 წელს დაემატა 231 ახალი სერვისი**. Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა დისტანციურ სერვისებზე და პორტალზე დაგეგმილზე გაცილებით მეტი სერვისი ინტეგრირდა
- ▶ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ **111 მილიონს გადააჭარბა**

აღნიშნულის პარალელურად, მთავრობის მიერ რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში იდენტიფიცირებული **ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სერვისების მინოდებისა და ელ-მომსახურების სფეროში ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა.**

სწორედ ამ პრობლემის სამართლებრივ გადაწყვეტას ემსახურება სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ შემუშავებული საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც საანგარიშო პერიოდისთვის **მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის.**

კანონპროექტის მიზანია:

- ▶ ელექტრონული მომსახურების გამარტივება;
- ▶ ელექტრონული მომსახურების უფრო იაფად, მარტივად და სწრაფად მიღების შესაძლებლობის შექმნა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მომსახურების არაელექტრონული ფორმით მიღების შემთხვევაში.

მიღწევა გულისხმობს პორტალის გაძლიერებას ისეთი

✦ **სახელმწიფო სერვისების გამოყენების სასწავლო მასალის შემუშავება.**

კი ხელი შეუშალა **my.gov.ge-ზე როგორც უკუკავშირის მექანიზმების სრულყოფილად ინტეგრირებას, ასევე ინტერაქტიული დახმარების მოდულის რეალურ რეჟიმში ამოქმედებას.**


▶ 2020 წლის ბოლოსთვის პორტალზე **სულ რეგისტრირებული იყო 209 996 ფიზიკური პირი**, მათ შორის 2020 წლის განმავლობაში პორტალზე სულ დარეგისტრირდა **24 192 პირი**

▶ თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს პორტალიდან გადაიხადოს 83 კომუნალური და სხვა სახის გადასახადები

▶ პორტალზე მიმონერის სერვისის მეშვეობით სახელმწიფო დაწესებულებებში 2020 წლის განმავლობაში გაგზავნილია **63 320 წერილი**

▶ მნიშვნელოვნად გაიზარდა პორტალზე განთავსებული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი - 2018 წლის ბოლოსთვის იყო - 154 396, 2019 წლის ბოლოს - 305 168, **2020 წლის ბოლოს - 423 555.**

My.gov.ge-ზე ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა წლების მიხედვით



სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანის შედეგის ინდიკატორი **სრულად შესრულდა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა.** ხაზგასასმელია,

რომ უწყებამ აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019 წლის მონიტორინგის წლიური ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილზე ადრე სრულად და გადაჭარბებით შეასრულა.

**ამოცანა 4.6:**

**ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს დანერგვა**

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.6.1:** მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული სახელმწიფო სერვისების რაოდენობა

საბაზისო, 2018 - 140

სამიზნე, 2020 - 196

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 192 (ნაწილობრივ შესრულდა)**

წლიური მონიტორინგის ეტაპზე მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სერვისების რაოდენობა არის **192**. საანგარიშო პერიოდში **4.6.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით აღინიშნება 97.9%-იანი პროგრესი**, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უწყებამ მნიშვნელოვნად მიუახლოვდა სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა სრულად ვერ შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.

ელექტრონული მმართველობის ხელშემწყობ ერთ-ერთ წინაპირობას საჯარო სექტორში ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სამოქმედო გეგმის ამოცანაა ამ მიმართულებით აღსრულების მექანიზმების დანერგვა, რათა გიზარდოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა და მიღწეულ იქნეს ურთიერთთავსებადობის მაღალი სტანდარტი.

გადანაწილდა პორტალ data.gov.ge-ს განახლებაზე. ამდენად, უწყების ხელთ არსებული რესურსი არ იყო საკმარისი, რომ რეესტრთა რეესტრის პორტალიც განახლებულიყო. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში **არ მომზადებულა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი პორტალზე ინფორმაციის განთავსების მიმართ აღსრულების მექანიზმების შესახებ.**

საანგარიშო პერიოდში **მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულია შსს-სა და შემოსავლების სამსახურის სერვისები.**

სამოქმედო გეგმის დასასრულს, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ მნიშვნელოვნად გაზარდა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა. მართალია, უწყებამ ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად ვერ შეასრულა, თუმცა ის მნიშვნელოვნად მიუახლოვდა სამიზნე მაჩვენებელს, რაც მიუთითებს, რომ უწყებამ ამ მიმართულებით მუშაობა სამომავლოდაც აქტიურად უნდა განაგრძოს.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე **არ არის განახლებული რეესტრთა რეესტრის პორტალი.** ხაზგასასმელია, რომ დონორთან შეთანხმებით, სააგენტოს მიერ საგრანტო ხელშეკრულებით მიღებული ფინანსური რესურსი სრულად

## ამოცანა 4.7:

## ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს დანერგვა

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.7.1:** კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების შეფასების საერთო შენონილი ქულის ზრდა 20%-ით

საბაზისო, 2018 - 24

სამიზნე, 2020 - 29

**2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა**

წლიური მონიტორინგის ეტაპზე 4.7.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელია. შეფასების საერთო შენონილი ქულა უნდა გამოანგარიშებულიყო უწყებებისგან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თუმცა მათი ინერტულობა და პასიურობა აღმოჩნდა მთავარი მიზეზი, რის გამოც საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ინდიკატორი არ შესრულდა.

მაღალი სტანდარტის მმართველობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და ინფორმაციული სისტემების დაცულობის მაღალი ხარისხი.

ამოცანის მიზნის მიღწევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო უწყებებში ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ისეთი ქმედებების გამოვლენა, რომლებიც მიუთითებს ინფორმაციული სისტემის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევაზე ან მასში შეღწევაზე.

წლიური მონიტორინგის ეტაპისთვის **სატესტო ქსელური სენსორები** განთავსებულია **მხოლოდ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში**. საყურადღებოა, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნულის განხორციელება დამატებით 2 სახელმწიფო უწყებაში. გეგმის მიხედვით, აღნიშნული აქტივობა უნდა განხორციელებულიყო 2019 წლის IV კვარტალში, თუმცა ფინანსური რესურსების არარსებობას დაემატა ის გარემოება, რომ იგეგმებოდა "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" კანონში არსებითი ცვლილებების შეტანა (პროექტის განხილვამ საპარლამენტო ეტაპზე გაიარა 3 მოსმენა, თუმცა, დროებით შეფერხდა), რაც კვლავ

მიმდინარე საკითხია.

საანგარიშო პერიოდში ევროპელი ექსპერტის ჩართულობით, მომზადდა კიბერჰიგიენის სასწავლო მასალა, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა. ამ მიმართულებით დაგეგმილი იყო ტრენერთა ტრენინგის ჩატარებაც, თუმცა პანდემიის გავრცელებით გამოწვეული შეფერხებების გამო, აღნიშნული ვერ განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ წლიური მონიტორინგის ეტაპზე, კურსი არ არის ინტეგრირებული საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამაში.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს, ამოცანის შედეგის ინდიკატორი ვერ შესრულდა. 2019 წელს შემუშავებული კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, საჭირო იყო უწყებებს მისცემოდათ დრო, რათა ჩაეტარებინათ შესაბამისი სამუშაოები, რის შემდეგაც დადგინდებოდა, თუ რა დონეზე იმყოფებიან ისინი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის კუთხით. შეფასება დაგეგმილი იყო 2020 წლის ბოლოს, თუმცა უწყებების პასიურობის გამო, შეფასების საერთო შენონილი ქულის გამოანგარიშება ვერ მოხერხდა.



### შემდგომი ნაბიჯები

- სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის მთავრობისთვის წარდგენა;
- სახელმწიფო სერვისების დიზაინის ტრენინგ-მოდულის საბოლოო ვერსიის შემუშავება და მისი ინტეგრირება სასწავლო ცენტრის კატალოგში.
- სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის თანმდევნი და მასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების დამტკიცება და საჯარო პრეზენტაცია;



### რეკომენდაციები

- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოკლე ვადებში უზრუნველყოს სერვისების მიწოდების ერთიანი სტრატეგიის მთავრობისთვის წარდგენა;
- რეფორმის საბჭოს ფარგლებში არსებულ სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფთან ერთად, სამუშაო ფორმატში იდენტიფიცირდეს სახელმწიფო სერვისების მიწოდებელი უწყებების სრული ჩამონათვალი;
- უზრუნველყოფილ იქნეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მოკლე ვადებში დამტკიცება, რომელიც საკანონმდებლო დონეზე სახელმწიფო სერვისებისა და სახელმწიფო სერვისის მიწოდებელი უწყების მნიშვნელობას განმარტავს;
- გაგრძელდეს My.gov.ge-ზე უკუკავშირის მექანიზმების ინტეგრირების პროცესი;

- განახლდეს რეესტრთა რეესტრის პორტალი და მასზე ინფორმაციის განთავსების მიმართ აღსრულების მექანიზმების შესახებ მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილება;
- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ განაგრძოს აქტიური თანამშრომლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რათა სკოლებისთვის შემუშავებული კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინა ინტეგრირდეს საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამაში.
- მოძიებულ იქნეს ფინანსები სატესტო ქსელური სენსორების დამატებით 2 უწყებაში განთავსებისთვის;
- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ განახორციელოს უწყებათა შეფასება, რათა დადგინდეს რა დონეზე იმყოფებიან ისინი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით.



## ფინანსური ხარჯი, 2020

სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2020 წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობებისთვის (მათ შორის 2019 წელს შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობებისთვის) გათვალისწინებული იყო მხოლოდ **დონორული დახმარება**.

საანგარიშო პერიოდში **არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები**, ვინაიდან **გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი** გეგმის ბიუჯეტის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილ და დახარჯულ თანხებს შორის სხვაობა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა: საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა დონორის თანხა (2,500 ლ.), რომელიც გათვალისწინებული იყო სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის საბოლოო ვერსიის დასამტკიცებლად მომზადებისთვის. საანგარიშო პერიოდში არ ათვისებულა სახელმწიფო უწყებებში ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემის დასაწერად განკუთვნილი თანხა (442 000 ლ.), რომლითაც უნდა მომხდარიყო აპარატურის შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში ასევე არ ათვისებულა რეესტრთა რეესტრის პორტალზე ინფორმაციის განთავსების მიმართ აღსრულების მექანიზმების შემუშავებისთვის

განკუთვნილი თანხა (3 000 ლ.). არ დახარჯულა სერვისის ინდექსის პორტალისთვის განკუთვნილი თანხა (133 700 ლ.). ასევე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის ათვისებული მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევისთვის განკუთვნილი თანხა (150 000 ლ.).







# V

## საჯარო ფინანსების მართვა



საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. პროგრესს ადასტურებს ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებული ღია ბიუჯეტის კვლევა (2017),<sup>35</sup> რომლის მიხედვით, საქართველომ 82 ქულით მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის მე-5 ადგილი დაიკავა და სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში მოექცა.

მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საჯარო ფინანსების მართვის კომპონენტის მიზანს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად, **საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება, ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა** წარმოადგენს.



### მნიშვნელოვანი მიღწევები:

- 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) პირველად აისახა ინფორმაცია **5 ახალი პოლიტიკის მიმართულების ბიუჯეტზე გავლენის შესახებ**
- ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების გაუმჯობესების მიზნით დაინერგა **საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელი**
- განისაზღვრა იმ სახელმწიფო საწარმოთა კრიტერიუმები, რომლებიც იდენტიფიცირდებიან **საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდპ)** და დამტკიცდა **სდპ სტატუსის მქონე პირების განახლებული სია**
- შემუშავდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში **საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალი (eBTPS)**

- შემუშავდა **სახელმწიფო საწარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის პროექტი**, რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა კორპორატიული მართვის ძირითად პრინციპებს
- ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტმა მოიცვა **სახელმწიფო საწარმოთა 92%**
- მომზადდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის, მისი შესრულების ანგარიშებისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) **მოქალაქის გზამკვლევი**
- საქართველომ შეინარჩუნა **მე-5 ადგილი 117 ქვეყანას შორის** 2019 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით და **6 ქულით გააუმჯობესა შედეგი მოქალაქეები მონაწილეობის კუთხით.**

<sup>35</sup> ღია ბიუჯეტის კვლევა, 2017 წელი, ხელმისაწვდომია აქ.

**ამოცანა 5.1:**

**ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1:** ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) ხარისხი

**საბაზისო, 2018 - BDD ნათლად არ ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ**

**სამიზნე, 2020 - BDD ნათლად ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ არანაკლებ 2 სამინისტროს მაგალითზე**

**2020 წლის საბოლოო შეფასება - BDD ნათლად ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ 3 სამინისტროს მაგალითზე (სრულად შესრულდა)**

2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) ნათლად ასახავს ინფორმაციას 5 არსებული და ახალი პოლიტიკის მიმართულებების ბიუჯეტზე გავლენის შესახებ.

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.2:** მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების სიზუსტე

**საბაზისო, 2018 - სახელმწიფო ხარჯების და ანგარიშვალდებულების შეფასება - PEFA (PI-3.1 - შეფასება - A)**

**სამიზნე, 2020 - სახელმწიფო ხარჯების და ანგარიშვალდებულების შეფასება - PEFA (PI-3.1 - შეფასება - A)**

**2020 წლის საბოლოო შეფასება - არ შესრულდა**

სახელმწიფო ხარჯების და ანგარიშვალდებულების შეფასება (PEFA) არ არის განახლებული, რაც ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის შეფასებას შეუძლებელს ხდის.

საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება საქართველოს მთავრობის პროგრამისა და სხვადასხვა სექტორის სტრატეგიების საშუალოვადიან პარამეტრებთან თავსებადობას უზრუნველყოფს. ამოცანის მიზანია

გაუმჯობესდეს საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს დაგეგმვის პროცესი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ანალიზისა და საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელის გამოყენებით.

**2020 წლის პროგრესი**

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) პირველად აისახა ინფორმაცია 5 ახალი პოლიტიკის მიმართულების ბიუჯეტზე გავლენის შესახებ.<sup>36</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული ამოცანის შედეგის

ინდიკატორის მიღწევის მიზნით დისტანციურ სამუშაო რეჟიმში განახორციელა კონსულტაციები პილოტ სამინისტროებთან. შედეგად, **BDD ნათლად ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ შემდეგი 3 სამინისტროს მაგალითზე:**

- ▶ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- ▶ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
- ▶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2021 წლის ბიუჯეტის პროექტის პაკეტში, კერძოდ, ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტში და პროგრამული ბიუჯეტის დანართში ასახულია ინფორმაცია შემდეგი არსებული და ახალი პოლიტიკის მიმართულების ბიუჯეტზე გავლენის შესახებ:

**განათლება სკოლამდელი და ზოგადი განათლების პროგრამა - 32 02**

- ▶ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა და შრომის ანაზღაურების ზრდა;
- ▶ „ახალი სკოლის“ მოდელის დანერგვა.

**სოციალური დაცვა მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამა - 27 02**

- ▶ საპენსიო პოლიტიკის ახალი მიმართულება - პენსიის ინდექსაცია.

<sup>36</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2021-2024 წლებისათვის. ხელმისაწვდომია აქ.

**ჯანმრთელობის დაცვა****მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 27 03**

- ▶ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ახალი მიმართულება - სასწრაფოს ბრიგადების თანამშრომლების და ექიმების/ექთნების სამედიცინო დაზღვევის თანადაფინსება.

**შრომა და დასაქმება****შრომისა და დასაქმების სისტემების რეფორმების პროგრამა - 27 05**

- ▶ შრომის პირობების უსაფრთხოების პოლიტიკის ახალი მიმართულება;
- ▶ დასაქმების პოლიტიკის ახალი მიმართულება.

**ეკონომიკური მხარდაჭერა****მენარმეობის განვითარების პროგრამა - 24 07**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ ეკონომიკური მხარდაჭერის პოლიტიკის ახალი მიმართულებები:

- ▶ საკრედიტო-საგარანტიო სქემა;
- ▶ სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ანალიზისა და პროგნოზირებისთვის შემუშავებული საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელის დანერგვისა და გამოყენების კუთხით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით, სასწავლო მიზნებისთვის შეიქმნა ორი მცირემასშტაბიანი საცდელი მოდელი, რის საფუძველზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ აუცილებელი ტრენინგები. **DSGE მოდელში აისახა საქართველოს ეკონომიკის ყველა არსებითი მახასიათებელი**, რაც აუცილებელია პოლიტიკის გავლენის ადეკვატური შეფასებისათვის. მოდელი 2020 წლიდან სრულად გამოიყენება საბიუჯეტო პროცესში. კერძოდ, DSGE მოდელის საშუალებით შეფასდა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სცენარები, მათ შორის COVID-19 პანდემიის გავლენა. უწყების განცხადებით, კადრების მაღალი დენადობის რისკი და გამოცდილი ეკონომისტების მოსაზიდად დაბალი კონკურენტუნარიანობა საფრთხეს უქმნის მოდელის ეფექტურ შენარჩუნებას.

**საქართველოს ფისკალური მოდელის დეტალური აღწერის დოკუმენტი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა.** საავტორო უფლებების დაცვის მიზნით, დეტალური აღწერის დოკუმენტი თავდაპირველად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უნდა გაასაჯაროოს, რის შემდეგაც ის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდება. უწყებამ სამდივნოს მიაწოდა ახალი მოდელის დეტალური აღწერის დოკუმენტი, როგორც აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესრულების დადასტურების წყარო.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში **არ არის**

**ხელმისაწვდომი განახლებული სახელმწიფო ხარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასება (PEFA), რაც შეუძლებელს ხდის 5.1.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვას.** თუმცა, უწყების განცხადებით, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური მოდელის შედეგად მოსალოდნელია პროგნოზირების სიზუსტის მიმართულებით PEFA შეფასების გაუმჯობესება ან ყველაზე არასახარბიელო შემთხვევაში იგივე A დონეზე შენარჩუნება (PEFA-ს მეთოდოლოგიით A შეფასება ხვდება 97 და 106 პროცენტის ფარგლებში).

სამდივნოს შეფასებით, ამოცანის მიზნების ანალიზისა და კორონავირუსის პანდემიის შედეგად პროგნოზებიდან დაფიქსირებული გადახრა (ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები თავდაპირველ გეგმასთან შედარებით შესრულდა 91.1 %-ით, მათ შორის გადასახადები - 89.1 %-ით, გრანტები - 144.4 %-ით და სხვა შემოსავლები - 99.2 %-ით) **PEFA-ს განახლებამდე ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულებულად ჩათვლის საშუალებას არ იძლევა.** მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირებული გადახრა იყო ერთჯერადი და მას არ ექნება გავლენა შემდეგი წლების პროგნოზირების სიზუსტეზე, რეგიონში მომატებული რისკების ფონზე მოსალოდნელია მაკროეკონომიკური საშუალოვადიანი პროგნოზების სიზუსტის გაუარესება.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს **ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულდა** (BDD ნათლად ასახავს ინფორმაციას არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ 3 სამინისტროს მაგალითზე), ხოლო ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.2 არ შესრულებულად ითვლება, რადგან მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების სიზუსტე სახელმწიფო ხარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) განახლებისას გაიზომება.

**ამოცანა 5.2:**

**მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერება**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1:** სახელმწიფო საწარმოთა წილი, რომელსაც ფარავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი

საბაზისო, 2018 - 85%

სამიზნე, 2020 - 95%

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 92% (ნაწილობრივ შესრულდა)**

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი სახელმწიფო საწარმოთა 92%-ს ფარავს (ბრუნვის მიხედვით).

მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერება. კერძოდ, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანია ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური

რისკების ანალიზის განვითარება და სახელმწიფო სანარმოების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რათა გაიზარდოს იმ სახელმწიფო სანარმოთა წილი, რომელსაც ფარავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი.

## 2020 წლის პროგნოზი

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან აქტიური თანამშრომლობით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა **სახელმწიფო სანარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის პროექტი**, რომელიც განსაზღვრავს სანარმოთა კორპორატიული მართვის ძირითად პრინციპებს. მოცემული ანგარიშის მომზადების ეტაპზე იგეგმება საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის დამტკიცება, რომლის მიხედვითაც შეიქმნება სახელმწიფო სანარმოთა რეფორმის საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში იქნებიან საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენლები.

საბჭოს შექმნის ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო სანარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. უწყების ინფორმაციით, სტრატეგიის დამტკიცება 2021 წლის II კვარტალში იგეგმება. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის N584 დადგენილებით განისაზღვრა იმ სახელმწიფო სანარმოთა კრიტერიუმები, რომლებიც იდენტიფიცირდებიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდპ).<sup>37</sup> დადგენილების საფუძველზე, **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის N575 ბრძანებით, დამტკიცდა სდპ სტატუსის მქონე პირების განახლებული სია**.<sup>38</sup> წინამდებარე ანგარიშის მომზადების პერიოდში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 23 თებერვლის N230 ბრძანებით<sup>39</sup> აღნიშნულ სიაში ცვლილება შევიდა და ამ ეტაპზე, სდპ სტატუსი 48 სანარმოს აქვს მინიჭებული.<sup>40</sup>

სახელმწიფო სანარმოთა სდპ-ებად განსაზღვრა მიზნად ისახავს:

- ▶ სანარმოთა ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდას;
- ▶ მათ მიმართ ნდობის ამაღლებას;
- ▶ პარტნიორების და მესამე პირების ინტერესების დაცვას.

სახელმწიფო სანარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგია და სანარმოთა კლასიფიკაცია სახელმწიფო სანარმოების

მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერების მხრივ, **აღსანიშნავია, რომ ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი სახელმწიფო სანარმოთა 92% (ბრუნვის მიხედვით) ფარავს**.<sup>41</sup> აგრეთვე, ფისკალური რისკების ანალიზის ანგარიში მოიცავს სახელმწიფო სანარმოთა სენსიტიურობის ანალიზს, რომელიც 2019 წლის სექტემბერში, USAID GGI-ის მხარდაჭერით, 6 ძირითად სახელმწიფო სანარმოზე დაყრდნობით განხორციელდა.

რაც შეეხება სახელმწიფო სანარმოთათვის კვარტალური და წლიური ანგარიშგების მოთხოვნების შემუშავებას, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სახელმწიფო სანარმოებს ევალებათ ანგარიშგების წარმოდგენა აუდიტორულ დასკვნასთან ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ფისკალური რისკების იდენტიფიცირების დროისა და რისკების შემცირების მიზნით, სახელმწიფო სანარმოთათვის კვარტალური და წლიური ანგარიშგების მოთხოვნების შემუშავების კუთხით 2020 წელს საქართველოს პარლამენტში წარსადგენად მომზადდა ცვლილების პაკეტი, რომელიც ფარავდა ანგარიშგების ვადის 9 თვის ნაცვლად 6 თვემდე შემცირებას, თუმცა, აღნიშნული პაკეტი არ დამტკიცდა.

წინამდებარე ანგარიშის მომზადების პერიოდში, მთავრობა განიხილავს 2021 წლის 11 თებერვალს წარდგენილ განკარგულების პროექტს, რომელიც სდპ სტატუსის სანარმოებისთვის ანგარიშგების წარდგენის განსხვავებული ვადის დაწესებას შეეხება. აგრეთვე, საგულისხმოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა სხვა სახის ანგარიშგებების დაწესების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია სტრატეგიის საბოლოო ვერსიის დამტკიცებაზეც.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს **ამოცანის შედეგის ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა**, რადგან ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი სამიზნე 95%-ის ნაცვლად სახელმწიფო სანარმოთა 92%-ს ფარავს. უწყება სახელმწიფო სანარმოების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით მუშაობას აგრძელებს, რაც ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობას კიდევ უფრო გაზრდის.

<sup>37</sup> ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N584, 29 ნოემბერი, 2019.

<sup>38</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის N 575 ბრძანება. ხელმისაწვდომია აქ.

<sup>39</sup> ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, სდპ სტატუსის მქონე პირების სიაში ცვლილება შევიდა, 23 თებერვალი, 2021. ხელმისაწვდომია აქ.

<sup>40</sup> საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე სამსახურის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირები. ხელმისაწვდომია აქ.

<sup>41</sup> ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი, სახელმწიფო სანარმოები, PPP პროექტები, სტიქიური მოვლენები, გვ. 7, 2020. ხელმისაწვდომია აქ.

**ამოცანა 5.3:**

**ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.1:** ღია ბიუჯეტის ინდექსის შეფასება მოქალაქეთა ჩართულობის და გამჭვირვალობის შესახებ

**საბაზისო, 2018 - 22 ქულა (2017 წ)**

**სამიზნე, 2020 - ქულის გაუმჯობესება (სულ მცირე, შენარჩუნება)**

**2020 წლის საბოლოო შეფასება - 28 ქულა (სრულად შესრულდა)**

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ღია ბიუჯეტის კვლევის (2019) შედეგებით, საქართველომ მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის 81 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და შეინარჩუნა პოზიცია სრულიად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის. ამასთან, **მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელი გაუმჯობესდა და 28 ქულა შეადგინა.**

საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ამოცანაა საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც ღია და გამჭვირვალე მმართველობის წინაპირობაა.

სახელმწიფოს პრიორიტეტია მოქალაქეების ინფორმირება სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესის მიმდინარეობის შესახებ, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების ბრუნვასთან მიმართებით.

 **2020 წლის პროგრესი**

საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით **საბიუჯეტო დოკუმენტაციის, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის, მისი შესრულების ანგარიშებისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების**

**დოკუმენტის (BDD) შესახებ მოქალაქეთა გზამკვლევი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.**<sup>42</sup> აღნიშნული ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია **რედაქტირებად ფორმატში** და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ▶ რას ნიშნავს ტერმინი ბიუჯეტი;
- ▶ რა კომპონენტებისგან შედგება საბიუჯეტო სისტემა;
- ▶ რა ეტაპებისგან შედგება საბიუჯეტო პროცესი;
- ▶ რა სამართლებრივი საფუძვლებით წარმართება საბიუჯეტო პროცესი;

- ▶ რა რეფორმები განხორციელდა და რა შედეგები იქნა მიღწეული საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით;
- ▶ რა პრიორიტეტული მიმართულებები აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს.

აგრეთვე, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის მიზნით, USAID/GGI-ის მხარდაჭერით შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შექმნა **ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალი** (eBTPS – Budget Transparency and Participation System).<sup>43</sup> სისტემა (e-BTPS) მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გაეცნონ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას, ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამებს და დაგეგმონ ბიუჯეტი საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. აგრეთვე, სისტემის მეშვეობით მოქალაქეები მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ დაგეგმილი პრიორიტეტების/ორგანიზაციების ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე. პორტალის საჯარო პრეზენტაცია 2019 წლის 24 დეკემბერს გაიმართა, 2020 წლიდან კი ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მიიღოს მონაწილეობა.

ქვეყნის სტატუსი. საქართველოს 82 ქულა აქვს საბიუჯეტო ზედამხედველობის კატეგორიაში. **ამასთან, მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელი გაუმჯობესდა (2017 წელს - 22 ქულა) და 28 ქულა შეადგინა.**<sup>44</sup>

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს **ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულდა** - 2019 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით **6 ქულით გაუმჯობესდა.**

საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდის მიზნით ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის რეკომენდაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გასატარებელ შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს:

- ▶ დანერგოს საპილოტე მექანიზმები სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმულირების და ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის დროს საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- ▶ პროცესში აქტიურად ჩართოს საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფები პირდაპირი გზით ან მათი ინტერესების წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებული 2019 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey 2019) შედეგებით, საქართველომ 100 შესაძლო ქულიდან 81 ქულით **მსოფლიოს 117 ქვეყანას** შორის **მე-5 ადგილი დაიკავა** და შეინარჩუნა სრულიად გამჭვირვალე

<sup>42</sup> 'საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე - მოქალაქის გზამკვლევი' და 'ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019 - 2022 წლებისათვის მოკლე გზამკვლევი' და მოკლე ბროშურა ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.  
<sup>43</sup> ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ჩართულობის ელექტრონული სისტემა.  
<sup>44</sup> „ღია ბიუჯეტის კვლევა“ 2019: საქართველო. ხელმისაწვდომია აქ.



## შემდგომი ნაბიჯები

- სახელმწიფო საწარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის დამტკიცება;
- ფისკალური რისკების იდენტიფიცირების დროისა და რისკების შემცირების მიზნით, სახელმწიფო საწარმოთათვის კვარტალური და წლიური ანგარიშგების მოთხოვნების შემუშავება.



## რეკომენდაციები


- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო საწარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის დამტკიცება და სახელმწიფო საწარმოთათვის კვარტალური და წლიური ანგარიშგების მოთხოვნების შემუშავება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს და შეიმუშაოს შესაბამისი ნაბიჯები ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის რეკომენდაციების შესრულების მიზნით.



## ფინანსური ხარჯი, 2020



საჯარო ფინანსების მართვის ქვეთავში დაგეგმილი ამოცანებისა და მათი აქტივობების შესრულების მიზნით სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯი.

# VI ადგილობრივი თვითმმართველობა



ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება საჯარო მმართველობის რეფორმის მეექვსე მიმართულებად განისაზღვრა, რომელიც სრულფასოვანი, დეცენტრალიზებული ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნას ისახავს

მიზნად. 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილების გაფართოება და ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.



## მნიშვნელოვანი მიღწევები:

- მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025
- შემუშავდა მუნიციპალიტეტებში დასაწერე ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი

- ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცათ რიგი უფლებამოსილებები განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით
- ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის შემუშავდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა

### ამოცანა 6.1:

#### თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, მათი უფლებამოსილებების გაფართოება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1: ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემად იდენტიფიცირებული უფლებამოსილებების რაოდენობა

საბაზისო, 2018 - 0

სამიზნე, 2020 - 2

2020 წლის საბოლოო შეფასება - 8 (სრულად შესრულდა)

საანგარიშო პერიოდში სამიზნე მაჩვენებელი გადაჭარბებით შესრულდა. ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლებამოსილებები განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში გადაეცათ.

2018 წელს კონსტიტუციის ახალი რედაქციით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რაც კონკრეტული უფლებამოსილებების იმ სახელისუფლებლო დონეზე არსებობას გულისხმობს, სადაც ის უფრო ეფექტიანად

განხორციელდება. შესაბამისად, გაჩნდა საჭიროება გაანალიზდეს ყველა ის უფლებამოსილება, თუ სერვისი, რომელიც დღეს ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ხორციელდება, თუმცა შესაძლებელია, სამომავლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციად იქნეს განხილული.



### 2020 წლის პროგრესი

თვითმმართველობის გაძლიერებისა და მათი უფლებამოსილებების გაფართოების მიზნით **შემუშავდა და გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დამტკიცდა „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია“.**<sup>45</sup> სტრატეგიის შემუშავება რამდენიმე ეტაპად, სამ სამუშაო ჯგუფთან ჩატარებული განხილვების პარალელურად მიმდინარეობდა, სადაც სახელმწიფო უწყებების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები იყვნენ წარმოდგენილი.

**დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავება მნიშვნელოვანი მიღწევა და პრინციპული ნაბიჯია თვითმმართველობაზე მოქალაქეების ფუნდამენტური უფლების რეალიზაციის მიმართულებით** და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებასა და მათ გაძლიერებას ისახავს მიზნად. ამასთანავე, სტრატეგია უფლებამოსილებებისა და შესაბამისი რესურსების მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის გადანაწილებისთვის სამართლებრივ საფუძველს ქმნის.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025 წლების პერიოდში განსაზღვრავს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს:

- ▶ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდა;
- ▶ ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალური და ფინანსური გაძლიერება;
- ▶ სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

სტრატეგიის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილების გაზრდის საკითხი სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საქართველოს ადგილობრივი

თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში იქნა განხილული.<sup>46</sup>

შედეგად, **განათლების სფეროში** დელეგირების მიზნით განისაზღვრა და მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემულია შემდეგი უფლებამოსილებები:

- ▶ საჯარო სკოლების რეაბილიტაცია
- ▶ საჯარო სკოლების მშენებლობა
- ▶ საჯარო სკოლებში ბავშვების ტრანსპორტირება

აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრა და მუნიციპალიტეტებს გადაეცათ **ბავშვის უფლებათა კოდექსით** გათვალისწინებული შემდეგი უფლებამოსილებები:

- ✦ ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვა,
- ✦ საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვა
- ✦ ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულება,
- ✦ ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელება,
- ✦ ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (დამისკლებში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩანერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვა,

უფლებამოსილების გადაცემასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა შემდეგი **საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები:**

- ▶ საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის ორგანული კანონი №5008 – საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ (ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან)<sup>47</sup>
- ▶ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულება, ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ<sup>48</sup>
- ▶ საქართველოს 2020 წლის 9 იანვრის №27 განკარგულება, ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულდა - ადგილობრივი თვითმმართველობებს 8 უფლებამოსილება (სამიზნე - 2) გადაეცათ.

<sup>45</sup> დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 31.12.2019 წლის №678 [დადგენილებით](#).

<sup>46</sup> სამუშაო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: [ბმული 1](#), [ბმული 2](#), [ბმული 3](#).

<sup>47</sup> ხელმისაწვდომია [აქ](#).

<sup>48</sup> ხელმისაწვდომია [აქ](#).



## ამოცანა 6.2:

**ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება**

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.1:** ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემად იდენტიფიცირებული უფლებამოსილებების რაოდენობა

**საბაზისო, 2018 - არ არსებობს ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის კონკრეტული სამოქმედო გეგმა**

**სამიზნე, 2020 - შემუშავებულია ელ. სერვისების განვითარების 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმა**

**2020 წლის საბოლოო შეფასება - შემუშავებულია რეფორმის „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება“ სამოქმედო გეგმა 2019-2021 (სრულად შესრულდა)**

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ რეფორმის - „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება“ განხორციელებისათვის შემუშავდა 25 თვიანი სამოქმედო გეგმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელი კომპონენტია მუნიციპალიტეტებში **ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება** და გაუმჯობესება. დეცენტრალიზაციის სტრატეგია კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიანობის

ასამაღლებლად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემისა და ეფექტიანობის მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების სისტემის დანერგვას ითვალისწინებს.

## 2020 წლის პროგრესი

მუნიციპალიტეტებში დასაწერი ელექტრონული სერვისების იდენტიფიცირების მიზნით კონსულტაციები გაიმართა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო). აგრეთვე, კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლების,

- ▶ HR - ადამიანური რესურსების მართვა;
- ▶ ელექტრონული კანცელარია;
- ▶ work-flow -ს მოდული (ელექტრონული დოკუმენტრუნვა);
- ▶ ონლაინ განცხადებები;
- ▶ სივრცითი დაგეგმარება და ინტერაქტიული რუკა;
- ▶ საკრებულოს საქმისწარმოება;
- ▶ ინფრასტრუქტურული ობიექტების მართვა;
- ▶ მოქალაქის დახმარება;
- ▶ იდეა მერს;

გამჭვირვალობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით შემუშავდა რეფორმის - „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება“ სამოქმედო გეგმა, რომელიც 25 თვიან პერიოდში, 10 სტრატეგიული მიზნის განხორციელებას ითვალისწინებს. შედეგად, მოქალაქეებს ჩამოთვლილი სერვისები

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ააიპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა.<sup>49</sup> შედეგად, განისაზღვრა **მუნიციპალიტეტებში დასაწერი ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი:**

- ▶ უფასო სასაბუღალტრო ბენეფიციართა მართვა;
- ▶ პარკირების მართვა;
- ▶ ტაქსების აღრიცხვიანობა და მონიტორინგი;
- ▶ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვა;
- ▶ მუნიციპალური კალენდარი;
- ▶ დასუფთავება და ნარჩენების მართვა;
- ▶ აქტივების მართვა;
- ▶ სივრცითი მოწყობის მართვის სისტემა სარეკრეაციო ტერიტორიებზე.

ელექტრონულ ფორმატში ადგილობრივ დონეზე 2021 წლიდან მიენოდებათ.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დასასრულს ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულდა - მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების განვითარების მიზნით 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია.

## შემდგომი ნაბიჯები

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით სრულად შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანისა და აქტივობის შედეგის ინდიკატორები.

<sup>49</sup> სამუშაო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ.



## რეკომენდაციები

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს საჯარო მმართველობის რეფორმის 5 ძირითადი მიმართულების ადგილობრივ დონეზე გავრცელების შესაძლებლობა;
- მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე უზრუნველყოფილ იქნას მოქალაქეების მონაწილეობა.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობით გაგრძელდეს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დამატებით გადასაცემი უფლებამოსილებების ანალიზი;



## ფინანსური ხარჯი, 2020

ადგილობრივი თვითმმართველობის ქვეთავში დაგეგმილი ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების მიზნით სამოქმედო გეგმის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო დონორული დახმარება 1 500 ლარის მოცულობით, რომელიც სრულად იქნა ათვისებული.



# რისკები და გამონვევები

## სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რისკები და მათ შესამცირებლად გადადგმული ნაბიჯები

### რეკომენდაცია, პროგრეს ანგარიში 2020

- ⚠️ **1.1** მონაცემების შეგროვების სისტემის არ არსებობა; ადამიანური რესურსის ნაკლებობა; გადამზადებული კადრების გადინება
- ⚠️ **1.2** ადამიანური რესურსების ნაკლებობა; გადამზადებული კადრების გადინება
- ⚠️ **3.1** სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათი
- ⚠️ **3.2** სახელმწიფო უწყებების პასიურობა
- ⚠️ **3.3** სახელმწიფო უწყებების პასიურობა
- ⚠️ **4.1** სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში საჭირო უნარების მქონე ექსპერტების დაქირავების პროცესის გაჭიანურება; ექსპერტების დაქირავებისათვის საჭირო თანხების მოძიების შეფერხება; ახალი სერვისების შექმნის საჭიროების არ არსებობა; ჩართული/პარტნიორი უწყებების დაბალი აქტივობა
- ⚠️ **4.2** ექსპერტის მოძიების პროცესის გართულება; ახალი სერვისების შექმნის აუცილებლობის არ არსებობა.
- ⚠️ **4.3** სერვისის ინდექსის პორტალის შექმნისათვის კომპანიის დაკონტრაქტების გაჭიანურება, ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის დროში გახანგრძლივება, მომხმარებლის კვლევისათვის საჭირო თანხების მოძიების სირთულე.
- ⚠️ **4.4** ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის საჭირო უნარების მქონე ექსპერტის მოძიების სირთულე; ახალი სერვისის შექმნის საჭიროების არ არსებობა.
- ⚠️ **4.5** სახელმწიფო უწყებების პასიურობა
- ⚠️ **4.6** სახელმწიფო უწყებების პასიურობა

### რეკომენდაციის გათვალისწინების პროგრესი

- გეგმის განხორციელების პროცესში **რისკები არ გამოვლინდა.**
- გეგმის განხორციელების პროცესში **რისკები არ გამოვლინდა.**
- გეგმის განხორციელების პროცესში **რისკი ვერ შეფასდა**, ვინაიდან რეკომენდაციები არ მომზადებულა.
- გეგმის განხორციელების პროცესში **რისკი გამოვლინდა**, რამაც ხელი შეუშალა ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულებას. კერძოდ, გეგმით გათვალისწინებული იყო სახელმწიფო უწყებების მიერ data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობის 3-დან 30-მდე გაზრდა, თუმცა საანგარიშო პერიოდში პორტალს მხოლოდ 1 ღია მონაცემი დაემატა.
- გეგმის განხორციელების პროცესში **რისკები არ გამოვლინდა.**
- 4.1-4.4 ამოცანებისთვის ჩამოთვლილთაგან **მხოლოდ ერთი რისკი გამოვლინდა 2019 წელს.** კერძოდ, გაჭიანურდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მოძიების პროცესი, რამაც განხორციელების ვადების ცვლილება განაპირობა. რისკის თავიდან ასაცილებლად, უწყებებმა ინტენსიურად ითანამშრომლეს საერთაშორისო პარტნიორებთან. **2020 წლის განმავლობაში აღნიშნულ ამოცანებთან მიმართებით ჩამოთვლილი რისკები არ გამოვლენილა.**
- გეგმის განხორციელების პროცესში **რისკი გამოვლინდა**, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორის სრულად შესრულებას.
- გეგმის განხორციელების პროცესში **რისკი არ გამოვლინდა.**

**4.7** სახელმწიფო უწყებების პასიურობა

საანგარიშო პერიოდში **რისკი გამოვლინდა.** აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულებას, რადგან სწორედ სახელმწიფო უწყებების მიერ მონოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა გაეზომა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს შეფასების საერთო შენობილი ქულის ზრდა.

**5.1** სწრაფად ცვალებად გარემოში მხარჯავი დაწესებულებების მიერ ახალი პროგრამების ჩამოყალიბებაზე გადაწყვეტილებების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა; PEFA შეფასების ანგარიშის მომზადების ვადებში შეფერხება

გეგმის განხორციელების პროცესში რისკი გამოვლინდა, კერძოდ - PEFA შეფასების ანგარიშის მომზადების ვადებში შეფერხება.

**5.2** ინფორმაციის დაგვიანებით მიღება/ვერ მიღება

გეგმის განხორციელების პროცესში **რისკები არ გამოვლინდა.**

**5.3** შეფასების მეთოდოლოგიის შესაძლო ცვლილება/ 2019-2020 წლებში განხორციელებული ცვლილებების ასახვა 2020 წლის ღია ბიუჯეტის კვლევაზე, რომელიც შესაძლებელია გამოქვეყნდეს 2021 წელს

გეგმის განხორციელების პროცესში **რისკი გამოვლინდა.** კერძოდ, ღია ბიუჯეტის კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში 2020 წლის კვლევა ხელმისაწვდომი არ არის. მიუხედავად ამისა, 2019 წლის პროგრესი ამოცანის ინდიკატორის შეფასების საშუალებას იძლევა.

**6.1** არასაკმარისი ადამიანური რესურსი და კომპეტენციის ნაკლებობა

გეგმის განხორციელების პროცესში **რისკები არ გამოვლინდა.**

**6.2** განმახორციელებელი ორგანიზაციის (სერვისის მომწოდებელი) შერჩევასთან დაკავშირებული შემაფერხებელი ფაქტორები, შესყიდვები და ხელშეკრულების გაფორმების ვადების გახანგრძლივება

გეგმის განხორციელების პროცესში **რისკები არ გამოვლინდა.**

**პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის** მიმართულებით ამოცანათა (1.2; 1.2<sup>50</sup>) განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებზე ნაჯარაუდები იყო:

- ▶ მონაცემების შეგროვების სისტემის არ არსებობა;
- ▶ ადამიანური რესურსის ნაკლებობა;
- ▶ გადამზადებული კადრების გადინება.

მონაცემთა შეგროვების მიმართულებით შესაძლო რისკების შესამცირებლად, მთავრობის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა მთავრობაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების მონაცემთა ბაზა. დაიწყო აღნიშნულის სისტემური განახლება და სამინისტროებში პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით მომუშავე კადრების მუდმივი ინფორმირება. აგრეთვე, სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით 2020 წელს პირველად შემუშავდა და დამტკიცდა მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმა, რომელიც მონაცემთა შეგროვების გამართული და ყველასთვის ხელმისაწვდომი მექანიზმია. ცვლილების შესახებ დეტალური განმარტებები მიეწოდათ შესაბამის უწყებებს. მონაცემთა შეგროვების მიმართულებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, სისტემური მიდგომით **შესაძლებელი გახდა რისკის აღმოფხვრა.**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ზემოაღნიშნული ამოცანების ფარგლებში **ნაჯარაუდები რისკი ადამიანური რესურსის ნაკლებობის შესახებ პრაქტიკაში არ გამოვლინდა.** რაც შეეხება გადამზადებული კადრების გადინების საფრთხეს, არ არის შესაძლებელი შეფასდეს რამდენად გამოვლინდა რისკი, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში გადამზადებული კადრების საჯარო სექტორიდან გადინების შესახებ **ინფორმაცია არ შეგროვებულა.** ამ მიმართულებით ძალისხმევა სრულად იყო მიმართული ახალი ტრენინგ-მოდულების ფარგლებში კადრების გადამზადებაზე. რეფორმის სამდივნოს რეკომენდაციად რჩება **პასუხისმგებელი უწყების მიერ მონაცემების დამუშავება გადამზადებული კადრების გადინების მაჩვენებლის დასადგენად.**

**ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით,** სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში რისკები არ იქნა გამოვლენილი.

**ანგარიშვალდებულების მიმართულებით** ამოცანა 3.1-ის<sup>51</sup> განხორციელების შედეგად, სახეზე უნდა იყოს სსიპ-ების წინასწარ განსაზღვრული წილი, რომლებმაც გაითვალისწინეს

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით. ამ პროცესში სამოქმედო გეგმით რისკად განისაზღვრა

<sup>50</sup> **ამოცანა 1.1:** პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით; **ამოცანა 1.2:** პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

<sup>51</sup> **ამოცანა 3.1:** ეკონომიკის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექვევან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში.

ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათი. ვინაიდან საანგარიშო პერიოდისთვის ბიუროს რეკომენდაციები სსიპ-ებისთვის წარდგენილი არ არის, რისკის მატერიალიზაცია არ არის შესაძლებელი. თუმცა, **რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია დაიგეგმოს სსიპ-ებთან ინტენსიური კომუნიკაცია, რათა მათ ნათლად დაინახონ რეკომენდაციების მნიშვნელობა და შედეგად, უზრუნველყონ აღნიშნულის პრაქტიკაში დანერგვა.**

კიდევ ერთი რისკი, რომელიც ანგარიშვალდებულების ქვე-თავის 3.2 ამოცანის<sup>52</sup> შედეგთან მიმართებით იქნა ნავარაუდები არის **სახელმწიფო უწყებების პასიურობა**. საანგარიშო პერიოდში ღია მონაცემების პორტალზე 30 დაგეგმილიდან მხოლოდ 1 მონაცემის დამატება ნიშნავს, რომ რისკი მატერიალიზდა პრაქტიკაში. აღნიშნულთან გამკლავების მიზნით საჭიროა სახელმწიფო უწყებებთან დამატებითი კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები, რათა ამაღლდეს ცნობიერება ღია მონაცემების მნიშვნელობასა

**სახელმწიფო სერვისების მიწოდების** მიმართულებით ამოცანათა (4.1, 4.2, 4.3, 4.4<sup>53</sup>) განხორციელების დამაბრკოლებელ პოტენციურ რისკ-ფაქტორებად განსაზღვრული იყო:

- ▶ საჭირო უნარების მქონე ექსპერტების დაქირავების პროცესის გაჭიანურება; ექსპერტების დაქირავებისათვის საჭირო თანხების მოძიების შეფერხება; ახალი სერვისების შექმნის საჭიროების არ არსებობა; ჩართული/პარტნიორი უწყებების დაბალი აქტივობა (4.1);
- ▶ სერვისის ინდექსის პორტალის შექმნისათვის კომპანიის დაკონტრაქტების გაჭიანურება, ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის დროში გახანგრძლივება, მომხმარებლის კვლევისათვის საჭირო თანხების მოძიების სირთულე (4.3);

**აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში ზემოაღნიშნული რისკებიდან პრაქტიკაში არცერთი გამოვლენილა.** რისკების ასარიდებლად, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ თავიდანვე აქტიურად ითანამშრომლა პარტნიორ დონორთან (UNDP) და, მართალია, დაგვიანებით, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები ყველა მიმართულებით მოიძია (2019 წლის ბოლოს).

სამოქმედო გეგმის თანახმად, სერვისების მიწოდების **4.5<sup>54</sup>, 4.6<sup>55</sup> და 4.7<sup>57</sup> ამოცანათა** განხორციელების სავარაუდო რისკად **სახელმწიფო უწყებათა პასიურობა** განისაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო სერვისების

**საჯარო ფინანსების მართვის** ქვე-თავში 5.1 ამოცანის<sup>58</sup> შესრულების ერთ-ერთი რისკი, კერძოდ PEFA შეფასების ანგარიშის მომზადების ვადებში შეფერხება მატერიალიზდა - საანგარიშო პერიოდში PEFA შეფასება არ გახანგრძლივდა. საანგარიშო პერიოდში კომუნიკაციას სამუშაოს დიდი წილი დაეთმო, რათა 5.2 ამოცანის<sup>59</sup> შესრულების რისკი - ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდება შემცირებულიყო.

<sup>52</sup> **ამოცანა 3.2:** ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

<sup>53</sup> **ამოცანა 3.3:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით.

<sup>54</sup> **ამოცანა 4.1:** მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება; **ამოცანა 4.2:** სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით; **ამოცანა 4.3:** სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით; **ამოცანა 4.4:** სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით.

<sup>55</sup> **ამოცანა 4.5:** სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით.

<sup>56</sup> **ამოცანა 4.6:** ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს დანერგვა.

<sup>57</sup> **ამოცანა 4.7:** კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით.

<sup>58</sup> **ამოცანა 5.1:** ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება

<sup>59</sup> **ამოცანა 5.2:** მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერება.

<sup>60</sup> **ამოცანა 5.3:** ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, საბიუჯეტო პროცესის მეთი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

და ამ პროცესში უწყებათა ერთობლივი ძალისხმევის გადამწყვეტ როლზე.

ანგარიშვალდებულების ქვე-თავის 3.3 ამოცანის<sup>53</sup> რისკად განისაზღვრა სახელმწიფო უწყებების პასიურობა. ვინაიდან საანგარიშო პერიოდისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა მხოლოდ სატესტო რეჟიმში მოქმედებს და მასში უწყებათა სრული ჩართულობისთვის სისტემის სრულფასოვნად, რეალურ რეჟიმში ამოქმედებაა საჭირო, საანგარიშო პერიოდისთვის არ არის შესაძლებელი რისკის მატერიალიზაციის შეფასება. საკითხზე დაკვირვების შედეგად, სამდევნო მნიშვნელოვნად მიაჩნია აუდიტის სამსახურმა ინტენსიური კონსულტაციები გამართოს სახელმწიფო უწყებებთან სისტემისა და მისი დადებითი მხარეების შესახებ, რათა შემცირდეს ნავარაუდები რისკი და უზრუნველყოფილ იქნეს პროცესში სახელმწიფო დანერგულებათა აქტიური მონაწილეობა.

- ▶ ექსპერტის მოძიების პროცესის გართულება; ახალი სერვისების შექმნის აუცილებლობის არ არსებობა (4.2);

- ▶ ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის საჭირო უნარების მქონე ექსპერტის მოძიების სირთულე; ახალი სერვისის შექმნის საჭიროების არ არსებობა (4.4).

რაოდენობა ელექტრონულ პორტალზე my.gov.ge, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს პოზიციით, სახელმწიფო უწყებები არ იჩენენ სათანადო მზაობას, რომ მათი სერვისები განთავსდეს პორტალზე. ამის მიზეზად უწყება my.gov.ge-ს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების არ არსებობას ასახელებს. შესაბამისად, სამდევნო შეფასებით, რისკი სამომავლოდაც რეალურია და საჭიროა, აღნიშნულის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტი სერვისი მიიღონ my.gov.ge-ის პლატფორმის გამოყენებით. ამოცანა 4.6-თან მიმართებით საანგარიშო პერიოდში მოცემული რისკი არ გამოვლენილა. რაც შეეხება ამოცანა 4.7-ს, აღნიშნული რისკი გამოვლინდა, რამაც ხელი შეუშალა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს შეფასების საერთო შენონილი ქულის ზრდა გაეზომა.

გარდა ამისა, 5.3 ამოცანის<sup>60</sup> შესრულების რისკად აღნიშნული იყო 2020 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის გამოქვეყნების ვადა (2021). საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ღია ბიუჯეტის 2019 წლის კვლევა, ხოლო ღია ბიუჯეტის 2020 წლის მონაცემები 2021 წელს იქნება ხელმისაწვდომი. შესაბამისად, რისკი მატერიალიზდა, თუმცა მიღწეული პროგრესის მიხედვით, ამოცანის შედეგის ინდიკატორი შესრულებულად ითვლება.

**ადგილობრივი თვითმმართველობის** ქვე-თავის 6.1 ამოცანის<sup>61</sup> შესრულების რისკად განსაზღვრულია **არასაკმარისი ადამიანური რესურსი და კომპეტენციის ნაკლებობა**. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგია. რისკის შემცირების მიზნით, პროცესი მრავალმხრივი კონსულტაციების ფარგლებში წარიმართა. ჩამოყალიბდა სამი სამუშაო ჯგუფი სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი აქტივობები, რისკის

შემცირების მიზნით გადადგმული ღონისძიებების პირობებში, შეუფერხებლად დასრულდა. არ მატერიალიზდა 6.2<sup>62</sup> ამოცანის შესრულების რისკიც - მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციის (სერვისის მომწოდებელი) შერჩევასთან დაკავშირებული შემაფერხებელი ფაქტორები, შესყიდვები და ხელშეკრულების გაფორმების ვადების სამოქმედო გეგმის ვადების შესაბამისად განხორციელდა.

## **გამონვევები სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში**

### **დაგეგმვის ეტაპზე აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება და შესაბამისად, განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა და ვადებში ჩამორჩენა**

აღნიშნულ გამონვევაზე რეფორმის სამდივნომ ყურადღება გაამახვილა სამოქმედო გეგმის **როგორც 2019 შუალედური და წლიური მონიტორინგის, ასევე 2020 წლის პროგრეს ანგარიშების** ფარგლებში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასებას და

შესაბამისად, ვადების არასწორად განსაზღვრას თანმდევი ეფექტი ექნებოდა სამოქმედო გეგმის საბოლოო შედეგებზეც. **აღნიშნულმა პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ამოცანით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე**, ვინაიდან, სამოქმედო გეგმის დასასრულს რამდენიმე ამოცანა არ შესრულდა.

აღნიშნული გამონვევის მაგალითებია:

- ▶ **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის მარეგულირებელი პაკეტის მომზადება, განხილვა, დამტკიცება და დაბეჭდვა.** მიუხედავად იმისა, რომ პაკეტი შემუშავდა და დამტკიცდა მთავრობის მიერ, მისი შინაარსიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მომზადებულ
- ▶ მსგავსად, მნიშვნელოვანია **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა (PDCems)** მომზადდეს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი
- ▶ აგრეთვე, დაგეგმილზე მეტი დრო დაეთმო **სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის** შემუშავებასა და განხილვას. გეგმის განხორციელების დასასრულს, პოლიტიკის დოკუმენტი,

მოცულობით მასალაზე სრულფასოვანი კონსულტაციის გამართვა პროცესში ჩართულ საჯარო დაწესებულებებთან და სხვა პარტნიორებთან. **გეგმით განსაზღვრულზე მეტი დრო დაეთმო როგორც დამტკიცებული პაკეტის, ასევე საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ დანართის მომზადებას.**

სისტემა პირველად მზადდება საქართველოში და სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი აჩვენებს, რომ მას დაგეგმილზე მეტი დრო სჭირდება.

მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებთან ერთად, დამტკიცებული არ არის, რამაც სერვისების მიწოდების მიმართულებით შესაბამისი ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულება შეაფერხა.

### **დაგეგმვის ეტაპზე ამოცანის შედეგის ინდიკატორების იმგვარად შემუშავება, რომ მათი ყოველწლიური გაზომვის საშუალება არსებობდეს და ამასთან, დამოკიდებული იყოს ამოცანით განსაზღვრულ აქტივობათა შესრულებაზე**

აღნიშნული გამონვევა გამოვლინდა როგორც 2019 წლის ყოველწლიური მონიტორინგის ასევე, წინამდებარე ანგარიშის შემუშავების ეტაპზეც, როდესაც ამოცანის

შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გაზომვა ვერ ხერხდება. მაგალითად:

- ▶ მიუხედავად იმისა, რომ ამოცანა 1.4-ის ქვეშ განსაზღვრული ყველა აქტივობა შესრულდა, სამოქმედო გეგმის დასასრულს, ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1 ვერ შეფასდა (ამ მიზნით, მონიტორინგის საბოლოო ანგარიშის მიხედვით შეფასების რეიტინგად განისაზღვრა არ შესრულდა), რადგან იგი არ იყო დამოკიდებული მხოლოდ ამოცანით განსაზღვრული აქტივობების სრულად შესრულებაზე. შემუშავდა და დამტკიცდა RIA საკანონმდებლო ცვლილებები, მისი განხორციელების
- ▶ ზემოაღნიშნული შემთხვევის მსგავსად, 1.2.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორით გათვალისწინებული პროგრესის შეფასება 2020 წლის ბოლოსთვის არ არის შესაძლებელი, რადგან 2020 წელს დამტკიცებული არც

მეთოდოლოგია და გადამზადდა საჯარო მოხელეთა პირველი ტალღა, თუმცა იმის გამო, რომ საანგარიშო პერიოდში მთავრობას დასამტკიცებლად არ წარედგინა **ის საკანონმდებლო პაკეტი, რომლებზეც RIA-ს განხორციელება ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად იქნებოდა სავადგებულო**, (რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია პროგრესის შეფასება) - ამოცანის შედეგის ინდიკატორი შეუსრულებლად ჩაითვალა.

ერთი პოლიტიკის დოკუმენტი არ საჭიროებს დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრული წესის მიხედვით შუალედური ან საბოლოო შეფასების ჩატარებას.

<sup>61</sup> **ამოცანა 6.1** თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, მათი უფლებამოსილებების გაფართოება.

<sup>62</sup> **ამოცანა 6.2** ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება

## ➤ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ზოგადი შეფერხებები

2020 წელს სამოქმედო გეგმის ვადებში ჩამორჩენა ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამოც დაფიქსირდა. საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპასუხოდ 2020 წლის 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რის შედეგადაც სახელმწიფო უწყებების ძირითადი ნაწილი კრიზისის

მენეჯმენტში ჩაერთო და დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. შედეგად, რეფორმის **ოთხი მიმართულების** ზოგიერთი მნიშვნელოვანი აქტივობა დაგეგმილ ვადებში ვერ შესრულდა. აღნიშნულმა, საბოლოოდ, უარყოფითი გავლენა იქონია ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევაზე:

## 📖 პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

პანდემიით შექმნილი გამოწვევების ფონზე, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიან ელექტრონული სისტემის (PDCems) შემქმნელი უწყების (სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო) მიერ დველოპერების რესურსები დისტანციური სახელმწიფო სერვისების განვითარებაზე იქნა მიმართული, რამაც შეაფერხა სისტემის შემუშავების პროცესი.

გარდა ამისა, ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა 2020 წელს საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარსადგენ პოლიტიკის დოკუმენტთა შემუშავების დღის წესრიგი. პანდემიის გავლენით, რამდენიმე დოკუმენტის

შემუშავება 2021 წლისთვის გადავადდა, რამაც საბოლოოდ გავლენა იქონია ამოცანა 1.2-ით გათვალისწინებული ინდიკატორების შესრულებაზე.

პანდემიამ ასევე შეცვალა 2020 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მოსამზადებელ და დასამტკიცებლად წარსადგენ ცვლილებათა (მათ შორის საკანონმდებლო პაკეტთა) შემუშავების დღის წესრიგიც. 2020 წელს საქართველოს მთავრობის მიერ არ შემუშავებულა და ინიცირებული არ ყოფილა საკანონმდებლო პაკეტი, რომელშიც ცვლილების შეტანა RIA-ს თანდართვას ითვალისწინებდა.

## 👤 საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

პანდემიის გავრცელებამ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ხელი შეუშალა, რათა ჩატარებულიყო კვლევის „პოლიტიკური ზენოლისგან თავისუფალი საჯარო სამსახური“ შედეგების ანალიზის საჯარო განხილვები. სამუშაოს დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის გამო, ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების ორგანიზების პროცესი გახანგრძლივდა

და დაგეგმილ ვადას გასცდა. კვლევის შედეგები ბიუროს 2020 წლის 29 დეკემბერს წარედგინა და, შესაბამისად, ვეღარ მოხერხდა ანალიზის შედეგების საჯარო განხილვების ფორმატში ორგანიზება, რომლის ჩატარებაც, საკითხიდან გამომდინარე, დისტანციურ რეჟიმში მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

## 👤 ანგარიშვალდებულება

პანდემია მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ანგარიშვალდებულების მიმართულების ხუთივე ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულებისთვის.

მიუხედავად დონორული რესურსის მობილიზებისა, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტომ პანდემიისა და რეორგანიზაციით გამოწვეული შეფერხებების ფონზე ვერ უზრუნველყო პორტალ data.gov.ge-ს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახლება. დაყოვნდა სახელმწიფო

აუდიტის სამსახურის გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის სრულყოფილად დანერგვაც.

გარდა ამისა, პანდემიამ შეაფერხა ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება.

## 👤 სახელმწიფო სერვისების მინოდება

პანდემიით გამოწვეული რეალობის გათვალისწინებით, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს ადამიანური რესურსი სხვადასხვა მიმართულებით გადანაწილდა, რამაც ხელი შეუშალა როგორც my.gov.ge-ზე უკუკავშირის მექანიზმის სრულყოფილად ინტეგრირებას, ისე პორტალზე ინტერაქტიული დახმარების მოდულის რეალურ რეჟიმში ამოქმედებას.

პანდემია ასევე მნიშვნელოვანი დაბრკოლება აღმოჩნდა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვისაც. პანდემიის გავრცელებამ სახელმწიფო სერვისების ერთიანი

სტრატეგიისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესი გაახანგრძლივა და გაართულა სხვა უწყებებთან კომუნიკაცია. შეფერხდა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის საქართველოში ვიზიტის პროცესიც. გარდა ამისა, უწყებას სერვისების მიმწოდებელი უწყებების წარმომადგენლებისთვის დაგეგმილი ტრენინგების ჩატარება დისტანციურ რეჟიმში მოუწია. ამასთან, იყო შემთხვევებიც, როდესაც თავად მოწვეული თანამშრომლებიც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი დისტანციურად ჩატარებული ტრენინგების ხარისხისადმი.

## ➤ აქტივობათა დუბლირება

**პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის** შექმნა (აქტივობა 1.2.3), თავისთავად მოიცავს **ანტი-კორუფციული საბჭოს პოლიტიკის დოკუმენტების ანალოგიური ციკლის ელექტრონულ პლატფორმის შექმნას** აქტივობას (აქტივობა 1.3.1-1.3.2). ამასთან, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით, სავალდებულო ხდება

აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების **მთავრობის ერთიანი ელექტრონულ სისტემაში** განხორციელება. გარდა იმისა, რომ **ანტი-კორუფციული საბჭოს ელექტრონული პლატფორმა შინაარსობრივად (მიზანი და ამოცანა) იმეორებს** პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემას, განხორციელების პროცესში ცხადი გახდა, რომ საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსი,

რასაც დონორული დახმარების დუბლირებასთან მივყავართ. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი რეფორმის საბჭოს სამდივნოს მიერ გამოწვევად იდენტიფიცირდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის I ანგარიშის ფარგლებშიც.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო იზიარებს აღნიშნულს და მიიჩნევს, რომ ვინაიდან აქტიურ ფაზაშია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ **პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის (PDCems)**

**ფინანსური რესურსის ნაკლებობა**

ფინანსური რესურსის ნაკლებობამ ხელი შეუშალა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ რეესტრთა რეესტრის განახლების პროცესს. უწყების მიერ საგრანტო ხელშეკრულებით მიღებული სახსრები, დონორთან

**კონსულტაციების ეტაპებად დაყოფა**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში **ერთ-ერთი მსხვილი გამოწვევაა სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება. სამდივნოს დაკვირვებით, აღნიშნული კიდევ უფრო დიდ გამოწვევად გადაიქცევა, როდესაც შემუშავებული პროდუქტის განხილვა საჭიროა საჯარო კონსულტაციის ფორმატში, რაც ასევე მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს და დროს საჭიროებს.** სამდივნოს შეფასებით, პასუხისმგებელი უწყებები მსგავს ფორმატში განსახილველი პროდუქტების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან და როგორც წესი, საწყის ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან შიდა კონსულტაციებს გადიან. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში **გამოწვევად გვევლინება კონსულტაციების ეტაპებად დაყოფის საჭიროება, რაც სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე არ იყო სათანადოდ გაანალიზებული.**

აღნიშნული გამოწვევის ერთ-ერთი საილუსტრაციო მაგალითია აქტივობა სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის

შემუშავების პროცესი, რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, პირველ ეტაპზე ამოქმედდეს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა, აღნიშნული სისტემის საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე კი მოდიფიცირდეს ან უცვლელად გაგრძელდეს ანტიკორუფციული დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების სისტემის მომზადება.

შეთანხმებით, სრულად გადანაწილდა პორტალ data.gov.ge-ს განახლებაზე. ამდენად, სააგენტოს ხელთ არსებული რესურსები არ იყო საკმარისი, რათა რეესტრთა რეესტრის პორტალი განახლებულიყო.

პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე (ვრცლად იხილეთ: გვ.62). სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ სწორი პრაქტიკული გადაწყვეტილება მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ გეგმით განერილი იყო კანონპროექტის შესახებ მხოლოდ საჯარო კონსულტაციების გამართვა, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე კანონპროექტის განსახილველად შიდა შეხვედრები ჩაატარა. თუმცა, შედეგად, შეიცვალა გეგმით განსაზღვრული ვადები, რაც შესაძლოა რისკის შემცველი იყოს საბოლოო შედეგის მიღწევის გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი უწყვეტად გრძელდება.

სამდივნოს დაკვირვებით, მნიშვნელოვანია PAR-ის მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ყურადღებით გაანალიზდეს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს როგორც შიდა, ასევე ფართო კონსულტაციებს. შედეგად, შესაძლებელი გახდება საჭირო ეტაპების ცალ-ცალკე, შესაბამისი ვადებით ჩამოყალიბება და სამოქმედო გეგმაში განერა.



**ზემოაღნიშნული გამოწვევების ანალიზის შედეგად, საანგარიშო პერიოდში გაჩნდა ამოცანის შედეგის ინდიკატორების განსაზღვრულ ვადაში ვერ შესრულების რისკი, რაც, ძირითად შემთხვევაში, პრაქტიკაში გამოვლინდა.**

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმის განხორციელების 2020 წლის პროგრეს ანგარიშის (I-II კვარტალი) რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებელი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეფორმის სამდივნომ მოამზადა და საბჭოს წარუდგინა სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიში, რომელიც აღწერს 2020 წლის I-II კვარტლით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროგრესს, მსჯელობს გამოწვევებზე და აყალიბებს რეკომენდაციებს.<sup>63</sup>

წინამდებარე ცხრილის სახით მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშის ფარგლებში სამდივნოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, პროგრეს ანგარიში 2020	რეკომენდაციის გათვალისწინების პროგრესი
პასუხისმგებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ შეჩერებული აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების გაგრძელება.	საანგარიშო პერიოდში, კორონავირუსის პანდემიის შედეგად, ზოგიერთი შეჩერებული აქტივობების განხორციელება ვერ განახლდა.
დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები.	საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გაანალიზდება ის ამოცანები და აქტივობები, რომლებიც 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით ვერ შესრულდა. ისინი რეფორმის პრიორიტეტების შესაბამისად ახალ სამოქმედო გეგმაში აისახება.

<sup>63</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრეს ანგარიში, 2020. ხელმისაწვდომია აქ.



დროულად ეცნობოს სამდივნოს ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად შექმნილი შეფერხებების შესახებ, რამაც შესაძლოა 2020 წლის ბოლოს ხელი შეუშალოს გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

საანგარიშო პერიოდში პასუხისმგებელი უწყებები აქტიურად თანამშრომლობდნენ სამდივნოსთან, მათ შორის გზამკვლევი 2020-ის გარე შეფასების მომზადების პროცესში, რათა მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ სამდივნოსთვის დროულად მიეწოდებინათ ინფორმაცია.

პასუხისმგებელმა უწყებებმა სამდივნოს დროულად წარმოუდგინონ შესაბამისი დადასტურების წყაროები.

2020 წლის წლიური მონიტორინგის ფარგლებში პასუხისმგებელმა უწყებებმა დადასტურების წყაროები დროულად წარმოადგინეს.

# დაგროვილი გამოცდილება და რეკომენდაციები

საჯარო მმართველობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შუალედური და წლიური მონიტორინგის შედეგების ანალიზისას, გამოიკვეთა რამდენიმე ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებაც, რეფორმის ახალი ტალღის ფარგლებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ერთ-ერთი პირველი სექტორული გეგმაა საქართველოში, რომელიც მოსალოდნელ შედეგებს ამოცანის შედეგის ინდიკატორებით (რაოდენობრივი/ხარისხობრივი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები) ზომავს. მიუხედავად ამისა, გეგმის წლიური მონიტორინგის ანგარიშებმა აჩვენა, რომ **ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით შუალედური სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა აუცილებელია**. აღნიშნული რეფორმის საბჭოს სამდივნოს, ასევე პასუხისმგებელ უწყებებს დაეხმარება უფრო ნათლად წარმოაჩინონ საანგარიშო პერიოდში მიღწეული პროგრესი ან არსებული ხარვეზები.

შესაბამისად, ახალი 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, ამოცანებთან მიმართებით შემუშავდეს 2021 წლის შუალედური და 2022 წლის [საბოლოო] სამიზნე მაჩვენებლები. აღნიშნული სამდივნოს საშუალებას მისცემს, თითოეული წლის ბოლოს გაიზომოს პროგრესი ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის

- სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა უზრუნველყონ დაგეგმილი აქტივობების დეტალური ანალიზი, რათა სწორად განისაზღვროს მათი განხორციელებისთვის საჭირო **დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსი**.
- ამოცანის შედეგის ინდიკატორები შემუშავდეს იმგვარად, რომ **მათი ყოველწლიური გაზომვის საშუალება არსებობდეს**. ამასთან, მნიშვნელოვანია ინდიკატორები გაიწეროს იმგვარად, რომ დაკავშირებული იყოს ამოცანით განსაზღვრული აქტივობების შესრულებასთან.
- სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, განუვლი სამუშაოს შეფასების საფუძველზე დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და **ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები**.

განხორციელებას და ამასთან, ანგარიშების პროცესს კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის.

გარდა ამისა, წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში ნათელი გახდა, რომ **ზოგიერთი მსხვილი აქტივობა პირდაპირ კავშირში არ არის ამოცანის შედეგის ინდიკატორთან**. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა აქტივობა სრულად შესრულდეს, მაგრამ არ (ან ნაკლებად) განაპირობებდეს საბოლოო შედეგის მიღწევას. შესაბამისად, სამდივნო რეფორმის ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ამოცანებისა და აქტივობების შინაარსობრივ ურთიერთმიმართებაზე და იმის განსაზღვრაზე, თუ რამდენად უკავშირდება აქტივობის განხორციელება ამოცანით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას.

აგრეთვე, სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე, **საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ეტაპზე რეკომენდებულია:**

- საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი ეტაპის დაგეგმვის პროცესში, სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა **გამორიცხონ აქტივობათა დუბლირების მაგალითები**, რათა თავიდან აიცილონ დროის, ფინანსური და ადამიანური რესურსის არასწორი ხარჯვა.
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისას, წამყვანმა პასუხისმგებელმა უწყებებმა სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყონ დაინტერესებული სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართულობა და ინფორმირება, რათა ერთი მხრივ, **პროცესი იყოს ინკლუზიური**, ხოლო მეორე მხრივ - ერთობლივი ძალისხმევით **მიღწეულ შედეგზე პასუხისმგებლობა გადანაწილდეს**. **საბჭოს ეცნობოს კონკრეტული აქტივობების შესახებ, რომელთა განხორციელებას წამყვანი პასუხისმგებელი უწყებების გარდა სხვა სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართულობა ესაჭიროება**.

# დანართი 1

## ცხრილი 1:

ამოცანებისა და შედეგის ინდიკატორების გადანაწილება რეფორმის 6 მიმართულების მიხედვით (2020)

რეფორმის მიმართულებები:	ამოცანა:	ამოცანის შედეგის ინდიკატორი:	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია	4	10	16
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	2	6	11
ანგარიშვალდებულება	5	5	17
საჯარო სერვისების მიწოდება	7	8	29
საჯარო ფინანსების მართვა	3	4	8
ადგილობრივი თვითმმართველობა	2	2	6
<b>სულ:</b>	<b>23</b>	<b>35</b>	<b>87</b>

## ცხრილი 2:

ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების პროგრესი მიმართულებების მიხედვით

მიმართულება   ამოცანის შედეგის ინდიკატორი:	სრულად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია	4	0	6
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	4	1	1
ანგარიშვალდებულება	1	0	4
საჯარო სერვისების მიწოდება	2	0	6
საჯარო ფინანსების მართვა	2	1	1
ადგილობრივი თვითმმართველობა	2	0	0
<b>სულ:</b>	<b>15</b>	<b>2</b>	<b>18</b>

## ცხრილი 3:

ამოცანების შესრულება რეფორმის მიმართულებების მიხედვით

PAR მიმართულება	სრულად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია	1   25%	1   25%	2   50%
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	1   50%	1   50%	-
ანგარიშვალდებულება	1   20%	-	4   80%
საჯარო სერვისების მიწოდება	1   14,4%	1   14,4%	5   71,2%
საჯარო ფინანსების მართვა	1   33,3%	2   66,7%	-
ადგილობრივი თვითმმართველობა	2   100%	-	-


**ცხრილი 4:**

ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულება პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით



**ცხრილი 5:**

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების ზოგადი მაჩვენებელი (2020)



**ცხრილი 6:**

ამოცანის შედეგის ინდიკატორების განხორციელების მაჩვენებელი მიმართულებებისა და ინდიკატორების მიხედვით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:		საბაზისო 2018:	სამიზნე 2020:	საბოლოო შეფასება 2020:
<b>პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია</b>				
